მზია ბეგიაშვილი

ჯვრის თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIII სს)

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
2011წ.

© საავტორო უფლება მზია ბეგიაშვილი, 2011წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **მზია ბეგიაშვილის** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„ჯვრის თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIII სს)“** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადამიკოსი, არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი სრული პროფესორი

ჰამლეტ მოსულიშვილი

რეცენზენტი:	ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ***თამაზ სანიკიძე***
რეცენზენტი:	არქიტექტურის დოქტორი, სრული პროფესორი ***ნანა იაშვილი***
რეცენზენტი:	

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2011

ავტორი:	მზია ბეგიაშვილი
დასახელება:	„ჯვრის თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIII სს)“
ფაკულტეტი :	არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის
აკადემიური ხარისხი:	დოქტორი
სხდომა ჩატარდა:	

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რ ე ზ ი უ მ ე

ჯვარი ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოა. ის ასახულია ხელოვნების ყველა გამომსახველობით დარგებში. ყველაზე სრულყოფილად იგი აისახა ქრისტიანულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში, სადაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯვარ-გუმბათოვანი ძეგლების გეგმარებით–მოცულობითი სტრუქტურის ფორმირებაში.

ჯვარი წარმოადგენდა იდეოლოგიურ საფუძველს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისა. უკვე IVს-ის პირველ მინიატურულ ქრისტიანულ სამლოცველოში – ჭერემში ვხვდებით ჯვარ-გუმბათოვანი იდეის ჩანასახს, რომელიც წარმოადგენდა ოთხივე მხრიდან, ჯვრისებრივად გახსნილ კვადრატულ სივრცეს, გადახურულს გუმბათური ჩანასახის თაღით. აქედან დაიწყო ჩამოყალიბება ქართული, ეროვნული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისა, რომლის გეგმარებით-მოცულობით სტრუქტურას თავიდანვე საფუძვლად დაედო ჯვრისებრ გუმბათოვანი კომპოზიცია.

პირველ მოსამზადებელ პერიოდში (IV-VIსს) ქართული ძეგლები ვითარდებიან ორი მიმართულებით: ერთკონქიანი და ტეტრაკონქულ კომპოზიციურ სტრუქტურებად. ერთკონქიანი ძეგლებია: ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია (Vს), მცხეთის ჯვრის მცირე ნაგებობა (VIს), იდლეთის ნათლისმცემელი (VIს), ერელაანთ საყდარი (V-VIსს), შიომღვიმე (VIს), იყალთოს მცირე ეკლესია (VIს) მათ გეგმარებაში იკვეთება ჯვრის ცვალებადი ფორმები.

ერთკონქიანების პარალელურად მოსამზადებელ პერიოდში ვითარდება ტეტრაკონქული ცენტრალურ-გუმბათოვანი მოცულობითი სტრუქტურა. მათ მიეკუთვნებათ შემდეგი ეკლესიები: ძველი გავაზი (VIს), სუხბეჩი (V-VIსს), თბილისის ქაშვეთი (VIს), ნინოწმინდა (VIს), მცხეთის ჯვარი (VIს), ატენი (VIIს), ძველი შუამთა (VIIIს), ბანა (VIIIს) და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ერთკონქიანი და ტეტრაკონქული გეგმის მქონე ნაგებობები ჯგუფდებიან «თავისუფალი ჯვრის» და «ჩახაზული ჯვრის» ტიპებში.

ძველი გავაზის და სუხბეჩის ეკლესიათა ტეტრაკონქული გეგმები შეიძლება მივიჩნიოთ «თავისუფალი ჯვრის» ტიპის გეგმის ნაირსახეობად. მათი გრაფიკული ფორმის პარალელს ვხვდებით ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებზე (ხახულის კარედი ხატის სამკაული – კვადრიფილი ჯვარცმის გამოსახულებით და სხვა).

VIს. დასასრულს და VIIს-ის დასაწყისში ქართული ხუროთმოძღვრების პირველი აყვავების პერიოდში იქმნება მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი და მისი ტიპის ეკლესიები. ჯვრის ტიპის ტაძართა გეგმის ძირითადი, ცენტრალური კომპოზიცია ჯვარია, რომლის ოთხივე მკლავი ბოლოვდება აფსიდით. გეგმიდან წარმოიქმნება ჯვრული შიდა სივრცე და გარე მოცულობა, სადაც ჯვრის მკლავები

ისახება კუთხის ოთახებს ზემოთ. მკლავების გადაკვეთის ადგილზე აღმართულია გუმბათი.

VII საუკუნის დამლევს ჯვრის ტიპის ძეგლები აბსოლუტური ზომების თვალსაზრისით ვეღარ აკმაყოფილებს რელიგიის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და შემდგომი ეპოქის ხუროთმოძღვრებაში იქმნება ახალი კომპოზიციური კონსტრუქციული სტრუქტურის მქონე ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი წრომი (VIIს). იგი ერთკონქიანი ძეგლების ლოგიკური გაგრძელებაა. აღნიშნულ ძეგლის, შიდა მოცულობაში ჯვრის მასების გამოყოფა მიღწეულია გუმბათქვეშა საყრდენი ოთხი სვეტის განლაგებით, რომელიც შემდგომში განუხრელად ვითარდება.

გარდამავალი პერიოდის (VII-Xსს) ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ახალი იშხანის (VII-IX-XIსს) და ჯვარ-გუმბათოვანმა ოშკის ტაძრებმა (Xს).

ჯვრის თემა თავისებურადაა დამუშავებული შუა საუკუნეების არქიტექტურის მეორე აყვავების ხანაში (Xს). ამ პერიოდში აგებული კათედრალების – ბაგრატის ტაძრის, ალავერდის და სვეტიცხოველის გეგმებისათვის და სივრცითი მოცულობისთვისაც დამახასიათებელია ჯვრის ეპოქის შესაფერისი მონუმენტური სახით წარმოჩენა.

განვითარებული შუა საუკუნეების (XI-XIIIსს) საკულტო ხუროთმოძღვრულ ძეგლებში ისევ მიღებულია ერთკონქიანი ჯვრული სტრუქტურა (სამთავრო, სამთავისი, იკორთა, ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი და სხვა), სადაც შეინიშნება ცენტრალური გუმბათქვეშა სივრცის მიახლოვება საკურთხევლის აფსიდთან. სამთავისის გარდა ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებში გუმბათი ეყრდნობა დასავლეთის ორ ბურჯს, ხოლო აღმოსავლეთით საკურთხევლის კედლებს. ამ ნაგებობათა შიდა და გარე მოცულობები ტრადიციულად გამოსახავენ ჯვარს, სადაც შეინიშნება ისევ აღმოსავლეთ-დასავლეთი მკლავების ხაზგასმა, რომელიც თანდათან მცირდება.

ამრიგად განვითარებული შუა საუკუნეების ტაძართა გეგმის საფუძველია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე აქცენტირებული ერთკონქიანი ჯვრისებრი კომპოზიცია, რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ ქართული მონუმენტური არქიტექტურის საწყისებში – ზეგაანი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, შიომღვიმე და სხვა. შემდგომში იგი წრომში, იშხანში, ოშკში განვითარდა, ხოლო კათედრალებში და მათ მომდევნო ძეგლებში ყოველმხრივ ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია ასევე ტაო-კლარჯეთის ძეგლები, რომელთა გეგმარებითი მოცულობითი ჯვარი საკმაოდ წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე.

გვიანი შუა საუკუნეების (XIV-XVIIIსს) ცენტრალურ გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების თემატიკა იგივეა, რაც იყო წინა საუკუნეებში. იქმნება საკულტო ნაგებობები, რომელთა გეგმის და და სივრცითი მოცულობის საფუძველში ჯვარია. აღნიშნული პერიოდის ძეგლებიდან გამოვყობთ გერგეტის სამებას (XIVს), გრემის

მთავარანგელოზს (XIVს), ანანურის ციხის დიდ ეკლესიას (XVIIს), ბარაკონის ღვთისმშობელს (XVIIIს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ «თავისუფალი ჯვრის» ტიპის ნაგებობები მიწის დონიდანვე გამოსახავენ ჯვარს, ხოლო «ჩახაზული ჯვრის» ტიპის ძეგლებში ჯვარი იკვეთება დამხმარე სათავსოთა სახურავებს ზემოთ, სადაც ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილზე აღმართულია გუმბათი.

ამრიგად, ქართულ ცენტრალურ-გუმბათოვან ძეგლებში გეგმარებით-მოცულობით სტრუქტურას საფუძვლად ედო ქრისტიანობის სიმბოლო და მისი იდეოლოგიურად წარმმართველი ძალა – ჯვრის თემა.

ჯვარი წარმოადგენდა აგრეთვე ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების დეკორის მნიშვნელოვან ელემენტს. იგი ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-VIIსს) თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბოლნისის სიონი (Vს). ტაძრის დეკორატიული ჯვრების მსგავს ნიმუშებს ვხვდებით აკაურთას (V-VIსს), აკვანებას (V-VIსს) რელიეფებზე.

გამოიყოფა თეთრიწყაროს (V-VIIსს), ეკლესიის ჯვრის ამაღლების კომპოზიცია, რომელიც იდეურად და სტრუქტურულად მსგავსია მცხეთის ჯვრის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანის რელიეფისა. დეკორატიული ჯვრების საინტერესო ნიმუშებია წრომის ტაძრის (VIIს) მორთულობაში. თავისი სიმარტივით გამოირჩევა სამწევრისის (VIIIს) ჯვრები.

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა გარდამავალი ხანის (VII-Xსს) ეკლესიათა ფასადებზე გამოხატული ჯვრები. ზედაზენი (VII-IXსს), ხირსის სტეფანწმინდა (VI-IXსს), არმაზის (VIII-IXსს), მაჩხანის (VIIს), გურჯაანის ყველაწმინდას (VIII-IXს) აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია, ჩანასახის დონეზე დასაბამს აძლევს მომდევნო პერიოდის ძეგლების აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიციებს.

ზოგიერთი ტაძრების ორნამენტული ჯვრები თავისი კომპოზიციური სტრუქტურით მსგავსია, როგორც უძველესი, ასევე ქრისტიანული პერიოდის ხელოვნების ნიმუშებზე გამოსახული ჯვრების და ჯვრული კომპოზიციების.

ორნამენტული ჯვრების სიახლით გამოირჩევიან ტაო-კლარჯეთის IX-X საუკუნის ძეგლები – იშხანი, პარხალი, ტბეთი, ასევე კუმურდოს (Xს) დეკორატიული ჯვრები.

X-XI საუკუნეების დეკორატიული ჯვრები ძირითადად ორნამენტირებულია და შეინიშნება წინა პერიოდის ჯვრების სტრუქტრული ფორმების ახლებური გააზრება.

კათედრალების დეკორატიული მორთულობის განხილვისას გამოიყოფა ალავერდის ტაძრის (XIს) აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია.

თავისი სტრუქტრულ-კომპოზიციური ხასიათით და ინდივიდუალობით განსაკუთრებულად ხასიათდება სვეტიცხოვლის დეკორატიული ჯვრები,.

ტაძართა საფასადო-დეკორით გამოირჩევა სამთავისის ტაძრის (XIს) აღმოსავლეთ ფასადი, სადაც მთელი კომპოზიცია დაკავშირებულია ცენტრალურ ღეროზე არსებულ დიდი ზომის მხატვრულად დამუშავებულ ჯვართან. ეს სისტემა დასაბამს აძლევს შემდგომი პერიოდის ძეგლების დეკორს.

განვითარებული შუა საუკუნეების ტაძრებში ჩნდება შეწყვილებული სარკმლები და მათ შორის ჯვრის კომპოზიცია (ქვათახევი (XII-XIIIსს), ფიტარეთი (XIIIს), ახტალა (XIIIს) და სხვა).

შუა საუკუნეების დეკორი სრულიად ეთანხმებოდა ტაძრების ფასადების დანაწევრებას, რომელზედაც მნიშვნელოვანი იყო ჯვრის გამოსახულება.

განხილული მასალა გვაძლევს საშუალებას შესაძლო სისრულით წარმოვადგინოთ ქრისტიანობის სიმბოლოს – ჯვრის როლი ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ძეგლების გეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურის და ფასადთა დეკორის ჩამოყალიბების საქმეში.

Overview

The Cross is the symbol of Christian religion. The symbol is depicted on each line of expressive art. It is perfectly expressed through Christian worship architecture, displaying the central role in the process of cross-dome church planning and volume structure formation.

The Cross was represented as an ideological basis for Georgian Christian architecture. We are coming across the rudiments of cross-dome style in the first small scale Christian chapel in Cheremi in the IV century. It was constructed as a square space crosswise open from four sides, covered by the dome arch. This gave the start up to Georgian national Christian architecture, based on the cross like dome composition through planning and volume structure.

Through the starting preparation period the (IV-VI centuries) Georgian sculptures are developing in two main directions: single volute and four volute compositional structures. There are single volute churches of Saint Marine in Zegaani (V century), Small construction of Mtskheta Djvari (VI century) Natlismcemeli (John the Baptist) Church in Idgheti (VI century) Erelaant Church (V-VI centuries) Shiomghvime (VI century) Small Church of Ikalto (VI century) the variable form of the Cross are evident through these sample planning.

In line of single volute construction four volute central dome volume structure is developing through the preparation period. The list of the churches follows the described style: Old Gavazi (VI century) Sukhbechi (V-VI centuries) Tbilisi Kashveti (VI century) Ninotsminda (VI century), Mtskheta Djvari (VI century) Ateni (VII century), Old Shuamta (VII century), Bana (VII century) etc.

The described single, triple and four volute scheme constructions are grouped among “Free Cross” and “Circled Cross” styles.

The four volute schemes in Old Gavazi and Sukhbechi Churches could be discussed as a “Free Cross” style variation. We are coming across their graphic shape similarity on the samples of Georgian Goldsmith (Khakhuli Triptych icon decoration with Crucifixion etc)

Mtskheta Djvari and the similar temples have been constructed in the end of VI and the beginning of VII centuries through the first stage of Georgian religion architecture prospect. The general or central figure for the scheme of Cross style churches in the Cross with the Apse on four arrows. The scheme creates cross like inner space and exterior volume, depicted by the Cross arrows on the top of corner rooms. The dome is erected on the traverse of the arrows.

To the end of VII century Cross like temples could not match to the religious demands with their general parameters the following architectural epoch creates new structure of the Cross Dome Church – like Tsromi (VII century). The sample is the logical progress of single volute temples. For the described temple separation of the Cross volume is accomplished by the under dome stands – four columns developing steadily through the next centuries.

New Ishkhani and Oshki temples played the crucial role for the transitional period of Georgian religious architecture (VII – VIII centuries).

The Cross theme is specifically processed through the second prospect era of the middle age architecture (from II part of X to XIII, XIV centuries). The Cathedral schemes of the mentioned period – Bagrati (XI century) Alaverdi (XI century) and Svetitskhoveli (XI century) is customized by cross monument expression. The single volute cross structure is still accepted by the middle age (XI – XIII centuries) religious architectural temples (Samtavro, Samtavisi, Ikorta, Betania, Kvatakhevi, Phitareti etc.)

marked with the central under dome space closeness towards the alter apse. The dome of all described temples is based on west side couple of columns and alters walls to the east except Samtavisi. Inside and outside volumes of the temples traditionally express the cross highlighted by the east – west arrows.

Thus the principle of the middle age temple scheme is directed towards the single volute cross like composition on the east and west side axis, generated through the initial Georgian monument architecture – Zegaani, Small Temple of Mtskheta Djvari, Shiomghvime etc. later developed in Tsromi, Ishkhani and Oshki progressed by through all directions in Cathedral construction.

Tao Klardjeti temples are worth to discuss separately while their schematic volume cross is considerably longer through east west axis.

Central dome architectural highlights of the middle ages (XIV-XVIII centuries) are the similar to the previous epochs. The constructed temples depict the Cross through the scheme and volume at the same time. We could underline the following temples of the described period like: Gergeti Trinity (XIV century) Gremi Archangel (XVI century) Ananuri Castle large chapel (XVII century) Barakoni Virgin Mary (XVIII century)

Hereby it should be mentioned that "Free Cross" style constructions depict the Cross from the fundaments of the building, while the exact Cross is depicted on the top of the storage roofs in "Circled Cross" style temples with the dome on the traverse of the cross arrows.

Thus the scheme and volume structure of the Georgian central dome churches were based on the Christian symbol and its ideological leading power – The Cross
The Cross herewith represented the major element of Georgian architectural decoration. It was the characteristic mark of the Christian art.

Bolnisi Sioni is distinguished by its variety of decoration Crosses of the early middle ages (IV-VII centuries) the similar samples are presented in Akaurta (V_VI centuries) and Akvaneba (V-VI centuries) engravings.

Tetritskaro Church (V-VII centuries) Cross Ascension composition is the exemption with its similarity to the Mtskheta Djvari south entrance engraving. Exceptional samples of decorative cross are presented in Tsromi (VII century) distinguished with its simplicity.

The distinguished variety is displayed by the Crosses engraved on the front of the temples of the transition period (VII – X centuries) Zedazeni (VII – IX centuries), Khrisi Stephantsminda (VI-IX centuries) Armazi (VIII – IX centuries) Machkhani (VII – IX centuries) Gurdjaani Kovladtsminda (VIII century) east face composition gives the start to the next period temple face compositions.

The decoration Crosses on several temples are similar according to their compositional structure to the oldest and Christian art samples presented by the cross and its compositions.

Tao Klardjeti temples of IX – X centuries are distinguished by their innovations of ornament cross – Ishkhani, Parkhli, Tbeti and Kumurdo (X century) decoration crosses.

The decorative crosses of X – XI centuries generally are ornamented and express innovative features of after previous period cross structures.
While discussing Cathedral decoration Alaverdi Temple (XI century) east face composition is especially notable.

Specific individuality is expressed by the Svetitskhoveli decorative Crosses with their structural and compositional features.

The east face of the Samtavisi temple (XI century) is distinguished by its front decoration, while all the composition is linked to the large scale well processed cross placed on the central column. The described system is the commencement of the following period temple decoration.

The couple of windows with cross composition appeared through the developed middle ages in Kvatakhevi (XII – XIII centuries) Phitareti (XIII century) Akhtala (XIII century) etc.

The decoration of the middle ages completely follows temple face separation with its cross image.

The discussed topic presents the opportunity completely imagine the role of the Cross – Christian symbol – for Georgian cross dome temple schematic and face decoration development.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

1. ლიტერატურის მიმოხილვა;

2. შედეგები და მათი გასჯა;

2.1. ჯვრის თემა ქართულ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (ზოგადი მიმოხილვა);

2.1.1. ჯვრის სიმბოლიკური გამოსახულებები წინაქრისტიანულ პერიოდში;

2.1.2. ჯვრის სიმბოლიკა ქრისტიანული პერიოდის საქართველოში;

2.2. ჯვრის თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIII სს);

2.2.1. ქართული ხუროთმოძღვრება წინაქრისტიანულ პერიოდ-ში;

2.2.2. ჯვარი, როგორც თეოლოგიურ-სარწმუნოებრივი (იდეოლოგიური) საფუძველი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისა;

2.2.3. ჯვრის თემა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლების გეგმარებით კომპოზიციაში;

2.2.4. ჯვრის თემა ქართული ხუროთმოძღვრების სივრცით კომპოზიციაში;

2.2.5. ჯვარი – ქართული ხუროთმოძღვრების დეკორის ელემენტი;

3. დასკვნა;

ლიტერატურა.

სურათების ნუსხა

სურ.1, 2, 3, 4

ჯვრის გამოსახულებები წინაქრისტიანული და ქრისტიანული პერიოდის სახვით და დეკორატიულ–გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე

(გვ.109,110,111,112)

სურ.5

წინაქრისტიანული პერიოდის საკულტო ძეგლების გეგმები

(გვ.113)

სურ. 6, 7, 8, 9, 10, 11

ქრისტიანული პერიოდის ქართულ ტაძართა გეგმარებითი ჯვრები

(გვ.114,115,116,117,118,119)

სურ. 12, 13, 14

ქართულ ქრისტიანულ ტაძართა ჯვრული გარე მოცულობები

(გვ. 120,121,122)

სურ. 15

ქრისტიანული პერიოდის ზოგიერთი ქართული ეკლესიის შიდა ჯვრული მასები

(გვ.123)

სურ. 16-დან 23-მდე

ქართულ ქრისტიანულ ეკლესიათა ფასადებზე არსებული დეკორატიული ჯვრები და კომპოზიციები

(გვ.124-დან-138-მდე)

მადლიერება

უღრმეს პატივისცემას და მადლიერებას გამოვხატავ არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის, აღმოსავლეთ ქვეყნების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის ბატონ ***ჰამლეტ მოსულიშვილის*** მიმართ, მისი უანგარო და მაღლაკვალიფიციური რჩევებისა და კონსულტაციების გამო

მადლობელი ვარ, ჩემი რეცენზენტების ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის ***თამაზ სანიკიძის*** და არქიტექტურის დოქტორის, სრული პროფესორის ***ნანა იაშვილის*** – მათი ყურადღებიანი. საქმიანი და კეთილშობილური დამოკიდებულებისათვის.

მადლობელი ვარ არქიტექტურის ფაკულტეტის სრული პროფესორის, არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორის ***ნანული თევზაძის*** და საინჟინრო გრაფიკის პედაგოგის ***ნინო ნოზაძის*** – მათი გულწრფელი მორალური თანადგომისათვის.

მადლობელი ვარ დედაჩემის ***ზინა კიკილაშვილის***, რომელიც ყოველთვის მედგა გვერდით.

შესავალი

ჯვარი რელიგიის წიაღიდან აღმოცენებული ნიშანია. იგი ფართოდ გავრცელდა უძველესი ხალხების ხელოვნებაში.

ქართულ სინამდვილეში ჯვარი სხვადასხვა სიმბოლურ გამოსახულებებთან ერთად არსებობდა ჯერ კიდევ ზედა–პალეოლითის ხანიდან.

წინა ქრისტიანულ პერიოდში ჯვარი ძირითადად გამოსახული იყო ყოფით ნივთებზე და მათ საკულტო-რიტუალური დანიშნულება გააჩნდათ. თავისი არსებობის მანძილზე იგი იძენდა სხვადასხვა ფორმას და შინაარსს.

ყველაზე ვრცლად ჯვრის სიმბოლო აისახა ქრისტიანული პერიოდის სახვით, გამოყენებით და ხუროთმოძღვრულ ხელოვნებაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული პერიოდის ხელოვნების სხვადასხვა დარგების ნიმუშებზე გამოსახულ ჯვრებსა და წინა ქრისტიანული პერიოდის ჯვრებს შორის შეინიშნება მსგავსი სტრუქტურები.

ჯვრის გამოსახულება შეინიშნება ზოგიერთი უძველესი საცხოვრებლის და «დარბაზის» გეგმარებაშიც, მისი ცენტრალური კვადრატული სივრცის გარშემო, რომელიც გადახურული იყო გუმბათისებრივი გვირგვინით, ჯვრისებურად ემიჯნებოდა დამხმარე სათავსოები, ხოლო დარბაზის ძირითადი არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტის დედაბოძის დეკორში ასტრალურ სიმბოლოთა გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯვრებსა და სხვადასხვა ფიგურათა ჯვრულ კომპოზიციებს.

ჯვრის თემამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრების გეგმარებით–მოცულობით სტრუქტურაში და ტაძართა მხატვრულ გაფორმებაში. იგი გახდა საფუძველი შუა საუკუნეების ტაძართა ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

ჯვარი მყარად დამკვიდრდა, როგორც ხუროთმოძღვართა ფუნქციურ კომპოზიციური აზროვნების ამოსავალი საფუძველი. მისმა ასეთმა ფუძემდებლურმა როლმა ქართულ ხუროთმოძღვრებაში წარმოშვა ჩვენი შრომის მიმართულება – შეგვესწავლა პრობლემა «ჯვრის თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIIIსს).

პრობლემის მეცნიერული სახლე მდგომარეობს: ხუროთმოძღვრების ისტორიაში ჯვრის თემის პირველად, ასე ფართოდ და მიზანმიმართულ, მეცნიერულ შეწავლაში.

ქართული ხუროთმოძღვრება, როგორც ცნობილია კარგად არის შესწავლილი კომპოზიციურ-მხატვრული და ისტორიული თვალსაზრი-სით, მაგრამ ნაკლებად იყო გაშუქებული მისი თეოლოგიურ-სარწმუნოებრივი მხარე, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს ჯვარს.

შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჯვრის თემის ფართო წამოწევა ქრისტიანული იდეოლოგიის გაძლიერებით აიხსნება.

ქართულ ქრისტიანულ ხუროთოძღვრებაში ***პრობლემის შესწავლის საგნად*** მივიჩნევთ ყველა იმ ხუროთმოძღვრულ ნაგებობასა და ფორმას, რომელშიც აისახებოდა ჯვრის სიმბოლო. იგი ძირითადად მოიცავს ძეგლების გეგმარებით-მოცულობით სტრუქტურებს და დეკორს. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ძეგლები, რომელთა გეგმარებითი და სივრცითი ფორმა ჯვარს არ გამოსახავს (ბაზილიკები, მრავალაფსიდიანი ეკლესიები და სხვა), მაგრამ ეს სიმბოლო მაინც არსებობდა მათ დეკორში, როგორც დეკორატიული ჯვრები, რომელთა კვლევასაც ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული მასალა გაბნეულია უამრავ მეცნიერულ და არქიტექტურულ ლიტერატურაში, მაგრამ სახვით, გამოყენებით ხელოვნებაში და არქიტექტურაში კომპლექსურად შესწავლილი არ გვხვდება. ჩვენ შევეცადეთ რამდენადმე შეგვევსო ეს

ნაწილი თეორიისა. საკულტო ხუროთმოძღვრების კვლევისათვის გამოყენებული ეს სიახლე, ვფიქრობთ, გარკვეულ როლს ითამაშებს ქართული ხელოვნების ისტორიაში.

ძეგლების ჯვრისებრ-გეგმარებითი სტრუქტურა ორგანულ ერთიანობაში იყო სივრცით-მოცულობით კომპოზიციასთან, რომელსაც აგვირგვინებდა ნაგებობის სტრუქტურული წყობის წარმმართველი გუმბათი, ასევე გუმბათქვეშა კვადრატი. ეს უკანასკნელი კი იყო ნაგებობის ჯვრული გეგმის ცენტრალური არე, საიდანაც ვითარდებოდა გეგმიური ჯვრის მკლავები.

ეკლესიათა ჯვრისებრ-გეგმარებითი მოცულობითი კომპოზიცია იცვლებოდა, როგორც ფორმით, ასევე ზომებით, თუ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბების დასაწყისში მათი გეგმარების საფუძველში იდო ჯერ კიდევ ტოლმკლავა და მოკრძალებული ჯვარი, განვითარებულ შუა საუკუნეებში თანდათან, ეკლესიათა ფუნქციის განვითარებასთან ერთად, ისინი იღებდნენ დომინირებულ მდგომარეობას თავისი მკვეთრად გამოსახული აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ წაგრძელებული კანონიკური ფორმით. კათედრალების შექმნის ეპოქაში კი ძეგლთა მონუმენტურობასთან ერთად აღწევენ უზარმაზარ ზომებს.

საუკუნეების განმავლობაში ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრება იდეოლოგიურ სიმბოლოზე–ჯვარზე და მის სხვადასხვა კომპოზიციურ ფორმებზე დაყრდნობით, მიუხედავად ქვეყანაში ხშირად არსებული რთული ისტორიულ-პოლიტიკური მდგომარეობისა აღმავალი, განვითარებადი გზით მიიწევდა და ქმნიდა მსოფლიო ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში გამორჩეულ და მაღალმხატვრულ ინდივიდუალურ ნიმუშებს.

პრობლემის აქტუალობა – ვინაიდან ჯვრის თემა იყო საფუძველი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების, ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ტაძართა გეგმარებით–მოცულობითი და კომპოზიციურ–

კონსტრუქციული სტრუქტურის ფორმირებისა და განვითარებისა, ამიტომ ამ პრობლემის შესწავლა უნდა წარმოადგენდეს აქტუალურს ქართული ხუროთმოძღვრების თეორიაში. შესაბამისად, ჯვრის თემას არქიტექტურული პრაქტიკის ამოცანათა შორის თავისი ადგილი უნდა ეკავოს, როგორც ქრისტიანული ხელოვნების იდეოლოგიურ, წარმართველ ძალას.

აღნიშნული თემის დამუშავება უფრო ნათლად წარმოაჩენს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ-მხატვრულ და კომპოზიციურ-კონსტრუქციულ სახეს, სადაც ჯვრისებრ გეგმარებითი-მოცულობითი სტრუქტურა დიდ როლს თამაშობდა. მას თავისი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე თანამედროვე ხუროთმოძღვრული ხელოვნების მემკვიდრეობის შეწავლის საქმეში.

ჯვრის თემის დამუშავება ხუროთმოძღვრებაში, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი იქნება აგრეთვე ქართველი ერის ისტორიის უკეთ გაგებაში და შეწავლაში. მისი კვლევა სრულყოფილად დაგვანახებს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ღრმად თვითმყოფადი სახის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

პრობლემის ასეთი სახით წარმოჩენა მიგვაჩნია, რომ ხელს შეუწყობს ერთ მთლიანობაში გავიაზროთ ჯვრის თემით გაერთიანებული ქართული ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრული ხელოვნება, მისი სხვადასხვა გეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურები: «თავისუფალი ჯვარი», «ჩახაზული ჯვარი», ტეტრაკონქები, ტრიკონქები; მათი კონსტრუქციის განმსაზღვრელი ელემენტები გეგმარებაში, სივრცით-მოცულობით ფორმებში.

ამ მიმართულებით საინტერესოა აგრეთვე საკულტო ძეგლების ფასადებზე და ინტერიერში არსებული ჯვრული დეკორატიულ კომპოზიციათა სტრუქტურის კვლევა გეომეტრიულ-გრაფიკული ხერხების გამოყენებით. მათი ფორმათა ანალიზი და განზოგადოება

დაგვეხმარება გავარკვიოთ ძეგლების ფასადების მხატვრულ-დეკორატიული გადაწყვეტის პრინციპები, მათი წარმომავლობა გავრცელების არეალი, მათი ადგილი და მნიშვნელობა საკულტო ხუროთმოძღვრებაში.

საწყისი პერიოდის ძეგლებზე მარტივად გამოსახული ჯვრები შემდგომში იცვლება, ჯვრის მაღალმხატვრული დეკორატიული კომპოზიციებით. ხშირად ისინი მთელი ეპოქის სტილს განასზღვრავდა და ქრისტიანული სამყაროს ხუროთმოძღვრებაში მკვეთრად გამოყოფდა ქართულ ძეგლებს.

შრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს პრობლემის კვლევით გამოვლენილი და ერთ სისტემაში მოყვანილი ჯვრის სიმბოლიკის მნიშვნელობით, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების თეორიაში ასევე თანამედროვე არქიტექტურის და განსაკუთრებით საკულტო ხუროთმოძღვრების ფორმირების საქმეში.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ქართული ხუროთმოძღვრება კარგად არის შესწავლილი არსებულ ლიტერატურაში. გაშუქებულია მისი ისტორიული და მხატვრული მხარეები, განხილულია კომპოზიციური სტრუქტურის ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებები.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული საკულტო ხუროთმოძღვრული ნაგებობები იქმნებოდა ჯერ კიდევ წინა ქრისტიანულ პერიოდში. შემდგომში ქრისტიანული რელიგიის ჩასახვასთან ერთად ჩაისახა და განვითარდა მისი დამახასიათებელი ხუროთმოძღვრებაც და შუასაუკუნეებში ჩამოყალიბდა უკვე, როგორც მაღალმხატვრულ და თვითმყოფადი ეროვნული არქიტექტურული ხელოვნება.

ქართული ქრისტიანული ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობების გეგმარებით-მოცულობით კომპოზიციურ სტრუქტურას, მის ჩასახვასა და

განვითარებას საფუძვლად დაედო ქრისტიანული სიმბოლო ჯვარი, რომელიც მისი განვითარების ბოლომდე გახდა წარმმართველი იდეოლოგიური და კომპოზიციურ-კონსტრუქციული ფორმირების ძალა.

ამრიგად, ჯვრის თემა გახდა ფუძემდებლური მოვლენა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, რომლის კვლევის სურვილმა განაპირობა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის წარმოშობა და დასახელება: «**ჯვრის თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIII სს)**».

არსებული ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებას თან ერთვოდა ჯვრის, როგორც სიმბოლოს ასახვა ხელოვნების ყველა დარგებში, მაგრამ ჯვარს სხვადასხვა ფორმებით ვხვდებით ჯერ კიდევ წინაქრისტიანული პერიოდის სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე.

ქრისტიანულ პერიოდში ჯვარი რელიგიის კანონების შესაბამისად ვრცელდებოდა ფართოდ და ყოვლისმომცველად. ყველაზე შტამბეჭდავად, ვრცელი მასშტაბით, ჯვარი ასახული იქნა ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში არქიტექტურაში, ნაგებობათა გეგმარებაში, მათ შიდა სივრცეებში და გარე მოცულობაში, ინტერიერში და ფასადებზე.

ამრიგად, ჯვრის თემა, რომელიც ჯერ კიდევ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აისახებოდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხუროთმოძღვრებაში, მისი ძეგლების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

სადისერტაციო თემის სრულყოფილი დამუშავებისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ ჯერ ზოგადად შეგვესწავლა ჯვრის თემა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ამისათვის მიმოხილული იქნა ამ სფეროში არსებული ლიტერატურა.

ჯვრის გამოსახულებები, მათი ფორმები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე გაშუქებულია მრავალ ლიტერატურაში. კერძოდ, ამ საკითხს შეეხნენ შემდეგი ავტორები:

სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი. სამშობლო 1993წ. გვ. 3-210.

ნაშრომში ვრცლად და ყოველმხრივ არის ცდა ქართულ ორნამენტში ჯვრის სიმბოლოს შესწავლაზე. აქვე მოცემულია სხვადასხვა ხალხთა კულტურაში არსებული ჯვრის და ჯვრული კომპოზიციათა გამოსახულებების ავტორისეული ანალიზი.

Геометрические символы. Формы креста. http://www.pravmir.ru/.

Кузнецов В. Историа развития формы креста. Москва «Жизнь вечная». 1997 г. 1-16 стр. kuzntcov http://www.icxc nika.ru/texts/books/

ორივე ნაშრომში მოცემულია მსოფლიოში გავრცელებული ჯვრების სხვადასხვა ფორმები და მათი მოკლე ანოტაციები.

ბარდაველიძე ვ. ჩიტაია გ. ქართული ხალხური ორნამენტი. ხევსურული. თბილისი. საქ. მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალი. 1939წ. გვ. 1-37.

ავტორები აღნიშნულ ნაშრომში იხილავენ როგორც ქართული ხელოვნების ნიმუშებზე გამოსახულ ჯვარს, ასევე წინა ქრისტიანული პერიოდის ძველ აღმოსავლეთში არსებულ ჯვრებს.

Массон В. Средная Азия и древный восток. Москва-Ленинград. изд. «Наука» 1964 г. стр. 356-439.

Лисицына Г. Массон В. Сарианида В. Хлопин И. Итоги археологического и палеографического изучения геоксюрского оазиса.(1956-1962гг) Москва-Ленинград. Изд. «Наука». 1965 г.С.А. I . стр.9-23.

ავტორები აღნიშნულ შრომებში წარმოადგენენ ადრექრისტიანული პერიოდის ჯვრის გამოსახულებიან ყოფით ნივთებს.

ნ. ჯაფარიძე. ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, გამომცემლობა ხელოვნება თბ. 1981 წ. გვ. 5-104

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში და მის გარეთ არსებული სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშებთან ერთად ჯვრის გამოსახულებიანი უძველესი ნივთები.

Рыбаков Б. Космогония и Мифология земледельцев энеолиста. . С.А. №1 Изд. «Наука». 1965 г. стр.24-45. აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია უძველესი ოთხნაწილიანი, ჯვრული კომპოზიციები, რომელთაგან წარმოვადგენთ მხოლოდ ნაწილს.

კლდიაშვილი ა, იზორია მ. ხელოვნების ისტორია მოზარდთათვის. საქართველო უძველესიდან გვიანბრინჯაო ადრე რკინის ხანამდე, ტ. I, თბილისი. გამომცემლობა «ლოგოს პრესი». 2001წ. გვ.4-7

ნაშრომში მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი ჯვრის გამოსახულებები.

საქართველოში აღმოჩენილი ჯვრები და სვასტიკის გამოსახულებიანი ნიმუშები წარმოდგენილი აქვთ ავტორებს:

სანიკიძე თ. უფლისციხე გამოც. საბჭოთა საქართველო თბ. 1987წ. ხახუტაშვილი დ. უფლისციხე გამომც. მეცნიერება თბ. 1964 წ. და ლორთქიფანიძე ო. ძველი კოლხეთის კულტურა. თბილისი. ხელოვნება. 1972წ. გვ. 5-75.

საქართველოში (სვანეთში) სწორმხრებიანი ჯვრის უძველს წარმომავლობას ადასტურებს ავტორი – **ბარდაველიძე ვ. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი. სსრკ. მეცნ. აკად. მოამბე. 1953წ. გვ. 74-83**

ჯვრები ასახულია უძველეს დამწერლობებში. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ავტორების ნაშრომები: **ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია თბ. სახ. უნივერსიტეტი 1948 წ. გვ. 218; გამყრელიძე თ. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989 წ. გვ. 29-46.**

ძველი ქართული ანბანის გრაფიკულ გამოსახულებებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხმაურებიან ავტორები: **ქაფიანიძე ზ., მიბჩუანი თ. შუმერი კაცობრიობის პირველი ანბანი, შუმერულ-**

ქართული ასომთავრული, შუმერულ-ქართული პარალელები. თბილისი გამომც. შ.პ.ს. «ფირმა», 2002 წ. გვ. 195-493

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ხალხთა უძველეს ანბანურ დამწერლობაში არსებული ჯვარი მსგავსია ქართულ ანბანში არსებული ასო «ქ»-ს გამოსახულებისა, მარტივი ხაზოვანი სტრუქტურის საფუძვლით, რასაც მოწმობს ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა, რომელიც მოთავსებულია ნაშრომში: **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. 1987წ. ტ.11. გვ. 440.**

ქრისტანული რელიგიის სიმბოლოს განსაკუთრებული სახის – წმინდა ნინოს ჯვრის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია თბილისი საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. 1981წ. ტ.7. გვ. 438.**

აღნიშნულ შრომებში აღწერილია წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში, მის მიერ ვაზის ჯვრის შექმნა ნასხლავისაგან, მცხეთაში სამი ჯვრის აღმართვის ისტორია და საეკლესიო მშენებლობის დასაწყისი.

ქვრივიშვილი თ. სვეტიცხოვლის მისტერია გამოცემლობა «ნეკერი», თბ. 2010წ. გვ.309-341. ავტორი მცირე ასტრონომიული, მათემატიკური კვლევის საფუძველზე აანალიზებს წმ. ნინოს ჯვრის მკლავებს შორის არსებულ კუთხთა სიდიდეს. წარმოდგენილი მასალა თეორიულ-გრაფიკული სახით გვაძლევს ავტორისეულ შეხედულებებს აღნიშნულ საკითხზე.

ქრისტიანობის შემოსვლით, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჯვრის ასახვა ხდება ხელოვნების სხვა დარგშიც, რასაც ადასტურებს შემდეგი ნაშრომები:

კაპანაძე დ. მონეტები და ისტორიული ფაქტები. თბილისი. ძეგლის მეგობარი 23. გამომც. საბჭ. საქ. 1970წ. გვ.8-10

მჭედლიძე თ. საქართველოს სიბოლიკა თბილისი 2009 წ. გვ. 203-206.

ხუსკივაძე ლ. შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი საქ. ხელოვნების მუზეუმში. თბილისი. ხელოვნება. 1984 წ. ალბომში წარმოდგენილია ქრისტიანული პერიოდის დეკორატიული ჯვრები. ხახულის კარედი ხატიდან და ცალკე დამოუკიდებელი, ტიხრული მინანქრით შესრულებული ჯვრები. მოცემული ნიმუშები მიეკუთვნებიან VIII-XIII საუკუნეებს. ზოგიერთი ჯვრის სტრუქტურული ფორმა, საკულტო ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე ასახული ჯვრების პარალელს წარმოადგენს.

საყვარელიძე თ. XII ს. ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან გამომც. თბ. 1980 წ. გვ.3-68.

აღნიშნულ ნაშრომშიც ვხვდებით ჯვრების ისეთ ფორმებს, რომლებიც მსგავსია საკულტო ხუროთმოძღვრებაში არსებული ზოგიერთი ჯვრის.

ჯვრის გამოსახულება იკვეთება ქვაშიც (მცირე პლასტიკა). იქმნება მრავალფეროვანი და საინტერესო კომპოზიციები. ქვაჯვარებზე და სტელებზე შექმნილ ნაშრომთა შორის გამოვყოფთ:

Мачабели К. Каменные кресты Грузии Изд. Тб. Университета 1998г.

Чубинишвили Н. Рельеф «Вознесение креста на каменном кресте из селения Качагани, თბილისი. საქ. მეცნ. აკად. ხელოვნების ინსტიტუტის შრომები. ტ.6. 1963წ. გვ. 9-27.

აღნიშნულ შრომებში მოცემულია ქვაში კვეთილი სხვადასხვა სახის ჯვრები ავტორისეული ანალიზით. მათი ზოგადი ფორმები მსგავსებას იჩენენ ქრისტიანულ ეკლესიათა ფასადებზე გამოსახულ ჯვრებთან.

ლიტერატურულ წყაროებში ზოგადადაა წარმოდგენილი ჯვრის სხვადასხვა გამოსახულებები წინაქრისტიანული და ქრისტიანული პერიოდის ხელოვნების ნიმუშებზე, რომელბმაც ცხადია თავისი გავლენა იქონია ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ჯვრის ფორმის

ჩამოყალიბების საქმეში. მაგრამ, ჩვენი ძირითადი კვლევა მიმართული იყო ჯვრის თემისადმი ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში. იგი მოიცავს ფართო მასალას. აქ მნიშვნელოვანია მისი საწყისი პერიოდის ტაძართა ფორმირების გზები, რომელთა შესახებ ლიტერატურა გვამცნობს, რომ ქრისტიანულ ეპოქაში საქართველოში საკმაოდ მძლავრად იყო განვითარებული წარმართული ტაძრებიც.

ყიფიანი გ. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბილისი. მეცნ. აკად. არქეოლოგ. კვლევის ცენტრი, მცხეთის არქეოლოგ. ინსტ. აკად. შ. ამირანაშვილის სახ. საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმი. 2000 წ. გვ. 84-118.

ავტორის აზრით ქრისტიანული საკულტო ნაგებობების ჩამოყალიბებაში შესაძლოა გარდაუვალი როლი ითამაშა წინაქრისტიანული პერიოდის ხუროთმოძღვრებამ. ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხებიდან გამომდინარე ავტორს მიაჩნია, რომ მონუმენტური არქიტექტურის განვითარების პროცესი მსგავსია აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონში მიმდინარე მოვლენებისა ძველ საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წინაქრისტიანული ტაძრები გარკვეული მძლავრი წარმართული სარწმუნოების საფუძველზე შემუშავდა და არ შეიძლებოდა ისინი ახალი იდეოლოგიის გამოჩენისთანავე გამქრალიყო. ხუროთმოძღვრების წინაქრისტიანული ფორმები და სახეები ახალი ქრისტიანული რელიგიის განვითარებას უნდა შეხამებოდა.

ავტორი ხაზგასმით გამოყოფს საკულტო ნაგებობათა ჯვარ-გუმბათოვანი სისტემის წარმოშობის პროცესს. მისი აზრით ეს სისტემა საქართველოში შეიქმნა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული წინაქრისტიანული მოდელის მქონე ნაგებობათა ცენტრული კომპოზიციით, რომელშიც აისახა თემატიკითაც და ფორმითაც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო ჯვარი. ჩვენი აზრით ეს არის

მნიშვნელოვანი დეტალი აღნიშნული ნაშრომისა, რომელიც სხვა მკლევარებისაგან განსხვავებული პოზიციით წარმოგვიდგენს ტაძართა ჯვარ-გუმბათოვანი სისტემის საფუძველს.

სუმბაძე ლ. ქართული ხით ხუროთმოძღვრება. თბილისი. ხელოვნება. 1985წ. გვ.5-38.

ნაშრომში გამოყოფილია საქართველოში არსებული დარბაზის შინაგანი სივრცის სტრუქტურები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება გადახურვათა კიბურ– გუმბათოვან სტრუქტურას, თავისუფლად მდგარი დედაბოძებზე.

ავტორი ასკვნის, რომ ქართული ხალხური ხით ხუროობის მიღწევები საფუძვლად დაედო შუასაუკუნეების მონუმენტური ხუროთმოძღვრების ზოგიერთ სტრუქტურას, იგულისხმება მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრები, სადაც ტრომპების საფუძველზე აღმართულია გუმბათური გადახურვა.

აღნიშნულ ნაშრომში არის ინფორმაცია ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების გადახურვის გენეზისის შესახებ.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი პირველი ღრმა მკვლევარია გ. ჩუბინაშვილი, რომელიც სათავეს უდებს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის შესწავლას მეცნიერულ დონეზე.

ჩუბინაშვილი გ. სევეროვი ნ. ქართული არქიტექტურის გზები, ტფილისი. გამომცემლობა «ტექნიკა და შრომა». 1936წ. გვ. 7-179.

ავტორთა აზრით ქართული არქიტექტურის განვითარების რთული გზა ორგანული ხასიათისაა და მას ფართო ხალხური ფუძე გააჩნია. ძეგლების არქიტექტურა გამოირჩევა ცენტრულობით. ესენია ცენტრალურ-გუმბათოვანი, ტეტრაკონქის, ტრიკონქის, ჯვრული გეგმების მქონე ნაგებობები.

შრომაში ნინოწმინდის კათედრალი მიჩნეულია ტეტრაკონქის თემაზე შექმნილ გუმბათურ ნაგებობად, რომლის კომპოზიციის ძიებამ

შექმნა საფუძველი ტაძრის კლასიკური ფორმა – მცხეთის ჯვრის გენიალური ნაგებობა.

აქვე აღინიშნება სომხურ არქიტექტურაში განვითარების მსგავსი ტენდენცია.

შემდეგ ავტორები მიუთითებენ, რომ ქართული არქიტექტურის განვითარების გზაზე იქმნება ახალი არქიტექტურულ-კონსტრუქციული სტრუქტურა წრომის ტაძრის სახით, სადაც გუმბათის საყრდენი უკვე არის ოთხი თავისუფლად მდგარი ბოძი. აქ ხაზგასმულია კვადრატის ოთხივე მხარეს ჯვრისებურად გაწვდილი თანაბარი სიგრძის მკლავები. ასევე გამახვილებულია ყურადღება ტაძრის არქიტექტურულ შემკულობაზე – ორნამენტზე.

მიჩნეულია, რომ ზოგადად ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ტაძართა მრავალნაირი ფორმებიდან გამოიყოფა ტიპი – გრძელი ტაძარი, ჯვარედინზე თავისუფლად მდგარი ბოძებით და მათ ზემოთ გუმბათით.

ავტორთა აზრით ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის კოლოსალური სივრცის ტაძრები (ბაგრატი, ალავერდი, სვეტიცხოველი) საერთო საფუძველზე ავითარებენ ინდივიდუალურ მხატვრულ შემოქმედებას და ახორციელებენ ადრეულ ეტაპს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მოწიფულობისაკენ გადასვლას.

ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია გამომცემლობა ტფილისი. სახელგამი 1936 წ. ტ. I გვ. 3-218.

ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევართა შეხედულებების განსჯის შემდეგ ავტორი ეტაპობრივად იხილავს არქიტექტურულ ძეგლებს, საიდანაც გამოიყოფა ჯვრის თემასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესიის (Vს) ანალიზით იწყება.

ნაშრომში ვრცლადაა საუბარი ბოლნისის ტაძრის ორნამენტულ მორთულობაში არსებული ჯვრების მრავალსახეობაზე. მიჩნეულია, რომ

საერთოდ ტაძრის ორნამენტული მორთულობა მსგავსებას იჩენს ირანულ, სასანიდურ და ქრისტიანულ სირიულ ხელოვნებასთან.

ავტორი განსაკუთრებით გამოკვეთს ერთკონქიანი ჯვრული გეგმის და მის პარალელურად წარმოქმნილი ფორმების – ტეტრაკონქის, ტრიკონქის საფუძველს. წარმოდგენილია ჯვრისებრი გეგმების ნაგებობები (VIს) ძველი გავაზი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, იყალთოს მონატრის პატარა ეკლესია, შიომღვიმის მონასტრის ძველი ეკლესია. ასევე გამოიყოფა VI ს-ის ჯვრისებრ-გუმბათიანი ეკელსიის რთული კომპოზიციის მქონე ნინოწმინდის კათედრალი, რომელიც მიჩნეულია გარდამავალ საფეხურად ახალ ფორმათა ძიების გზაზე.

განსაკუთრებული სიღრმითაა აღწერილი მცხეთის ჯვარი, ხაზგასმულია ტაძრის ჯვრული ფორმა ოთხი აფსიდური მკლავით, რომლებიც ასახავენ ტეტრაკონქულ სისტემას.

აქვე ამ ძეგლში ფასადთა დეკორატიული მორთულობიდან გამოიყოფა სამხრეთის შესასვლელის ჯვრის ამაღლების კომპოზიცია და გუმბათზე გამოსახული რელიეფური ჯვარი.

ნაშრომში ასევე განიხილება მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლები: ატენის სიონი, მარტვილის ტაძარი, ძველი შუამთის პატარა ეკლესია.

შესწავლილია «ჩახაზული ჯვრის» გეგმის მქონე წრომის ტაძარი, სადაც მკვეთრად ისახება ოთხ თავისუფლად გამოყოფილ მაღალ სვეტზე აღმართული გუმბათი და გუმბათქვეშა კვადრატთან დაკავშირებული ერთკონქიანი გეგმარებითი ჯვრული სტრუქტურა. გეგმის ასეთი გადაწყვეტა იძლეოდა ნაგებობის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ გაზრდის საშუალებას. ტაძრის გარე ფორმებში, სახურავის დონეზე იკვეთებოდა მძლავრი ჯვრული მოცულობები.

ავტორი იხილავს ასევე ძველი ქართული ხუროთმოძღვრების აყვავების ხანის ძეგლებს იშხანს და ბანას (VIIს). ბანას ტაძარში

ჯვრული ფორმის შიდა სივრცე განსაზღვრულია გუმბათქვეშა კვადრატითა და ოთხი აფსიდალური მკლავით.

ცენტრალური გუმბათოვანი ნაგებობებიდან ავტორი გამოყოფს სამწევრისის (VIIს), მანგლისის (XIს), კისისხევის (VIII-IXს) ეკლესიებს.

«ქართული ხელოვნების ისტორია» მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მკვეთრად გამოიყოფა ჯვრის თემასთან დაკავშირებული ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობები და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ჩუბინაშვილი გ. მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი. თბილისი. უნივერსიტეტის მოამბე. 1922-23წწ. გვ.22-65.

ნაშრომში განხილულია ტაძრის ჯვრული ფორმა, მისი შიდა კონსტრუქცია და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ნაგებობის შიდა სივრცე იქმნება ცილინდრული კამარების მქონე ჯვრის მკლავებით, ხოლო ცენტრალური კვადრატი გადახურული ყოფილა ჯვრისებური კამარით.

შენობის გარე ჯვრის ფორმას განსაზღვრავდა ჩრდილო, სამხრეთ სტოები. ავტორის მითითებით დეკორატიული დეტალი ეკლესიისა არის განედლებული ჯვარი, რომელიც მიჩნეულია IV-VI სს-ში რომის ეკლესიების კედლის მხატვრობაში არსებული ჯვრების მსგავსად. აღნიშნულ ჯვარს ორი განედლებული შტოთი, შმდგომში ვხვდებით წრომის ტაძრის ფასადებზე. ავტორი პარალელს ავლებს სომხური ასეთი ტიპის ჯვრებთან და მიუთითებს მათ განსხვავებულ გრძელ ფორმაზე. მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის შიგნით ცენტრალურ კამარაზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი.

ჩუბინაშვილი გ. ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი. თბილისი სსგუს პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა – არილი 1925წ. გვ.107-126

ნაშრომის მთავარი თემაა ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები – ალავერდი, ბაგრატი, სვეტიცხოველი. ესაა ნაგებობები თავისუფლად

მდგომი გუმბათქვეშა სვეტებით, რომელიც არის შედეგი საშუალო საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებით განსაზღვრული შინაგანი განვითარებისა. და თვითგამორკვევისა. კათედრალების შედარებითი ანალიზით, თითოეულის ინდივიდუალური ფორმებით და გამოყენებული მხატვრული მეთოდების განხილვით ავტორი წარმოაჩენს წინა განვითარებისაგან განსხვავებულ ხასიათებს და მიუთითებს, რომ ხუროთმოძღვრებს არ იტაცებდა ახალი კონსტრუქციები. იქმნებოდა მხოლოდ გრანდიოზული კომპოზიციის მთლიანი ნაგებობები, რომელებსაც მნახველში ამაღლებული განწყობილება უნდა გამოეწვია. სამივე კათედრალი ინდივიდუალური მხატვრული შემოქმედებით არის შექმნილი.

აღნიშნული ნაშრომით ავტორისეული მოსაზრებების დახმარებით შესაძლებელია უფრო ღრმად მოხდეს გაანალიზება ძეგლების გეგმარებაში, მოცულობით სტრუქტურაში ჯვრის როლის მნიშვნელობისა. ამავდროულად განმტკიცდეს მოსაზრება ზოგიერთი დეკორატიული პრინციპის წარმოშობის და განვითარებისა.

ქართული ხუროთმოძღვრების პირველი აყვავების მნიშვნელოვანი ძეგლი – მცხეთის ჯვრის ტაძარი და მისი ტიპის ძეგლები განხილულია გ. ჩუბინაშვილის საქართველოს ხელოვნების ისტორიაში, მაგრამ აღნიშნული თემა არის ასევე ცალკე შრომად.

Чубинашвили Г. Памятники типа Джвари. Тбилиси. изд. Акад. Наук Груз. ССР. 1948г. стр. 3-197

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ჯვრის გეგმისა და მოცულობის მქონე მცხეთის ჯვრის მცირე და დიდი ტაძრები. მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის შიდა სივრცე ორგანულ შესაბამისობაშია მის ჯვრულ გეგმასთან. ტეტრაკონქის გეგმიდან გამომდინარე ტაძრის ცენტრალური გუმბათქვეშა ნაწილი ჯვრულად იხსნება ოთხივე მხარეს აფსიდებით. ცენტრალურ კვადრატთან კუთხის დამხმარე სათავსოები დაკავშირებულია წრიული ნიშნებით. ისე როგორც გეგმა, მთლიანი

ნაგებობაც წაგრძელებულია ძირითადი დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის მიმართულებით.

მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებიდან, განხილულია მისი ასლი – ატენის სიონი (VIIს), ძველი შუამთის პატარა ეკლესია (VIIს), მარტვილის ტაძარი (VIIს) გეგმიური და სივრცითი სტრუქტურული ელემენტების სიდიდეთა ცვლილებებით.

მცხეთის ტიპის ტაძართა საერთო ნიშანია – ტეტრაკონქული ჯვარ-გუმბათოვანი კომპოზიცია. აქვე ზოგადადაა დახასიათებული ტაძართა საფასადო დეტალები.

მცხეთის ჯვრის ტიპი თავის ასახულობას პოულობს აფხაზეთის ეკლესიებშიც ჩამხუსი, დრანდა.

მიგვაჩნია, რომ მთავარი ამ ნაშრომში არის გეგმარებითი ჯვრის-ტეტრაკონქის შემადგენელ ელემენტთა ცვალებადობა, რომელიც იწვევს მოცულობითი ჯვრის ცვლილებებსაც, მაგრამ ჯვრის თემა უცვლელია ყველა კომპოზიციაში.

Чубинашвили Г. Болнисский Сион. თბილისი. აკად. ნ. მარის სახელობის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. საქა. სსრ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის გამომცემლობა, 1940წ. ტ IX, გვ. 122-192

აღნიშნულ ნაშრომში გამოყოფილია მნიშვნელოვანი დეკორატიულ-მხატვრული ელემენტები, რომლებიც მსგავსებას ავლენენ სასანურ ხელოვნებასთან. ნაშრომში დეტალურადაა წარმოდგენილი ტაძრის რელიეფური დეკორატიული ჯვრები. აღნიშნული ნაშრომი სხვადასხვა დეკორატიული ჯვრების გამოსახულებასთან ერთად გვაცნობს «ბოლნური ჯვრის» გავრცელების არეალს და ამ გამოსახულების ისტორიულ მნიშვნელობას, როდესაც ის კონსტანტინეს გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.

Чубинашвили Г. Архитектура Кахети – Текст изд. Акад.Наук. Груз. ССР 1959г. стр. 1-65.

Чубинашвили Г. Архитектура Кахети – Альбом. изд. Акад.Наук. Груз. ССР 1956г. стр. 1-473.

აღნიშნული კვლევის მოკლე ანალიზს გვთავაზობს **ბერიძე ვ. ნაშრომში კახეთის ხუროთმოძღვრება. თბილისი. ჟურნალი «მნათობი» 7. გამოცემლობა საბჭოთა საქართველო 1960წ. გვ.161-168**

ავტორი აღნიშნული ნაშრომის მიხედვით კახეთის არქიტექტურას წარმოგვიდგენს, როგორც მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების მქონე ხუროთმოძღვრებას.

აქ წარმოდგენილია 15 საუკუნის მანძილზე არსებული კახეთის საკულტო ძეგლები, განხილულია მათი მხატვრული თავისებურებები და ღირებულებები. გამორკვეულია კახეთის არქიტექტურის ადგილი ზოგად ქართულ კავკასიურ და მთლიანად «ქრისტიანული» არქიტექტურის ისტორიაში.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების გენეზისი უკავშირედება, ხალხურ საცხოვრებლს («დარბაზს»).

გამოყოფილია VI-VII საუკუნეების გუმბათოვანი ნაგებობები – ძველი გავაზი, ნინოწმინდა, ძველი შუამთა, კისისხევის ყველაწმინდა და სხვა. ევოლუციის თვალსაზრისით კი გამოკვეთილია გურჯაანის და ვაჩნაძიაანის ყველაწმინდა, ნეკრესის გუმბათიანი ტაძარი, იყალთოს მონასტრის მთავარი ეკლესია და სხვა.

განხილულია X-XVIIIსს. გუმბათოვან ძეგლებში – ალავერდი, კვეტერის და ბოჭორმის ციხის ეკლესიები, ფუძნარი და სხვა. დასკვნაში ხაზგასმულია – კახეთის არქიტექტურის თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშნები (მაგ. ზეაწეული პროპორციები და სხვა), მაგრამ მიიჩნევა, რომ იგი ზოგადქართული ხუროთმოძღვრების ორგანული ნაწილი და მნიშვნელოვანი კომპონენტია.

იგივე კახეთის არქიტექტურას ეხება ნაშრომი **Чубинашвили Г. Пути развития архитектури в Кахети – Москва. изд. восточной литературы. 1960г. 1-9 стр.**

ავტორი ძირითადად იგივე ხასიათის მასალას გადმოსცემს, რაც ზემოთ განხილულ ნაშრომში, მხოლოდ მცირე მოცულობით. მიჩნეულია, რომ მთელს ქართულ არქიტექტურაში კახეთის ძეგლები, დაწყებული ადრეული პერიოდიდან, წარმოადგენენ ნაგებობებს, სადაც შინაგანი სივრცე გამოვლენილია გარეგან მასებში. გუმბათური ტაძრები გამოირჩევა გეომეტრიულ ფორმათა წყობის მკაფიო გამოსახულებით, შინაგანი სივრცის სიფართოვით, სიმაღლით, გრანდიოზულობით და ზეაწეული პროპორციებით.

აღნიშნული შრომები ძირითადად ეხება კახეთში არსებულ საკულტო ძეგლების გამოვლენას, მათი ხუროთმოძღვრული სტრუქტურის არწერას, ქრონოლოგიურ, ტოპოლოგიურ დაჯგუფებებს. ავტორი არ გამოყოფს ხაზგასმით კახეთის არქიტექტურულ ძეგლებში არსებულ ჯვრის თემასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი ამას არ ისახავს მიზნად, მაგრამ არსებული მასალა და ავტორისეული კვლევა ძეგლების სტრუქტურასთან დაკავშირებით, გვაძლევს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ კახეთის გუმბათოვანი ძეგლებიდან გამოვყოთ ტიპები, რომელთაც საფუძველში ჩადებულია ჯვარი და მათი შემდგომი განვითარებაც ჯვრის თემას უკავშირდება.

Чубинашвили Г. Вопросы истории искуства. Т1. Тбилиси. изд. «Хеловнеба». 1970 г. стр. 3-320

ავტორი ეტაპობრივად იხილავს ქართულ ქრისტიანულ საკულტო ძეგლებს. მათ კომპოზიციის-სტრუქტურულ ფორმებთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს გუმბათოვანი ძეგლების კვლევისათვის ქართლის და მესხეთის გლეხური საცხოვრებელი «დარბაზის» საფეხუროვან გადახურვას «გვირგვინს» და მის ძირითად საყრდენ ელემენტებს დედაბოძებს.

ავტორის აზრით უძველესი გადარჩენილი ეკლესიები ჭერემი (IVს), ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია (Vს) და მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია (VIს) წარმოადგენენ ცენტრალურ-გუმბათოვანი მიმართულების განვითარებად გადაწყვეტას.

უძველეს სალოცავებში არსებობს სხვადასხვა არქიტექტურული ფორმები, რომელთაც გააჩნიათ პარალელები უძველეს ანტიოქიურ, ეთიოპიურ კვადრატებთან, ირანულ ცეცხლის ტაძრებთან.

ავტორი ხაზგასმით გამოყოფს გეგმით «თავისუფალი ჯვრის» ტიპის V-VIII საუკუნეების გუმბათურ ძეგლებს. ასევე გამოყოფილია VIII-IXსს ძეგლები – მაჩხანი, ქვაბისხევი, რუისი, X-XIსს ძეგლები კუმურდო, ნიკორწმინდა. აღწერს სამ დიდებულ კათედრალს, რომელთა შესახებაც ავტორს ცალკე აქვს ნაშრომი გამოქვეყნებული.

Чубинашвили Г. Из истории средновекового искуства Грузии. Москва. изд. Советский художник. 1990г. стр. 7-130

ნაშრომში განხილული ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ მათგანზე.

მცხეთის ჯვარი, რომელიც მიჩნეულია ეპოქალურ ქმნილებად. იგი ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურული კომპოზიციის ბრწყინვალე გამოვლინებაა. აქვე ავტორი მიუთითებს მცხეთის ჯვრის ტაძრის უპირატესობაზე, მის ინდივიდუალურ ეროვნულ სახეზე. ამავდროულად აღინიშნება ტაძრის დეკორატიული მორთულობის სიახლოვე სასანიდური ირანის ხელოვნების ნიმუშებთან.

ავტორის აზრით ირანული ელემენტების გამოვლენას ადგილი აქვს გრემის (XVს) მთავარანგელოზის ეკლესიის ფასადებზე. ხაზგასმითაა გამოყოფილი გრემის ტაძრის «ბერძნული ჯვრის» ფორმის გეგმა და ფასადებზე გამოყენებული, აგურის რელიეფური წყობით შედგენილი ჯვრები.

ავტორი ხაზს უსვამს, ქართულ არქიტექტურაში არსებულ ნაციონალურ (ეროვნულ) ფორმებთან დაკავშირებით, ფიტარეთის ტაძრის (XIIIს) დეკორატიულ მორთულობას: ჯვრებს, ლომებს, სამხრეთ ფასადის შეწყვილებულ სარკმელებთან არსებულ ჯვრებს და სხვა.

აღნიშნულ ნაშრომში გამორჩეული ადგილი უკავია კახეთის არქიტექტურას, მის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, ავტორისეული ცნობილი ანალიზით.

ავტორი გუმბათიანი ტაძრების დახასიათებისათვის გამოკვეთს საინტერესო დეტალს. კერძოდ, ნაგებობის გარე მოცულობებში ჯვრის ფორმის ამსახველ კედელთა მასების ორქანობიანი სახურავებით გამოვლენას, რაც მიაჩნია ქართული არქიტექტურის საერთო მხატვრულ ამოცანად, რომელიც უკვე გარკვეული იყო მცხეთის ჯვარში და წრომში.

ნაშრომი არის მნიშვნელოვანი წყარო ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, ჯვარ-გუმბათოვან ტაძართა ავტორისეული შეფასებებით.

რჩეულიშვილი ლ. ბოლნისი. თბილისი. ენიმიკის მოამბე. ტ. III 1938წ. გვ. 311-376.

აღნიშნულ ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი ტაძართან დაკავშირებული მხატვრული ელემენტები, ორნამენტული მოტივები და ჯვრები. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლნური ჯვარი მცენარეული მოტივით. მივიჩნევთ, რომ ქართულ ხუროთმოძღვრებაში არსებულ დეკორატიულ მოტივში ეს ჯვარი ერთ-ერთი ადრეული რელიეფია მცენარეულ მოტივებთან ერთად.

რჩეულიშვილი ლ. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი. თბილისი. ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრომები 2, საქ. მეცნ. აკადემია 1948 წ. გვ. 27-46.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ადრექრისტიანული პერიოდის სოფ. აკაურთას, აკვანების და ზღუდერის ეკლესიები, სადაც გამოყოფილია დეკორატიული ჯვრები.

აკაურთას (V-VIსს) სამხრეთ და ჩრდილო ფასადებზე გამოსახულია ჯვრები, რომელთაგან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩრდილო ფასადის მცენარეულ დეკორში ჩასმული ჯვარი. იგი მიიჩნევა ბოლნისის სიონის კაპიტელზე გამოსახული ჯვრის უახლოეს პარალელად.

აკვანების (VI-VIIსს) რელიეფებიდან ავტორი გამოარჩევს ტაძრის მთავარი კარის ტიმპანზე გამოსახულ კომპოზიციას და წრეში ჩასმულ თანაბარმკლავებიან ჯვარს, რომლესაც აქვს ანალოგი ბოლნისის სიონში.

ზღუდერის (VI-VIIსს) დანგრეული ტაძრის შემორჩენილი დეკორატიული მორთულობიდან აღსანიშნავია აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხეველის აფსიდის სარკმლის განედლებული ჯვრის გამოსახულება.

ნაშრომში წარმოდგენილი ჯვრები მსგავსია ბოლნისის სიონის და წრომის ტაძრის დეკორატიული ჯვრებისა, მაგრამ მათ ასევე გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშნები.

Чубинашвили Г. Шмерлинг Р. Храмы в древних селениях Триалети – Олтиси и Тетри цкаро. **თბილისი. ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრომები 2. საქ. ნეცნ. აკად. 1948 წ. გვ. 47-46.**

ოლთისის (VI-VIIსს) ეკლესიის შესასვლელის თავზე მარტივი ტოლმხრიანი ჯვრებია გამოსახული წრეში და კვადრატში ჩასმული. ბოლნურ ჯვარს ენათესავება საკურთხევლის სარკმლის ზემოთ მოთავსებული წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი.

ბოლნური ჯვრის მსგავსი წრეში ჩასმული ჯვრებია თეთრიწყაროს (V-VIIსს) სვეტების კაპიტელებზე, ნაგებობების შიგნით, სამხრეთის შესასვლელის თავზე.

ავტორები გამოყოფენ ჯვრის ამაღლების კომპოზიციას ეკლესიის შესასვლელის თავზე და მიუთითებენ აღნიშნული ჯვრის მსგავს ფორმაზე ბოლნისში.

ოლთისის (VI-VIIსს) და თეთრიწყაროს (V-VIIსს) ეკლესიებზე გამოსახული ჯვრები და მათთან დაკავშირებული კომპოზიციები ასახავენ ადრექრისტიანულ პერიოდში გავრცელებული ჯვრების ფორმებს.

ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა. 1944 წ. გვ.1-201

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია საქართველოში გავრცელებული ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა ორი ტიპი (ბაზილიკური და გუმბათიანი ნაგებობები) რომელთაგან გამოყოფს ქართულ არქიტექტურაში გაბატონებულ ცენტრალურ-გუმბათოვან ტიპს.

საქართველოში შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ჯვრული გეგმის ვარიანტები: ერთკონქიანი, ტეტრაკონქი და ტრიკონქი. ავტორის განმარტებით თავისუფალი ჯვრის ფორმას წარმოადგენენ, რომელთაგან ტეტრაკონქმა სხვადასხვა კომპოზიციით XI-ის დასასრულამდე იარსება. წმინდა ჯვრის ტიპის ნაგებობები კონსტრუქციების სისუსტის გამო ქართულმა არქიტექტურამ უარყო და განავითარა ნაგებობა დამატებითი სათავსოებით.

ქართულ-სომხური ძეგლების საერთო დახასიათებასთან ერთად ავტორი მიუთითებს, რომ სომხური ეკლესიების ჯვრული გეგმა, გარე ფორმებით დაფარულია კედლის სისქეში (ავანი, რიფსიმე). მათი მთელი გეგმარებითი კომპოზიცია მთლიანად მოქცეულია ერთიან აბრისში.

საინტერესოა ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება ტეტრაკონქის ტიპის ტაძრებზე, რომლებიც ასურელ მამათა მოღვაწეობას უკავშირდება.

ნაშრომში განხილული ტეტრაკონქების ტიპის ტაძრების (ძვ. გავაზი, ნინოწმინდა, მცხეთის ჯვარი) მაორგანიზებელ ელემენტად მიჩნეულია ცენტრალური გუმბათქვეშა კვადრატული სივრცე.

ნაშრომში განსაკუთრებით აღინიშნება წრომის ტაძარი და მისი კონსტრუქციული სიახლე, ფასადთა გაფორმება, რაც შემდგომში საფუძველი ხდება შუა საუკუნეების ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურის განვითარებისა.

განხილული მასალა არის საინტერესო ლიტერატურული წყარო ქართული ქრისტიანული საკულტო ძეგლების შესახებ ავტორისეული ხედვით.

ციციშვილი ირ. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბილისი გამომცემლობა ტექნიკა და შრომა. 1955 წ. გვ.5-110.

ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, სადაც ხაზგასმულია გუმბათოვანი კომპოზიციის უპირატესი განვითარება. მასში აღნიშნულია, რომ პირველი მოსამზადებელი ეტაპის (მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია, ძვ. გავაზი, ნინოწმინდა) განვითარება დაგვირგვინებულია მცხეთის ჯვრის აგებით.

წრომის ცენტრალურ–გუმბათოვან ნაგებობაში ხაზგასმულია მისი შიდა კონსტრუქციული სტრუქტურა და ტაძრის ჯვრული ფორმა.

ავტორი მიიჩნევს, რომ ადრე აგებულ გუმბათოვან ნაგებობათა არქიტექტურული თემების თავისებურად გადამუშავებული ტიპებია იშხანი და ბანა (VIIს).

ნაშრომში გამოკვეთილია ტეტრაკონქის, ტრიკონქის და მრავალაფსიდიანი ეკლესიები. განხილულია კუმურდოს ტაძარი, როგორც გეგმარებითი ჯვრის განსაკუთრებული ფორმის გუმბათიანი ნაგებობა.

ავტორის აზრით X საუკუნის (ოშკი, ხახული) და მისი შემდგომი პერიოდის ტაძრებში გააქტიურებულია ჯვრის თემის კავშირი ნაგებობის კონსტრუქციასთან. ეკლესიათა გეგმებში და მასებში გამოკვეთილია ჯვრის გამოსახულება, რასაც შეესაბამება აგრეთვე შენობის შიგა და გარე დანაწევრება. ეს პროცესი გრძელდება კათედრალებშიც. ბურჯებზე აზიდული გუმბათი და ჯვრის მკლავებს შორის დაბალი სადგომები საბოლოოდ დამკვიდრდა. ჯვრის მაღალი მკლავების გახსნით და გუმბათქვეშა სივრცის გაფართოებით გამოვლენილია გენეტიკური კავშირი ჯვარ-გუმბათოვანი კომპოზიციის ნაგებობების საერთო განვითარებასთან ნაგებობასთან. ავტორი მიუთითებს, რომ

კათედრალების აგებით ქართული არქიტექტურა აჯამებს წინა პერიოდის მხატვრულ ძიებას და განსაზღვრავს განვითარების დასრულებულ ეტაპს. ჯვარ-გუმბათოვანი თემა სამივე კათედრალში დამუშავებულია თავისებურად.

შემდგომი პერიოდის (XI-XIVსს) ტაძრებში ცვლილებები ძირითადად ნაგებობათა აბსოლიტური ზომების შემცირებაში გამოიხატება. ძეგლები იმეორებენ ადრე შემუშავებულ კომპოზიციებს, მაგრამ გარკვეული ინტერპრეტაციით, გამომდინარე ახალი ამოცანებიდან. ამავდროულად იცვლება ფასადების მორთულობაც. გუმბათოვანი ტაძრების ძირითადი სახის ჩამოყალიბების შემდეგ მთავარი პრობლემა ხდება მათი მხატვრული გაფორმება. ფასადთა მორთულობაში განსაკუთრებით იკვეთება დეკორატიული ჯვრის თემა.

ავტორი საუბრობს ქართულ-ბიზანტიურ ტაძართა მსგავს ხუროთმოძღვრულ ფორმებზე. იგი ხაზგასმით გამოყოფს ბიზანტიურ არქიტექტურაში ფასადთა მორთულობის სიმწირეს და ქართულ ტაძრებზე პირიქით დეკორატიული მორთულობის მრავალფეროვანი სისტემების არსებობას.

აღნიშნულ ნაშრომში თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ქართულ საკულტო-არქიტექტურის ძირითადი მიმართულება, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯვრის თემა.

ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი. ხელოვნება. 1974 წ. გვ.7-200.

ავტორი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებას წარმოგვიდგენს პერიოდების მიხედვით. არსებულ ტაძართა ტიპებიდან გამოყოფს ცენტრულ-გუმბათოვან ტაძრებს და მიიჩნევს, რომ იგი გენეტიკურად უკავშირდება წინა აღმოსავლეთის ქვეყნების ანალოგიური კომპოზიციის ნაგებობებს და ამავდროულად ქრისტიანობამდე ბევრად ადრე შემუშავებული დარბაზის ტიპის საცხოვრებელს.

ნაშრომში განხილულია VI-VIIსს გუმბათიანი ნაგებობების ტიპები, ტეტრაკონქების ვარიანტები – «თავისუფალი ჯვარი», «ჩახაზული ჯვარი», განსაკუთრებით გამოყოფილია ნინოწმინდის (VIს), მცხეთის ჯვრის (VIს) და მისი ტიპის ტაძრები, ასევე ტეტრაკონქის შემდგომი ძეგლები იშხანი და ბანა. წარმოდგენილია ასევე წრომი, როგორც «ჩახაზული ჯვრის» ტიპის ტაძარი (VIIს), რომლის კონსტრუქციული სიახლეც ქართულ საეკლესიო არქიტექტურის განვითარებას ედება საფუძვლად.

ნაშრომში ხაზგასმულია კათედრალების ეპოქა XIს (ბაგრატი, ალავერდი, სვეტიცხოველი) მათში არსებული ხუროთმოძღვრული ხელოვნების სრული სიმწიფე. ასევე შემდგომი პერიოდის ტაძრები, მათი არქიტექტურულ-კონსტრუქციული სიახლე (სამთავრო და სამთავისის ტიპის ძეგლები) გუმბათქვეშა ოთხიდან ორი სვეტის შეთავსება საკურთხევლის კედელთან.

ავტორი აღნიშნავს XII-XIII საუკუნეების ეკლესიათა კანონიკურ სახეს, გეგმა დამოკლდა და კვადრატს მიუახლოვდა.

ქართულმა ხუროთმოძღვრებამ შეიმუშავა მკაფიო ეროვნული თავისებურებებით გამორჩეული არქიტექტურა.

ვ. ბერიძის აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა ქართული ქრისტიანული ძეგლების შესახებ. იგი შეიცავს ჯვრის თემასთან დაკავშირებულ ბევრს საინტერესო საკითხს.

Беридзе В. Некоторые аспекты Грузинской купольной архитектури со второй половины Хв. до конца XIIIв. Тбилиси. изд. Мецниереба. 3-105 1976 г. стр.5-49.

ნაშრომში განხილულია X-XIII საუკუნეების ქართულ-ბიზანტიური, ქართულ-სომხური, ქართულ-რომაული ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლები.

ავტორი ახასიათებს აღნიშნული პერიოდის ქართულ გუმბათოვან ეკლესიებს და გამოყოფს ტაძრებს, რომელთაც აქვთ ჯვრული გეგმა და

მისი შესაბამისი ჯვრის ფორმა გარე მოცულობებში. გამოიყოფა ჯვრის გეგმის მქონე კათედრალები (ბაგრატი, ალავერდი, სვეტიცხოველი).

სამთავისის ტაძრით აღინიშნება ახალი ეტაპის დასაწყისი ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ავტორი იხილავს სომხურ, ბიზანტიურ, რუსულ და რომანულ ტაძართა იმ გეგმებს, რომლებიც მსგავსებით ახლოს დგანან ქართულ ეკლესიასთან, მაგრამ თითოეულ მათგანთან აღინიშნება განსხვავებული გადაწყვეტებიც.

საინტერესოა რუსული (XI-XIIIსს) ძეგლების გეგმის «ჩაწერილი ჯვრის» ფორმა. როგორც საქართველოში ასევე რუსეთშიც ეკლესიათა გეგმები უახლოვდება კვადრატს, მაგრამ ტაძართა სივრცითი მასების კომპოზიციური სტრუქტურა საკმაოდ განსხვავებულია.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ტაძრები – წრომი, სამშვილდე, ხანძთა, ოშკი, სვეტიცხოველი, ალაერდი, სამთავისი. ასევე ბიზანტიური, რომანული, რუსული ტაძრების აქსონომეტრიული გეგმილები, სადაც ნათლად ჩანს მათი გარე მასების ერთიანი სისტემა, ხოლო გუმბათის საწყის დონეზე მკლავები ქმნიან ჯვრის ფორმას. ეს მასალა სრულფასოვან წარმოდგენას გვიქმნის ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის განსაკუთრებულ სახეზე. კონკრეტულად წარმოაჩენს ქრისტიანული ქვეყნების ტაძართა და ქართულ ტაძრებს შორის არსებულ განსხვავებას.

Беридзе В. Грузинская Архитектура «Раннехристианского» времени (IV-VII вв) . Тбилиси. изд. Мецниереба. 1974 г. стр. 3-39

ავტორის მიერ განხილული ადრექრისტიანული ძეგლებიდან გამოიყოფა ჯვრისებრი გეგმის მქონე ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია (Vს), მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია (VIს), შიომღვიმე (VIს), ერელაანთ საყდარი (V-VIს), სამწევრისი (VIIს), დავითიანი (VIIს). ასევე განიხილება ტეტრაკონქები – როგორც შედარებით საინტერესო და ნაყოფიერი განვითარების შედეგი. ზოგადაა აღწერილი ძველი გავაზი (VIს), ნინოწმინდა (VIს), მცხეთის ჯვარი (VIს), ბანა (VIIს), წრომი (VIIს).

საინტერესოა ავტორის აზრი აღნიშნული პერიოდის ტაძრებთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ ადრექრისტიანული ქართული არქიტექტურა ესაა «სუფთა სისხლის» არქიტექტურა, რომელშიც დეკორს აკისრია მეორეხარისხოვანი, ძეგლის არქიტექტურასთან დაქვემდებარებული როლი, ნათლად გამოკვეთილი მკაცრი სილამაზე, სადაც თვალსაჩინოა კონსტრუქცია და სამშენებლო მასალის – ქვის ტექნიკური ოსტატობა.

Беридзе В. Грузинская Архитектура переходного периода (с середины VII в до II половины X в). Тбилиси. изд. А.Н. Груз. ССР 1938 г. стр. 1-22.

აღნიშნულ ნაშრომში საუბარია გარდამავალი პერიოდის ქართულ ძეგლებზე, მათ კლასიფიკაციაზე ტაძართა ტიპების მიხედვით. ავტორი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე ძეგლი იყოს «თავისუფალი ჯვარი» (ერთაფსიდიანი) და ამავდროულად იგი წარმოადგენდეს ტეტრაკონქს, ტრიკონქს. ავტორი ასევე მიუთითებს «ნახევრად თავისუფალი ჯვრის» ტიპზე, რომელთა შორის არის ტრიკონქი, ტეტრაკონქი.

აქ უნდა გამოვყოთ ვაჩნაძიაანთ ყველაწმინდა (VIII-IXსს), რომელშიც უკვე ჩნდება ტრიკონქის მოტივი – აღმოსავლეთით გვერდით დამხმარე სათავსოებში.

აღნიშნულ შრომაში საინტერესოა ავტორისეული მოსაზრებები ეკლესიათა სხვადასხვა ტიპებს შორის («თავისუფალი ჯვარი», «ნახევრადთავისუფალი ჯვარი», ტეტრაკონქი, ტრიკონქი) არსებული დამოკიდებულების შესახებ.

ბერიძე ვ. XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება. თბილისი. გამომცემლობა «კანდელი», 1994 წ. გვ.7-224.

შრომაში განხილულია XVI-XVIII საუკუნეების მრავალი საეკლესიო არსიქტეტურის ძეგლები (ძირითადად კარის ეკლესიები),

რომლებიც თავისი მხატვრული ღირსებით ვერ შეედრება X-XIII საუკუნეების ნიმუშებს.

ავტორი მიიჩნევს, რომ XII-XIV საუკუნეების გუმბათოვანი ეკლესიები ტიპობრივად ერთგვაროვან სურათს წარმოადგენდა. XV-XVI საუკუნეებში უკვე გაბატონებული იყო «ჩახაზული ჯვრის» ტიპიდან წარმოებული ვარიაციები, რომელთა მნიშვნელობა აშკარად ირყევა.

ადამია ი. საინგილოს ხალხური ხუროთმოძღვრება. თბილისი. გამომცემლობა «ხელოვნება» 1979 წ. გვ.5-196.

ნაშრომში გამოიყოფა საინგილოში არსებული ქრისტიანული საკულტო ძეგლები, რომლებიც ქართული არქიტექტურის ჩარჩოებში ექცევიან და მის უშუალო მემკვიდრეობაზე მიუთითებენ. გეგმების გადაწყვეტასა და მოცულობების აღნაგობაში შეინიშნება კახეთისა და საინგილოს ძეგლების მსგავსება.

განხილულ ტაძართა მცირე ჯგუფი ადასტურებს იმ მოსაზრებებს, რომ ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობების გეგმები და სივრცითი ფორმები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ჯვრის სტრუქტურის პრინციპით იგებოდა.

Туманишвили Дм. Тема «свободного креста» в средновековой Грузинской Архитектуре. Тбилиси. Ак. Наук Гр. СССР. Институт Истории Груз. искуства им. Г. Чубинашвили. 1977 г. стр. 1-10.

«თავისუფალი ჯვარს» ავტორი განიხილავს, როგორც კომპოზიციას, რომელიც შედგება ოთხი ერთნაირი, მართკუთხა, ჯვრულად განლაგებული კამაროვანი სივრცისაგან, რომელთაგან ერთ-ერთში ჩართულია აფსიდი.

ყველა განხილულ «თავისუფალი ჯვრის» ტიპის ძეგლში იკითხება საერთო სურათი–გეგმარებითი ჯვარი, ტოლი სიგრძის და სიმეტრიული მკლავები.

X-XI საუკუნეებში შეინიშნება აღნიშნული კომპოზიციის გართულება დამატებითი ელემენტებით (სათავსოებით), მაგრამ იგი არ

ცვლიდა შიდა ჯვრულ სივრცეს. ეს განსაზღვრავდა ამ ჯგუფში გაერთიანებულ ტაძართა გეგმარებით-მოცულობით სტრუქტურას.

ნაშრომში აღნიშნულია გუმბათურ ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ ტეტრაკონქის ტიპის ძეგლებში (ძვ. გავაზი, ნინოწმინდა) გაბატონებული სივრცის სიმეტრიული გადაწყვეტა. ავტორი ამავდროულად მიუთითებს, რომ «თავისუფალი ჯვრის» არსებობის დროს ჩნდება აგრეთვე «ჩაწერილი ჯვრის» ტიპი («წრომი»), რომელიც შემდგომში ფართოდ ვრცელდება.

განხილული თემა არის ავტორისეული ანალიზი საქართველოში არსებული «თავისუფალი ჯვრის» ტიპის ეკლესიებისა. ჩვენთვის საინტერესოა მის მიერ აღნიშნული ტიპის ძეგლების დაჯგუფება და თითოეულ ჯგუფში მსგავსი ნიშნების კვლევა.

Шмерлинг. Р. Барнавели Т. Храм Нино-Цминда на горе Тхоти. Тбилиси. Акад.Груз. ССР Вестник, Отделения обшественных наук №6 1963 г. стр. 155-167

თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიაა თხოთის მთის ნინოწმინდის ეკლესიის (VII-VIIIსს) ფორმა. იგი მიწის დონიდანვე გამოსახული ჯვარია. გეგმარებით ჯვარს შეესაბამება ტაძრის მასებით სივრცეში გამოსახული ჯვარი მხოლოდ განსხვავებული სტრუქტურით მიღებული.

ნაშრომი წარმოაჩენს VII-VIII საუკუნეებში არსებულ ძეგლთა შორის «თავისიფალი ჯვრის» თავისებურ ვარიანტს, ხოლო დეკორატიული ჯვრებიდან საინტერესოა აყვავებული ჯვრის გამოსახულება.

ზაქარაია პ. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს. I ტომი. თბილისი. გამომცემლობა განათლება. 1990 წ. გვ.1-260.

აღნიშნულ ნაშრომში ძირითადად წარმოდგენილია XI-XIIსს-ის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები მათი ხუროთმოძღვრული ფორმათა დახასიათებით ყველა მათგანი გეგმით სწორკუთხედში ჩახაზული ჯვრის ტიპისაა.

ავტორი გამოყოფს სამთავისის ტაძარს (XIს), სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ავტორისეული დახასიათება, მისი დეკორის დამოკიდებულება იმავე ეპოქის ალავერდის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან. ყურადღება გამახვილებულია ალავერდის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის წრიული ფორმის წყვილ ელემენტებზე.

ავტორი მიუთითებს ასევე სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის დეკორატიული სისტემის ანალოგიური კომპოზიციის არსებობას იკორთის ტაძარზე და სხვა არაგუმბათოვან ძეგლებზე, თუმცა გარკვეული ცვლილებებით.

ზაქარაია პ. ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა XII-XIII სს. თბილისი. გამოცემლობა ხელოვნება. 1978 წ. ტ.2 გვ.9-240.

ავტორი განიხილავს განვითარებული შუა საუკუნეების მეორე ეტაპის ძეგლებს: ბეთანია, ქვათახევი, ყინწვისი, ტიმოთესუბანი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი და ახტალა. მისი მითითებით ეს ძეგლები საკმაოდ განსხვავდება სამთავისი იკორთის ჯგუფის ძეგლებისაგან, მაგრამ მათ გააჩნიათ საერთო ელემენტებიც, რითაც ისინი ერთი სტილით ხასიათდებიან. ამ ძეგლების გეგმები ტრადიციულად სწორკუთხედში ჩახაზულ ჯვარს გამოსახავს, სადაც ცენტრალური კვადრატის გარშემო ვითარდება ჯვრის მკლავები და აღმოსავლეთის მკლავი ბოლოვდება აფსიდით. ტაძართა ჯვრული გეგმებისათვის დამახასიათებელია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის თანდათან დამოკლება, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთება ფიტარეთის ეკლესიის გეგმაზე. აქ თითქმის უტოლდება ერთმანეთს გეგმიური ჯვრის მკლავები.

საყურადღებოა ავტორის დამოკიდებულება ტაძართა გეგმების ჯვრული ფორმის მიმართ. ნაშრომში ხაზგასმულია ტაძართა შიდა სივრცეში და გარე მოცულობაში გეგმიდან ამოზრდილი ჯვარი. გარე მოცულობებში ჯვრის ფორმა ნათლად არის გამოკვეთილი სახურავის

დონეზე, სადაც ჯვრის მკლავები დაფარულია ორფერდა სახურავით და მათ თანაკვეთაზე გუმბათია აღმართული. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კედელთა კუთხეებს და ორ პილონს.

მაშასადამე ძეგლების ავტორისეული ანალიზით და არსებული გრაფიკული მასალით ირკვევა, რომ XII-XIIIსს აღნიშნული ძეგლები აგრძელებენ ძველ ტრადიციებს, თუმცა არის სიახლეებიც, რომლებიც ძირითად ფასადების დეკორატიული გაფორმებისას გვხვდება.

ზაქარაია პ. ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა. თბილისი. გამომცემლობა ხელოვნება. 1981 წ. ტ.3. გვ. 9-291.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის ბოლო ეტაპის (XIII-XVIIIსს) შემდეგი ძეგლები: საფარა, ზარზმა, ცაიში, გერგეტის სამება, ახალი შუამთა, გრემი, ანანური, ლარგვისი. ისინი ხასიათდებიან სწორკუთხა გეგმით და მასში ჩახაზული ჯვრით, აღმოსავლეთის მკლავის წრიული აფსიდით. მათი გეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურა დაფუძნებულია ჯვრის თემაზე.

ავტორი ხაზგასმით მიუთითებს ამ ძეგლებში სამთავისის ტაძრის კომპოზიციის ელემენტების გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი განხილულ სამტომეულში გამოკვეთილად არ მიუთითებს ჯვრის სიმბოლოს მნიშვნელობაზე და იგი იფარგლება ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების გეგმარებით, სივრცით და ფასადთა არქიტექტურული გადაწყვეტის ანალიზით. ნაშრომში მოცემული განხილვა კომპოზიციებისა იძლევა საშუალებას ჩამოვაყალიბოთ მთლიანობაში, რომ XI-XVIII საუკუნეების ყველა ცენტრალურ-გუმბათოვან ძეგლებში ჯვარის თემა გეგმარებით-მოცულობით კომპოზიციაში სხვადასხვა ფორმით, სიდიდითა და დეკორატიული გადაწყვეტით გვევლინება. იგი ისახება აგრეთვე ტაძართა ფასადებზე, რაც განისაზღვრება არა მხოლოდ მათი

დეკორატიულობით, არამედ კიდევ ჯვრის სიმბოლოს უძველესი მნიშვნელობით.

Закараиа П. Зодчество Тао-Кларджети. Тбилиси. изд. Тбилисского Университета. 1990 г. стр. 5-189

ავტორის მიერ განხილული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლებიდან გამოვყობთ იმ ტაძრებს, რომლებიც გეგმაში და სივრცეში ქმნიან ჯვრის გამოსახულებას. ასეთი ძეგლებია ძირითადად ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიები: სუხბეჩი (V-VIსს), პატარა ბანა (VI-VIIსს), მუხლა ჯიგილისი (VI-VIIსს).

განსაკუთრებით გამოიყოფა ბანას ტაძარი (VIIს) სადაც საერთო მრგვალ აბრისშია ჩახაზული ტეტრაკონქის ტიპის რთული ტაძარი. მისი გეგმიური ჯვარი ღრმა ბემებით შეერთებულია აფსიდებთან. ოთხივე აფსიდი გახსნილია სვეტების კოლონადით. მთელი კომპოზიცია დაგვირგვინებულია გუმბათით.

საინტერესოა იშხნის (VII-XIსს), ხანძთის (Xს) გუმბათოვანი ნაგებობები, რომლებიც გამოსახავენ სივრცით ჯვარს და ამავდროულად მათ ფასადებზეც ვხვდებით ორნამენტულ ჯვრებს.

ავტორი განიხილავს ასევე ეკლესიებს: ოპიზა (Xს) დოლისყანა (Xს), ენირაბატი (Xს), ტბეთი (Xს). ასევე ტრიკონქის ტიპის ეკლესიებს: ზეგანი (X-XIსს), ისი (VIII-IXსს), ბაგჩალო-კიშლა, დორთქილისა, ორთული, სადაც გეგმებში კარგადაა გამოსახული ჯვარი.

შრომაში ხაზგასმითაა გამოკვეთილი სხვადასხვა დროის ტეტრაკონქის და ტრიკონქის ტიპის ეკლესიები.

მეფისაშვილი რ. თუმანიშვილი დ. ბანას ტაძარი. თბილისი. გამოცემლობა მეცნიერება. 1989წ. გვ. 5-74.

ნაშრომში განხილულია ბანას ტაძრის არქიტექტურულ მხატვრული სახე, კონსტრუქციული თავისებურებები.

ავტორები მიიჩნევენ, რომ ბანას გეგმარებითი–მოცულობით გადაწყვეტას ხუროთმოძღვარმა მცხეთის ჯვრის კონცეფცია დაუდო საფუძვლად, მაგრამ ტეტრაკონქის კუთხის ოთახები გართულებულია,

ხოლო ტეტრაკონქი გახსნილია თაღებით, რაც სრულად ახალ ნაწარმოებად წარმოდგება.

საინტერესოა ავტორთა მიერ ჩამოყალიბებული ტაძრის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. კერძოდ მესამე სართულზე კუთხის ოთახების ჩამოჭრით იკვეთება ჯვრის მკლავების მოცულობები. ე.ი. სავარაუდოდ გამოვლენილია ჯვარ-გუმბათოვანი სტრუქტურის სივრცითი აღნაგობა.

აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი ბანას ტაძრის სტრუქტურული კომპოზიცია, მისი შიდა და გარე სივრცითი მოცულობები, რომელიც ავლენს ჯვრის თემასთან დაკავშირებულ ტეტრაკონქული ნაგებობების ფორმას.

Агабабян Р. Композиция купольных сооружении Грузии и Армении. Эреван. изд. Армгосиздат. 1950 г. стр. 9-116.

ავტორი აღნიშნულ ნაშრომში იხილავს ქართულ და სომხურ გუმბათურ ნაგებობათა კომპოზიციებს. ხალხური საცხოვრებელბის განხილვისას გამოყოფს ნაგებობის უძველეს ელემენტს გუმბათს. ცენტრალურ-გუმბათოვანი კომპოზიციის საწყის ეტაპად საქართველოშიც და სომხეთშიც მიიჩნევს V-VIსს.

ნაშრომში განხილულია ასევე ჯვრული გეგმების მქონე ტაძრები საქართველოში და სომხეთში, სადაც ხაზგასმით გამოყოფს მცხეთის ჯვრის (VIს) და რიფსიმეს (VIIს) ტაძართა კომპოზიციებში არსებულ მსგავს და განსხვავებულ ელემენტებს. იგი ორივე ტაძარს დამოუკიდებელი სკოლის ნიმუშად მიიჩნევს.

ავტორი ჯვრული გეგმების მქონე ტაძართა ანალიზისას იყენებს შიდა სივრცითი ფორმების გამოსახულებებს (სამთავისი, რიფსიმე), რაც უთუოდ სრულყოფილად წარმოაჩენს როგორც ტაძართა შიდა კონსტრუქციას, ასევე შიდა სივრცის ჯვრულ ფორმასაც.

ნაშრომში ასევე შედარებულია IX-XII-XIII საუკუნეთა ქართულ-სომხური ტაძრები, რის საფუძველზედაც ავტორი მიიჩნევს, რომ ორივე ქვეყნის განხილულ ძეგლებს გააჩნიათ გეგმიურ კომპოზიციათა მსგავსი

ფორმები, ხუროთმოძღვრულ ელემენტთა მსგავსი სტრუქტურები, მაგრამ მათში შეინიშნება განსხვავებებიც. ისინი გამოირჩევიან მკვეთრი ინდივიდუალობით და ეროვნული ნიშნით.

მოსულიშვილი ჰ. ქართული ძეგლის სტრუქტურა. IV-XIII სს. თბილისი. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. 1983წ. გვ.5-144.

ავტორი აღნიშნულ ნაშრომში წარმოგვიდგენს ქართულ ჯვარ-გუმბათოვან ხუროთმოძღვრებაში ნაგებობათა გეგმარებით–მოცულობითი სტრუქტურის ფორმირების კანონზომიერებათა საერთო საფუძვლებს, მათი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და გააზრების პროცესს. იგი გამოყოფს ჯვრული კომპოზიციის წამყვან ელემენტებს გუმბათსა და გუმბათქვეშა კვადრატს, რომელიც ამავდროულად ნაგებობის კომპოზიციურ ფორმათა წყობის თანაზომიერების მოდულადაა მიჩნეული.

ნაშრომში გამოვლენილია ძეგლების გეგმარებით-მოცულობითი ჯვრული სტრუქტურა და ჯვრული კომპოზიციის კანონზომიერებები ქართულ ჯვარ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

მოსულიშვილი ჰ. ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. თბილისი. სტუ. არქიტექტურის ინსტიტუტი. აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემია. 2004წ. გვ.3-136.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ორნამენტული კომპოზიციები (ლენტური, როზეტული), რომლებშიც უმეტესად ჩართულია ჯვრის თემა. გამოკვეთილია ჯვრული კომპოზიციების როზეტები და მონუმენტური ორნამენტული ჯვრები ტაძართა ფასადებზე.

სანიკიძე თ. გერგეტი. თბილისი. მეცნიერება. 1975წ. გვ. 11-102

აღნიშნულ ნაშრომში ავტორი ორიგინალურად წარმოგვიდგენს ხევის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს გერგეტის სამებას (XIII-XIVსს), რომელიც გეგმით, შინაგანი სივრცით და გარე

ცენტრალურ გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. ტაძრის გეგმარების საფუძვლად მიჩნეულია ჯვარი, იგი ისახება სწორკუთხა გეგმაში, სადაც იკვეთება საერთოდ გეგმის დანაწევრება წინა ხანის ძეგლებთან შედარებით.

ავტორი მიიჩნევს, რომ XIVს. ქართულმა ხუროთმოძღვრებამ და მათ შორის გერგეტის სამების ავტორმა ადვილად უარყო საუკუნეების განმავლობაში ხმარებული მრავალი, არსებითი დეკორატიული ელემენტი. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი მხატრვული ღირსებებით დიდად არ გამოირჩევა სხვა ფასადებისგან. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობის დომინანტია უზარმაზარი დეკორატიული ჯვარი.

ნაშრომში განსაკუთრებით იკვეთება გერგეტის და ზარზმის დეკორატიული ჯვრების შესრულება ერთი და იგივე ორნამენტული მოტივით. აღმოსავლეთის დიდ დეკორატიული ჯვრის მკლავებს შორის მოთავსებული ოთხი კვადრატი განსაკუთრებულ თავისებურებებს ანიჭებს ფასადს. ავტორის აზრით დეკორატიული ჯვრის კვადრატებით გართულება საერთოდ იშვიათი მოვლენაა. კვადრატები «მძიმე ტვირთად აწევს» ჯვარსაც და ფასადის მთელ კომპოზიციასაც; ფასადს აკლია მიმართულება, მაგრამ აქვეა მითითებული, რომ სწორედ ცენტრალური არე აღნიშნული კომპოზიციით არის მაქსიმალურად აქცენტრირებული.

ფასადებზე არსებული დეკორატიული ჯვრების აღწერისას ავტორი საუბრობს მათ ხასიათზე ფასადთა საერთო კომპოიზიციაში. ყურადღება მახვილდება ტრადიციულ ჯვარ-ფანჯრის კომპოზოცოაზე და მათი გადაბმის დეტალებზე. ასევე გამოიყოფა ჩრდილო ფასადის დეკორატიული ჯვარი მის ზემოთ მცენარეული მოტივით.

ავტორი მიუთითებს, რომ ნაგებობის ოთხსავე ფასადზე დიდი დეკორატიული ჯვრები XIVს. არც ერთ ძეგლზე არ გვხვდება. გერგეტის სამების ტაძრის ფასადებზე არსებული ჯვრები ზრდის მორწმუნეებზე სარწმუნოების ზემოქმედების უნარს.

ნაშრომში განხილულია ასევე სამრეკლოს მორთულობა, სარკმლის ჩარჩოზე შესმული «ფრინველები» და ზემოთ ჯვარი.

ავტორი საუბრობს თემასთან დაკავშირებულ საინტერსო საკითზე, კერძოდ, ტაძარს მოხევეები ხშირად «ჯორს» (ჯვარს) უწოდებენ, ხოლო სამების მთის აღმოსავლეთ ფერდობს «ჯორის ძირს». ჯვარი (ხატი) კი ქართვე მთიელებში ეწოდება ძირითადად იმ პატარა სალოცავ ნიშებს, რომელიც მთის ყველა სოფელში არსებიბს და რომელთა კულტიც უფრო მეტ წარმართულ ელემენტს შეიცავს ვიდრე ქრისტიანულს.

აღნიშნულ ნაშრომში გერგეტი – სრულყოფილადაა აღწერილი და დახასიათებული ნაგებობის ხუროთმოძღვრული ფორმა, ხასიათი, ელემენტები. თვალნათლივ ჩანს ავტორის დამოკიდებულება ტაძრის ორნამენტული მორთულობის მიმართ. რაც არის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო თავისი ინდივიდუალობით გამორჩეული ტაძრის – გერგეტის სამების შესახებ.

ყიფიანი გ. სატაძრო თემატიკა ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებში. თბილისი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. 1998წ. გვ. 3-20

ნაშრომში განხიულულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამი ნივთი: ახალგორის განძის სასაფეთქლე საკიდი, გონიოს განძის ერთ-ერთი ბალთა და ხაიშის განძის ოქროს საკიდი. სამივე ნივთის ავტორი მიიჩნევს საკულტო არქიტექტურული თემატიკის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ნიმუშებად.

ავტორი მიუთითებს, რომ ღვთაება მხოლოდ ტაძართან ერთად იყო აღქმული და ცხადია ტაძრის გამოსახულებაც ღვთაების სიმბოლო იყო. ეს ტრადიცია იმდენად ძლიერ მოვლენად ჩანს საქართველოში, რომ მოხერხდა რთული, რეალურად არსებული არქიტექტურული ფორმების მინიატუზირება და ტაძრის წმინდა სხეულია იმგვარადვე გასაკუთრება, როგორც ღვთაებისა.

ნაშრომში მნიშვნელოვანია ავტორის მოსაზრებები და ამ მოსაზრებების გასამყარებლად არსებული არგუმენტები.

ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ გარკვეული სიღრმით გაგვეხსნა ჯვრის თემა ქართული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრებაში.

საიდან მომდინარეობს დისერტაციაში დასმული პრობლემა?

ზემოთმოყვანილი ლიტერატურის შესწავლამ გვიჩვენა, თუ რა როლს თამაშობდა ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი ქართულ სახვით ხელოვნებაში და განსაკუთრებით მონუმენტურ ცენტრალურ-გუმბათოვან ხუროთმოძღვრებაში. ის იყო იდეოლოგიური წარმმართველი ძალა ძეგლთა გეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურის ფორმირებისა და განვითარების საქმეში.

ქართული ხუროთმოძღვრების ასეთმა დამოკიდებულებამ ჯვრის თემისადმი წარმოშვა ჩვენს მიერ დასმული პრობლემა.

რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ? უშუალოდ ამ პრობლემის შესახებ კონკრეტული სისტემატიზირებული ნაშრომი ჩვენთვის არ არის ცნობილი. როგორც ზემოთ განხილული შრომები გვიჩვენებენ, ავტორები ფრაგმენტულად, მაგრამ ხშირად ეხებიან მას, რის შედეგადაც მათ მიერ საკმაოდ ნათლად იკვეთება ჯვრის სიმბოლოს როლი ქართული ხუროთმოძღვრების ჩასახვასა და განვითარებაში.

რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლემის გადაჭრისათვის?

არსებულ ლიტერატურაში მოყვანილი კვლევების შესწავლით და ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით ახლებურად მივუდექით დასმული პრობლემის გადაჭრას. კერძოდ, შევეცადეთ ჯვრის თემა ქართულ ხუროთმოძღვრებაში შეგვესწავლა უკვე კომპლექსურად, ჯვრის სიმბოლოს ჩასახვიდან დაწყებული, მისი სახვით და გამოყენებით დეკორატიულ ხელოვნებაში არსებობით და ბოლოს, ჩვენს მიერ დასმულ ძირითადი პრობლემის გადაჭრით დამთავრებული.

რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სადისერატაციო ნაშრომში?

შეწავლილი ლიტერატურული წყაროების ავტორების მიზანი არ იყო ჯვრის თემის გამოკვეთილად შეწავლა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ისინი ძეგლებს ძირითადად განიხილავენ როგორც ხუროთმოძღვრულ ნიმუშებს და სწავლობენ მათ ისტორიულ-მხატვრულ მხარეებს, მაგრამ ეს არ არის პრობლემის სისტემატიზირებული და სრულყოფილი გახსნა, თუმცა ზოგჯერ ფრაგმენტულად ეხებოდნენ ამ საკითხსაც.

განხილულ ლიტერატურაზე დაყრდნობით და მასში მოძიებული, თემასთან დაკავშირებული მასალის ანალიზის საფუძველზე, ჩვენს შრომაში შევეცადეთ შედარებით სრულყოფილად გამოგვევლინა ჯვრის თემის იდეოლოგიური (თეოლოგიური) და მაორგანიზებელი მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ-კომპოზიციური და კონსტრუქციული სტრუქტურის ფორმირების საქმეში.

2. შედეგები და მათი განსჯა

ლიტერატურის მიმოხილვის შედეგებმა განსაზღვრა სადისერტაციო თემის სტრუქტურა, რომელიც დაიყო სამ ნაწილად.

პირველ ნაწილში განხილულია ჯვრის სიმბოლოს გამოსახულებები წინაქრისტიანული მსოფლიოს და ქართული ხელოვნების ნიმუშებზე. მათი გრაფიკული ფორმების ანალიზით გამოვლინდა სხვადასხვა ხალხების და პერიოდის მსგავსი სტრუქტურის ჯვრები.

მეორე ძირითად ნაწილში, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ჯვრის თემის წამყვანი და იდეოლოგიურად მაორგანიზებელი როლი ქართულ ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებში. იგი აშკარად ვლინდება, როგორც გეგმარებით, ასევე მოცულობით ფორმებში.

ჯვრული კომპოზიციები და მათი შესაბამისი კონსტრუქციული სტრუქტურები განსაზღვრავდა გეგმარებითი და მოცულობითი ჯვრის განვითარებად ფორმებს. არსებული გეგმარებითი ჯვრის ფორმები ავლენენ პარალელს დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე ასახულ ჯვრებთან.

მესამე ნაწილში ხუროთმოძღვრული-დეკორატიული და ორნამენტული ჯვრების არსებული ფორმების გრაფიკული ანალიზი ავლენს ჯვრების სტრუქტურებს, რომელთაც პარალელები გააჩნიათ წინაქრისტიანული და ქრისტიანული პერიოდის გამოყენებითი დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებთან.

სამივე ნაწილის კომპლექსური კვლევის შედეგად შესაძლო სისრულით გამოვლენილია ქრისტიანული პერიოდის ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების გეგმარებით-მოცულობითი

კომპოზიციური სტრუქტურის და ფასადთა დეკორატიული ფორმირების საქმეში ჯვრის თემის ფუძემდებლური და იდეოლოგიური როლი.

2.1. ჯვრის თემა ქართულ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

(ზოგადი მიმოხილვა)

ნაშრომში ამ ნაწილის წარმოშობა განაპირობა ჩვენი ძირითადი პრობლემის – «ჯვრის თემა ქართულ შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIIIსს)», სრულყოფილი დამუშავების სურვილმა.

მისმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხუროთმოძღვრებაში ჯვრული კომპოზიციები პარალელს ნახულობდნენ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში არსებულ ჯვრულ გამოსახულებებთან, რაც ცხადია ბუნებრივი იყო, რადგან ხელოვნების დარგები ყოველთვის ახდენენ ურთიერთგავლენას.

2.1.1. ჯვრის სიმბოლური გამოსახულებები წინაქრისტიანულ პერიოდში.

ჯვარი, როგორც სიმბოლო-ნიშანი აღმოცენდა ზედა პალეოლითის ეპოქაში და ფართოდ გავრცელდა წარმართთა ეპოქის თითქმის ყველა კულტურაში: ასურეთში, სპარსეთში, ინდოეთში და სხვა.

ჯვრის წარმოშობისა და შინაარსის თაობაზე მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი არსებობს. საზოგადოდ მიიჩნევა, რომ ის ქვეყნიერების ოთხი მხრის აღმნიშვნელი ნიშანია [1.63].

ჯვრის გამოსახულებები გავრცელებული იყო ძველ აღმოსავლეთში და ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულების ნივთების ორნამენტული შემკულობის ელემენტად. კერძოდ, მათ გამოსახავდნენ ჭურჭელზე, საბრძოლო იარაღებზე, სამკაულზე, სამოსზე, სარკოფაგებზე და სხვა.

ადრინდელ მიწათმოქმედ ტომთა უძველეს მხატვრულ კომპოზიციებში გამოიყოფა ჯვრის ორი ძირითადი ფორმა: სტატიკური – სწორმხრებიანი და დინამიკური ანუ მბრუნავი ჯვარი – სვასტიკა.

სხვადასხვა ხალხებს, გამომდინარე მათი ისტორიიდან, ტრადიციებიდან, სხვადასხვა წარმოდგენები ჰქონდათ ჯვარზე, შესაბამისად მსოფლიოში არსებული ჯვრის გამოსახულებები სხვადასხვა ფორმისაა.

ჯვრის გავრცელებული ფორმებია ბერძნული და მის ფუძეზე წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ჯვრები. ბერძნული ჯვარი სწორმხრიანია, ტოლი მკლავებით (სურ. 1.1). მისი სტრუქტურა მარტივია და ხშირად გამოიყენება ტოლმკლავა ჯვრების კომპოზიციებში. ბერძნული ჯვრის ფუძეზეა წარმოქმნილი – ყოვლისშემძლე იერუსალიმის (ტაუ ჯვრების კომპოზიცია) და იერუსალიმის ჯვრები (სურ. 1.2,3). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხუთი ჯვრის კომპოზიციას. გავრცელებულია ასევე ბერძნული ჯვარი, რომლის მკლავები დაბოლოებულია სამყურა ფორმებით (სურ. 1.4).

უძველეს ეგვიპტურ ჯვრებს წარმოადგენენ ტაუ და ანკქს ჯვრები (სურ.1.5,6) მათ ხშირად გამოსახავდნენ ეგვიპტურ ნახატებზე, პირამიდების რელიეფებზე. მათი გრაფიკული ფორმები მსგავსია, ისინი სამმკლავიანი ჯვრებია. ანკქს აქვს ოვალის ფორმა (მკლავი) ზემოთ.

ჯვრის გავრცელებული ფორმაა ასევე ლათინური ჯვარი (სურ.1.7) მისი ქვედა მკლავი, ბერძნული ჯვრისაგან განსხვავებით, საკმაოდ გრძელია. ზედა სამი მკლავის სიდიდეები ერთმანეთის ტოლია.

მბრუნავი ჯვრებიდან გამოვყობთ მის ორ გამოსახულებას – სვასტიკას და ფარულ ჯვარს (სურ.1.8.9). მათი გრაფიკული ფორმები მოქცეულია კვადრატში და წრეში.

მოცემული ჯვრებიდან განსხვავებული სტრუქტურისაა კოპტური ჯვარი (სურ.1.10). იგი წრეწირში ჩახაზული რკალების კომპოზიციითაა მიღებული და სტრუქტურულად ბოლნურ ჯვარს უახლოვდება.

ქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს წვეთოვანი ჯვარი (სურ.1.11). ჯვრის მკლავები შედგება გაშლილი რკალებისაგან. მკლავების დაბოლოებები (კუთხეები) გამოკვეთილია და წვეთის ფორმისაა.

ორიგინალურ კომპოზიციებს წარმოადგენენ ცენტრულად სიმეტრიული მალტის ჯვრები (სურ.1.12,13,14,15). მათი მკლავები ერთმანეთის ტოლია და წარმოადგენს სხვადასხვა ფორმის გეომეტრიულ ფიგურებს.

ჯვრის უძველესი გამოსახულებები ცნობილია ხეთური ხელოვნების ნიმუშებიდან (სურ.1.16) მიკენის ძეგლებიდან (სურ.1.17). საინტერესო ჯვრებია მოცემული მორგანის მასალებში (სურ. 1.18,19,20,21). სხვადასხვა ფორმების ჯვრებიდან ყველაზე მარტივია წრეში «ჩახაზული ჯვარი», ტოლფერდა სამკუთხედებით შედგენილი ჯვრული კომპოზიცია. სრულიად განსხვავებული ფორმისაა ტოლმკლავა ჯვარი (სურ.1.20), მისი მკლავები ბოლოვდება ნახევარწრიული ფორმებით. ჯვრების გამოსახულებები მრავლადაა შუა აზიის, ირანის უძველეს ყოფით ნივთებზე (ძვ. წ. IV-III სს), (სურ.1.22, 23,24,25,26) მოცემული ჯვრების სტრუქტურა ერთმანეთისგან განსხვავებულია. ჯვრისა და სხვასტიკის სხვადასხვა ფორმებს ვხვდებით ირანულ (ძვ.წ. Vს) ნიმუშებზე (სურ.1. 27,28,29,30), როგორც ილუსტრაციიდან ჩანს ჯვრებს

კომპოზიციის ცენტრალური ადგილი უკავიათ. მათ გრაფიკულ გამოსახულებაზე ირკვევა ზემოთ წარმოდგენილი ჯვრების მსგავსი კომპოზიციები.

ჯვრებია ამოკვეთილი ასევე აზიურ საბეჭდავებზეც (სურ.1.31,32). მათგან პირველზე გამოსახულია სწორმხრებიანი ჯვარი, ხოლო მეორეზე სამკუთხედების ჯვრული კომპოზიციაა მოცემული. ჯვრული ოთხნაწილიანი სიმბოლური ნიშნები ცნობილია ტრიპოლიელთა ხელოვნებაშიც (ძვ. წ. IV-III სს), სადაც რიცხვი ოთხით გამოისახებოდა კომპოზიციები, სქემები და სხვა. ოთხნაწილიან კომპოზიციებს, მიუხედავად ინდივიდუალური ხასიათისა, გააჩნიათ მსგავსი სტრუქტურა ზემოთ წარმოდგენილ ზოგიერთ ჯვრებთან (სურ.1.33,34,35).

მოცემული ჯვრები მსოფლიოში არსებულ ნიმუშების მხოლოდ მცირე ნაწილია. განხილული მასალიდან ჩანს, რომ ჯვრისა და სვასტიკის გამოსახულება, მათი კომპოზიციები ძირითადად დაფუძნებულია ხაზობრივ სტრუქტურაზე, რომელთა ჯვრულ კონფიგურაციას ქმნის გეომეტრიული ფიგურები: მართკუთხედები, სამკუთხედები, ტრაპეციები, რკალები და სხვა.

საქართველოს ტერიტორიაზე ჯვრისა და მბრუნავი ჯვრის მრავალრიცხოვანი გამოსახულებები ადრინდელი სამიწათმოქმედო ხანიდან არსებობს. ტერმინი ჯვარი საქართველოში ქრისტიანობემდეც არსებობდა. იგი გარკვეულ რაიონებში პირდაპირ ღვთაებას აღნიშნავდა. ჯვარი და ხატი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სინონიმებია.

ჯვრის ქართული სახელწოდების წარმომავლობა გარკვეული არ არის. იგი არ მომდინარეობს ქრისტეს სახელიდან, არც ბერძნულიდან (staros), არც ლათინურიდან (crux) [9.558].

ყველაზე უძველესი ჯვრის გამოსახულებები საქართველოში არსებობს ზედა პალეოლითის ხანიდან. წონას, მღვიმევის (ჭიათურა) გამოქვაბულის კედლებზე ჯვრები ამოტვიფრულია (ამოკაწრულია)

წერტილებთან და სხვადასხვა ფორმის ხაზებთან ერთად (სურ.2.1,2,3,4) მღვიმევის კედლებზე არის ასევე X-ის ფორმის დამრეცი ჯვრები. ამ ნიშნებს მკვლევარები მზის ნიშან სიმბოლოებად მიიჩნევენ [10.5].

ჯვრის გამოსახულებებით გამოირჩევა ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ.IIს) არქეოლოგიური ძეგლები საქართველოში. სწორმხრებიანი ჯვარია გამოსახული თრიალეთში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე (სურ.2.5,6). მისი ქვედა მკლავი საკმაოდ გრძელია და ასოცირდება ლათინურ ჯვართან. მისი ფორმა და პროპორციები მსგავსია ქრისტიანული პერიოდის ამ ტიპის ჯვრებისა.

ტოლმკლავა, ორი ჯვარია გამოსახული (სურ.2.7,8) თრიალეთის ოქროს (ინკუსტრირებული) თასის ძირზე (ძვ. წ. II ს). ერთი ჯვარი არის სწორმკლავა, ხოლო მეორე სამკუთხედებით შედგენილი ცენტრული კომპოზიციაა. ორივე ჯვარს გააჩნიათ საერთო ცენტრი-წრეწირი.

ტოლმკლავა, სწორმხრებიანი ჯვარია გამოსახული უფლისციხეში აღმოჩენილ სარიტუალო ნივთზე (სურ.2.9,10). უფლისციხის ექსპონატებში არის ასევე სვასტიკის გამოსახულებიანი საბეჭდავები. საბეჭდავზე გამოკვეთილი სვასტიკა (სურ 2.11) თავისებური ხაზობრივი კონფიგურაციით ხასიათდება. შესაძლოა იგი წარმოადგენდეს ჯვრისა და ნუსხური y (ან [ხანის შებრუნებული გამოსახულების) კომპოზიციას. მასთან შედარებით მარტივია მბრუნავი ჯვარი მრუდწირული ფორმის არეზე (სურ. 2.12).

სვასტიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშებიდან გამოვყოფთ ოქროს ყელსაბამს ვანიდან (Vს), მცირე ზომის ცილინდრებზე შესრულებული მბრუნავი ჯვრის გამოსახულებით (სურ. 2.13).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წინა ქრისტიანული პერიოდის, ჯვრის სიმბოლოიანი ნიმუშებიდან წარმოვადგინეთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. აღნიშნული ჯვრები მიუხედავად არსებული განსხვავებისა ხასიათდებიან მსგავსი ხაზობრივ-

სტრუქტურული აგებულებით, რაც თვალსაჩინოა მათი გრაფიკული გამოსახულებები-დანაც.

ჯვარის ნიშანი ცნობილია სვანების ძველ ყოფაშიც. ქრისტიანული სიმბოლოს გარდა ჯუარ ეწოდებოდა ისეთ საკრალურ ობიექტებს, რომლებიც თავისი წარმოშობით ქრისტიანობის წინარე ხანას განეკუთვნებოდა. სვანების ყოფაში არსებული ჯვრები და ჯვრის ნიშნით აღბეჭდილი კვერებიც დიდი მნათობის კულტიდან მომდინარეობს [14.81].

ჯვარი ხევსურეთში უძველესი ხანის ორნამენტია (სურ.2.14,15,16,17), იგი დაკავშირებულია ხევსურთა წარმართულ სარწმუნოებასთან. ხევსური ჯვარს ასახავდა სხვადასხვა ადგილზე და მას სხვა ორნამენტთან ერთად სახლის კეხზეც გამოსახავდა [4.6].

ხევსურული ჯვრები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მათი სტრუქტურა ემყარება გეომეტრიულ ფიგურათა ცენტრულ კომპოზიციას. აღნიშნულ ჯვრებს გააჩნიათ პარალელი როგორც უძველეს, ასევე ქრისტიანული პერიოდის ჯვრებთან.

ჯვარი უძველესი დროიდანვე სხვა ასტრალურ სიმბლოებთან ერთად აისახებოდა დარბაზის ტიპის საცხოვრებლის დედაბოძზე (სურ.3.1). მასზე ჯვრის მნიშვნელობა არ ისაზღვრებოდა ადგილით. ხშირად ჯვრული კომპოზიციით იკვეთებოდა სხვადასხვა ფიგურები, საკრალური სიმბოლოები. მიჩნეულია, რომ ჯვარი ყოველთვის იყო ძირითადი სიმბოლო, ძველი ხალხის ყოფაში და ცხოვრებაში.

2.1.2. ჯვრის სიმბოლიკა ქრისტიანული პერიოდის საქართველოში.

IV საუკუნიდან მკაფიო გარდატეხა ხდება რელიგიაში. 313 წელს რომის იმპერატორი კონსტანტინე მილანის ვედიქტით ქრისტიანობას კანონიერ სარწმუნოებად აცხადებს. ამის შემდეგ ჯვარი ხდება

ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლო და მისი კულტი საბოლოოდ დამკვიდრდა IV ს-ში. ჯვარი უკავშირდება ახალ რელიგიურ მოძღვრებას. საზოგადოებაში მიმდინარეობს წინაქრისტიანული პერიოდის რელიგიური სიმბოლოს ახალი, ქრისტიანული ინტერპრეტირება.

საქართველოში ჯვრის, როგორც ქრისტიანობის სიმბოლოს დამკვიდრება წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. იგი იყო კაბადოკიელი ბერძენი და იმპერატორ კონსტანტინეს კარზე ქრისტიანობას ქადაგებდა. საქართველოსკენ წამოსულს ფარავნის ტბასთან, უფლის გამოცხადების შემდეგ აღუმართავს ვაზის ჯვარი, სადაც ქადაგებდა და კურნავდა ხალხს, რითაც მათი ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია [15.438].

ჯვარის, როგორც უძველესი რელიგიური ნიშნის ფართოდ გავრცელება მოხდა ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, რაც გოლგოთის ჯვრის ისტორიული მნიშვნელობითაც იყო განპირობებული.

ახალი რელიგიის ზემოქმედების გაძლიერებას საზოგადოებაზე პირდაპირ უკავშირდება ჯვრის ინტენსიური გამოსახვა. იგი გამორჩეულ ადგილს იკავებს ხელოვნების გამომსახველობით დარგებში: სახვით და დეკორატიულ ხელოვნებაში. ყველაზე მძლავრად კი ის გამოვლინდა საკულტო ხუროთმოძღვრებაში.

აღსანიშნავია, რომ ჯვრის გამოსახულებებს ვხვდებით ძველ დამწერლობებში (ებრაული, მოაბური, არამეული, ეთიოპიური, ფინიკიური და სხვა).

ქართულ ასომთავსრულში ჯვრის ფორმისაა ასო «ქ» და «ჯ». ამათგან საინტერესოა «ქ»-ს გრაფიკული გამოსახულების სტადიები (სურ. 3.2), სადაც იგი ძირითადად ჯვრის ფორმითაა გამოსახული [9.440].

ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ჯვარი წმინდა ნინოს ჯვარია, რომელიც საქართველოში შეიქმნა (სურ. 3.3). ეს ჯვარი თავისი ფორმით

განსხვავდება არსებული ჯვრებისგან. მის გრაფიკულ ფორმასთან დაკავშირებული მოსაზრებების გვერდით მიგვაჩნია, რომ სამი მკლავის (ორი გვერდითი და ზედა ვერტიკალური) მიმართულებები განისაზღვრება მიახლოებით, წრეწირის სამ ნაწილად გაყოფის შედეგად.

VI–VIIIსს-ში ჯვრის გამოსახულება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ ნუმიზმატიკაში. ქართლის ერისმთავართა დრამებზე ცეცხლის თავზე ჯვარია გამოსახული. არსებული მრავალფეროვანი მასალიდან გამოვყობთ რამდენიმეს: ქართულ-სასანურ დრამაზე, ჯვარი დისკოს ზედა ნაწილზე მდებარეობს. ზედა და გვერდითი მკლავები ბოლოსაკენ განივრდება და შუაზე იყოფა. ქვედა მკლავი მართკუთხა სადგარით ბოლოვდება (სურ. 3.4,5). განსხვავებული ხასიათისაა დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტაზე არსებული ჯვარი (სურ. 3.6,7). იგი ტოლმკლავაა და ბოლოვდება სამკუთხედებით. ჯვარი შემოსაზღვრულია წრით. დავით III კურაპალატის მონეტაზე (1001წ) გამოსახული ჯვარი მსგავსია იერუსალიმის ყოვლისშემძლე ჯვრისა (სურ. 3.8).

მონეტებზე გამოსახული ჯვრები ერთმანეთისგან განსხვავდება სტრუქტურული კომპოზიციით. თითოეული მათგანის გრაფიკულ ფორმებს გააჩნიათ პარალელები ეკლესიების დეკორატიულ ჯვრებთან.

შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან კოლექციაში გამოიყოფა ხატები და ჯვრები, რომელთა საწყისი პერიოდი VIII-IX საუკუნეებით განისაზღვრება. აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ხახულის კარედი ხატი. ხატის მთელ სიბრტყეზე, ღვთისმშობლის გამოსახულების ორივე მხარეს განლაგებულია ჯვრები, ჯვრული კომპოზიციები. ხატზე მოთავსებული ნიმუშებიდან გამოვყობთ ზოგიერთს.

ხახულის კარედზე (მარცხნივ ზემოთ) მოთავსებულია კვადრიფილი ჯვარცმის გამოსახულებით (X-XIსს ქართული ხელობა) (სურ.3.9,10). მთელი სიუჟეტური კომპოზიცია მოთავსებულია კვადრატულ და მის გვერდებთან დაკავშირებულ რკალებით

შემოსაზღვრულ არეზე. კვადრიფილის გრაფიკული ფორმა მსგავსია ზოგიერთი ქრისტიანული საკულტო ძეგლის გეგმარებისა.

ხატის ცენტრალური სიბრტყის ქვედა ნაწილში ორივე მხარეს მოთავსებულია ერთნაირი ჯვრები წმინდანთა გამოსახულებით (ბიზანტიური ხელობა XIს) ჯვრის მკლავები სხვადასხვა სიდიდის ტრაპეციებია, ერთმანეთის ტოლია მხოლოდ გვერდითი მკლავები (სურ. 3.11,12) მკლავების გადაკვეთის არე არის კვადრატი.

ხახულის კარედის ჯვრებთან შედარებით განსხვავებული სტრუქტურისაა კაცხის მაცხოვრის ხატის მოჩარჩოების სამკაული – ჯვარი (Xს ქართული ხელობა). ჯვრის ცენტრალური ნაწილი მსგავსია ზემოთ განხილული ხახულის კარედის ჯვრის (იხ. სურ, 3.11,12). ჯვრის ტრაპეციულ მკლავებს დამატებული აქვს კიდევ ორი ელემენტი – შედარებით მცირე ზომის ტრაპეცია და მასთან დაკავშირებული წრიული დისკოები, ჯვრის ვერტიკალური მკლავები გვერდით მკლავებთან შედარებით გრძელია. ქვედა მკლავის ბოლოს მოთავსებულია ორი დეკორატიული კვადრატი. ჯვრის მკლავები ნაწილობრივ შემკულია გეომეტრიული ორნამენტით (მინანქრით), რომელიც მსგავსია ხევსურული ორნამენტის.

ჯვრების მრავალსახეობაში გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც მკლავების მოხაზულობა, სწორხაზოვნება იცვლება რკალებით. ასეთი სტრუქტურისაა **მარტვილის პანაგია** (Xს ქართული ხელობა) და **გულსაკიდი სანაწილე ჯვარი** მარტვილიდან (IXს-Xსს) (სურ. 4.1,2,3,4). მარტვილის პანაგიის მარტივ და სრულყოფილ კომპოზიციას საფუძვლად უდევს ცენტრალური კვადრატი, რომლის ოთხივე გვერდი შემოსაზღვრულია ერთნაირრადიუსიანი რკალებით. ნალისებური რკალებითაა შედგენილი მეორე სანაწილე ჯვარი. მისი წრიული მკლავებიდან ხაზგასმულია გრძელი ვერტიკალური მკლავი.

მრავალფეროვანია ასევე ჭედური ჯვრები. მათი მკლავების მოხაზულობები და დეკორაცია მკვეთრად განასხვავებს სხვა

ჯვრებისაგან გაშლილი რკალებით შედგენილი მკლავების დაბოლოებები იყოფა შუაზე და ზოგჯერ ბოლოვდება მცენარეული ელემენტით. გამოვყობთ საწინამძღვრო ჯვარს მარტვილიდან (XIIს) (სურ. 4.5), რომლის სტრუქტურული ელემენტები პარალელს იძლევიან საკულტო ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე გამოსახულ ზოგიერთ ჯვართან.

რელიგიურ-დეკორატიული ჯვრებიდან წარმოვადგინეთ მცირე ნაწილი იმ ნიმუშებისა, რომელთა სტრუქტურა და კომპოზიცია არის განსხვავებული. ეს განსხვავება განსაკუთრებით იკვეთება მათი გრაფიკული გამოსახულების ფონზე, სხვადასხვა გეომეტრიული ფორმებით.

რელიგიურ თემაზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშებია ასევე ადრე ქრისტიანული პერიოდის (VI-VIIIსს) საკულტო დანიშნულების ძეგლები: ქვასვეტები, ქვაჯვრები, არსებული ისტორიული წყაროებით ქვაჯვარათა დასაბამი საქართველოში მოქცევის პირველ ხანებს უკავშირდება.

რელიეფური ქვასვეტები ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთშია გავრცელებული (სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთი, ქვემო და შიდა ქართლი).

ქვაჯვარათა არსებული სახეებიდან გამოვყობთ იმ ნიმუშებს, რომელთაც გააჩნიათ ზოგადი დამახასიათებელი ფორმები.

უსანეთას ქვასვეტზე (VIს) ამოკვეთილია ჯვრების გამოსახულება. აქედან ორი ერთნაირია და მსგავსია ხახულის კარედის წმ. პავლეს ჯვრის გრაფიკული გამოსახულების (სურ.4.6). შემდეგი ჯვრის მკლავების ფორმები ძირითადად იგივეა მხოლოდ მკლავების დაბოლოებები (კუთხეები) წვეთის ფორმას ქმნიან (სურ. 4.7). იგი მსგავსია წვეთოვანი ჯვრის (იხ. სურ. 1.11).

განსხვავებული სტრუქტურისაა **ბოლნისის ქვაჯვარა** (VI-VIIსს), (სურ. 4.8). ჯვრის ოთხივე მკლავის ბოლოები გაყოფილია და ბოლოვდება წრიული ფორმებით. ხაზგასმულია ვერტიკალური მკლავების სიგრძე. ქვედა მკლავი ბოლოვდება მცენარეული ელემენტით

(ანუ ჯვარი «განედლებულია»). ჯვრის ეს ფორმა საკმაოდ ინდივიდუალურია, იგი მსგავსებას ამჟღავნებს ზოგიერთი საკულტო ძეგლის ფასადზე გამოხატულ ჯვართან.

მრავალფეროვანი ჯვრებით გამოირჩევა ქვასვეტი მზეთამზედან (სურ. 4. 10,11,12,13). მის თავზე მოთავსებული ჯვარი მსგავსია ბოლნისის სიონის ხარის რქებთან გამოსახული ჯვრისა. სვეტის შუა ნაწილზე გამოკვეთილია ბოლნური ჯვრები, ასევე სხვადასხვა სტრუქტურის ჯვრები, რომელთაგან გამოვყობთ სწორმკლავა ჯვარს სადგარიანი გრძელი მკლავით და მცენარეული ელემენტით. ქვასვეტის ქვედა საფეხურზე გამოსახულია სამკუთხედებით შედგენილი ჯვრული კომპოზიცია, რომელიც მსგავსია ირანული ჯვრების (იხ. სურ. 1. 25,26).

ქვაჯვართა ერთერთი შესანიშნავი ნიმუშია ყაჩაღანის ჯვარი (VIIს), (სურ. 4.9). ჯვრის რელიეფური გამოსახულება, მისი სიუჟეტურ-დეკორაციული სტრუქტურა დაკავშირებულია ქართულ-ქრისტიანულ ხელოვნებასთან. ქვაჯვარზე გამოსახული ჯვრის ამაღლების კომპოზიცია გამოსახულია ქრისტიანულ ტაძართა ფასადებზეც (მცხეთის ჯვარი, თეთრი წყარო და სხვა). ქვაჯვარას ავტორი ორგანულად ათავსებს მკლავებზე ანგელოზებს, ცენტრში ბოლნურ ჯვარს და ქმნის განუმეორებელ კომპოზიციას. ჯვრის გარე მოხაზულობა მსგავსია უასნეთას ქვასვეტზე გამოსახული ჯვრების (წვეთოვანი ელემენტების გარეშე).

ქვაჯვარებზე და ქვასვეტებზე არსებულ ჯვრებს თავისი გეომეტრიული ფორმებით, გააჩნიათ პარალელი ქრისტიანულ ხელოვნებაში არსებულ ჯვრებთან, ასევე ჯვრის უძველეს გრაფიკულ ფორმებთან.

განხილული ჯვრებით, მათი გრაფიკული გამოსახულებებით, საშუალება გვეძლევა ნათლად წარმოვსახოთ სხვადასხვა ეპოქის ჯვრული ნიმუშების სტრუქტურული ფორმები, კომპოზიციები, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს.

წინაქრისტიანული და ქრისტიანული ეპოქის მსოფლიოში არსებულ ჯვრებში შეინიშნება ცენტრული სიმეტრია, რაც განპირობებულია ერთი და იგივე ელემენტის ჯვრული კომპოზიციით. მათში ხშირად სწორხაზოვანი მკლავები იცვლება სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებით (სამკუთხედები, ტრაპეცია, რკალი და სხვა). შესაბამისად იქმნება მრავალფეროვანი ჯვრები და ჯვრული კომპოზიციები.

ქრისტიანული პერიოდის ჯვრებში შეინიშნება ტოლმკლავიანი კომპოზიციებიც, მაგრამ ძირითადად ადგილი აქვს გრძელი ვერტიკალური მკლავების მქონე ჯვრების გამოსახვას, სადაც სიმეტრიის ცენტრი იცვლება სიმეტრიის ვერტიკალური ღერძით. სწორედ ასეთი წაგრძელებული ფორმა იყო ძირითადად დამახასიათებელი ქართულ-ქრისტიანული ხუროთმოძღვრების გეგმარებით-მოცულობით კომპოზიციაში გამოყენებული ჯვრის თემისათვის.

ჯვრის სიმბოლიკის ჩასახვისა და განვითარების პროცესში წარმოშობილი ჯვრის გამოსახულების განხილვამ მოგვცა საშუალება ღრმად გაგვეაზრებინა ჯვრის თემა ქართულ ხელოვნებაში და განსაკუთრებით შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების გეგმარებით მოცულობითი სტრუქტურის ფორმირებისა და განვითარების საქმეში. დაგვანახა ჯვრის სიმბოლიკის იდეოლოგიური და მაორგანიზებელი როლი ქართულ ქრისტინულ ხელოვნებაში და განსაკუთრებით ხუროთმოძღვრებაში.

2.2. ჯვრის თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში (IV-XVIII სს)

2.2.1. ქართული ხუროთმოძღვრება წინაქრისტიანულ პერიოდში

საქართველოს ტერიტორიაზე ხუროთმოძღვრული ხელოვნების უადრესი ნიმუშები მიეკუთვნებიან გვიანი ნეოლითის ხანას. ესაა შულავერის და იმირის ნამოსახლარები (ძვ.წ.V,VIსს). საცხოვრებელთან ერთად მიკვლეულია საკულტო ნაგებობებიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უძველესი დროიდანვე არსებობდა წარმართული სარწმუნოებრივი დანიშნულების ცენტრები.

გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი ხანის სამლოცველოები გვხვდება შიდა ქართლში (ნაცარგორა, ხოვლეგორა, ყათლანისხევი), კახეთში (მელაანი, მელიღელე, არაშენდა, შილდა და სხვა).

ანტიკურ ხანაში ჩნდება დიდი მოცულობის საკულტო კომპლექსები (ვანი, საირმე, დედოფლის მინდორი, სამადლო, ციხია გორა, უფლისციხე).

ივ. ჯავახიშვილის ცნობით საქართველოში წარმართთა ხანაში შენდება ციურ მნათობთა ტაძრები, რომლებიც სტრაბონსაც აქვს აღწერილი თავის ერთერთ ნაშრომში [25.52].

წარმართულ საკულტო ნაგებობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ აღმოსავლეთ მთიელთა ჯვარ-ხატებს. ისინი რელიგიური სამლოცველოებია, რომლებიც სატომო ღვთაებათა სახელზე იგებოდა. მკვლევართა მოსაზრებით, მთიანეთში აღმოჩენილი საკულტო ნაგებობების (ძვ.წ. II და Iსს), მძლავრი წარმართული ტრადიცია ქრისტიანობაზე ადრინდელი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს.

საკულტო კომპლექსებს, ცალკეული რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებს გააჩნიათ ერთმანეთისგან განსხვავებული გეგმები. ტაძრების გეგმათა კომპოზიციურ–სტრუქტურული ფორმები, აქვე

მოძიებული არქეოლოგიური მასალა და მათი განლაგება რეგიონებში მიუთითებს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მიმართულების რელიგიური ცენტრების არსებობაზე. წარმართული პერიოდის ნაგებობათა აბსოლიტური უმეტესობა ნანგრევებს წარმოადგენს, მაგრამ მკვეთრად განირჩევა მათი გეგმარებითი სტრუქტურა, რომელიც კარგად ასახავს ტაძართა სივრცით-მოცულობითი ფორმების გადაწყვეტასაც.

საქართველოში არსებული წინაქრისტიანული პერიოდის საკულტო ნაგებობათა ნაშთების სიმრავლე, მიუთითებს, რომ უკვე უძველეს ნაგებობებში ყალიბდება საკულტო ტაძართა გეგმარებითი და მათი სივრცით-მოცულობითი, კომპოზიციურ-კონსტრუქციული სტრუქტურები, რომლებიც ქმნიდნენ საფუძველს მომდევნო პერიოდის საკულტო ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ საქართველოში გუმბათოვანი ტაძრის ჩამოყალიბების პროცესზე გავლენა იქონია ადრე ირანულმა სასანურმა ნაგებობებმა. ქრისტიანობის საწყისი პერიოდის ზოგიერთი ძეგლის გეგმა მსგავსია სასანური ცეცხლის სამლოცველოთა გეგმისა, მაგრამ როგორც მკვლევარები მიუთითებენ ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ცენტრალური გუმბათოვანი ტაძრის ჩასახვა და განვითარება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ტრადიციებთან, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წინაქრისტიანული პერიოდის სატაძრო ხუროთმოძღვრებასთან და ხალხური არქიტექტურის ტრადიციებთან – უძველესი «დარბაზის» ტიპის საცხოვრებელთან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადრეული შუა საუკუნეების საკულტო ხუროთმოძღვრებაში, როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე შიგნით შეინიშნება ცეცხლის ტაძრების ახლებურად გადაკეთება, შემდეგ მისი ქრისტიანული ეკლესიის სახის მიცემა [26.62].

არის მოსაზრება, რომ ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობები შექმნა წინა ქრისტიანულმა მოდელმა, რომელშიც ძირითადი ადგილი დაიკავა თემატიკითაც და ფორმითაც ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარმა [28.107].

წინაქრისტიანულ პერიოდში იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება ზოგიერთი უძველესი საცხოვრებლის და საკულტო ნაგებობის გეგმაში ჯვრული კომპოზიციის მქონე სტრუქტურის ჩანასახები (სურ.5.1,2,3), მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული თეოლოგიურ-სარწმუნოებრივი საფუძველი და მნიშვნელობა.

საქართველოში გამოვლენილ წინაქრისტიანული პერიოდის ტაძრების გეგმათა სტრუქტურაში მკვეთრად გამოსახული ნიშანია ცენტრულობა. იგი იკვეთება ცალკეული სამლოცველოების თუ კომპლექსების გეგმებში. მათთვის დამახასიათებელია სწორკუთხა, კვადრატული და წრიული ფორმები, რაც დამახასიათებელი ხდება შემდგომში ქრისტიანული გუმბათოვანი ტაძრებისთვისაც.

ამრიგად, მრავალფეროვან უძველეს წინაქრისტიანულ საკულტო ნაგებობებში და ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ საცხოვრებელში შექმნილი სივრცით-მოცულობითი კომპოზიციურ-კონსტრუქციული ფორმები შემდგომში ხდება გარკვეული საფუძველი ჯვრული გეგმისა და მოცულობის მქონე ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრებისა.

2.2.2. ჯვარი, როგორც თეოლოგიურ-სარწმუნოებრივი (იდეოლოგიური) საფუძველი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისა

ხუროთმოძღვრება თავის თავში ასახავდა საზოგადოების განვითარების კანონებს. იგი ვითარდებოდა ერის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე, რომელიც წარმართავდა მის ძირითად მიმართულებებს.

IV საუკუნეში საქართველოში ვრცელდება ქრისტიანობა. ეს პროცესი წარმოადგენს, როგორც ქრისტიანული რელიგიის აზროვნების ასევე ქრისტიანული არქიტექტურის ჩამოყალიბების ხანას. ეს პროცესი თავიდანვე წარიმართებოდა ქრისტიანობის სარწმუნოების სიმბოლოს ჯვრის ეგიდით, რომელიც გახდა იდეოლოგიური, წარმმართველი ძალა ქრისტიანული ცხოვრებისა და მასთან ერთად ხუროთმოძღვრების მთელი შემდგომი განვითარებისა. აღნიშნულ პერიოდში, როგორც ცნობილია, თავიდან იქმნებოდა ბაზილიკური ტიპის საკულტო ნაგებობები წმინდა ნინოს ზეპირი აღწერის მიხედვით, მაგრამ გარედან შემოტანილ აღნიშნულ ტიპთან ერთად დაიწყო ჩამოყალიბება და გავრცელება ადგილობრივმა ჯვარ-გუმბათოვანმა ნაგებობებმა.

ქართული მონუმენტური ტაძრების ჩამოყალიბებაში, როგორც ითქვა, თავისი როლი შეასრულა წინაქრისტიანული პერიოდის საკულტო ნაგებობებმა და ადრინდელი ხანის საცხოვრებლის, კერძოდ ხალხური საცხოვრებლის დარბაზის არქიტექტურულ-კონსტრუქციულმა სტრუქტურამ, რომელიც წარმოადგენდა მისი გეგმის ცენტრალურ კვადრატულ საფუძველზე მოწყობილ გუმბათურ გადახურვას (ე.წ. გვირგვინი), დაყრდნობილს დედაბოძებზე. გუმბათური გადახურვის ასეთი სტრუქტურა გახდა მნიშვნელოვანი საფუძველი, ადგილობრივი ცენტრალურ–გუმბათოვანი მონუმენტური ხუროთმოძღვრების ჩამოყა-ლიბებისა.

ქართული ქრისტიანული მონუმენტური ნაგებობების განვითარება ასევე ემყარებოდა ძველ ნაგებობათა ხუროთმოძღვრული ტრადიციების ცალკეულ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ ელემენტებს, რაც დასტურდება კამარების, თაღებისა და სვეტების გამოყენებაში, მაგრამ ამავე დროს ის უკვე წარმოადგენდა საკულტო და მხატვრული შემოქმედების ახალ ისტორიულ ეტაპს.

ქრისტიანული არქიტექტურა ითვისებდა, როგორც ადგილობრივი საზოგადოებრივი ნაგებობების ასევე წარმართული სალოცავების

ფორმებსაც. იგი წინა ქრისტიანული პერიოდის შენობების ცალკულ დეტალებს უძებნის ახალ ფუნქციას. ხშირად ეკლესიითვის იყენებს ძველ ნაგებობებს, მათ ნაშთებს, რომლებიც გარკვეულწილად ესადაგებოდა ქრისტიანულ ნორმას. საგანგებოდ ირჩევდა ისეთ ფორმებს, რომელიც უკეთ შეესაბამებოდა მის პროგრამას [28.88], იდეოლოგიასა და სიმბოლოს.

ჯვარ-გუმბათოვანი იდეის პირველი ჩანასახი, როგორც გ. ჩუბინაშვილი მიუთითებდა IV ს-ის ჭერემის მინიატურული სამლოცველო იყო. ეს იყო მნიშვნელოვანი საწყისი პერიოდი ქართულ ქრისტიანულ ტაძართა ჩამოყალიბებისა, რომელთა გეგმარებით-მოცულობით სატრუქტურას თავიდანვე საფუძვლად დაედო ქრისტიანული იდეოლოგიის სიმბოლო ჯვარი.

როგორც ცნობილია ქართულ ცენტრალურ გუმბათოვან ხუროთმოძღვრებაში ნაგებობის კომპოზიციის სტრუქტურის ფორმირების წამყვანი და განმსაზღვრელი ელემენტი იყო გუმბათი, რომელიც ქრისტიანული არქიტექტურისათვის ქართული ხალხური არქიტექტურიდან მემკვიდრეობით მიღებული ელემენტი იყო.

ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგიის ძლიერი გავლენით გუმბათი იგებოდა გეგმარებით-მოცულობითი ჯვრის ცენტრზე ანუ ცენტრალურ კვადრატზე. მათი ორგანული სინთეზით იქმნებოდა და შემდგომში ვითარდებოდა ტრადიციული ცენტრული ჯვარ-გუმბათოვანი კომპოზიციური სტრუქტურა

შესაბამისად ვითარდებოდა ამ სტრუქტურის ფორმირების კანონზომიერებებიც, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე ეროვნული მემკვიდრეობის თაობიდან თაობაში გადაცემის საქმეში. ეს კანონზომიერებები იყო საუკუნეებით ჩამოყალიბებული, გარკვეული ტიპოლოგიის ფორმირების განვითარებადი და მოქნილი მეთოდები, რომლებიც მთელ ქართულ ჯვარ-გუმბათოვან ხუროთმოძღვრებას წარმართავდა ერთიან ეროვნულ კალაპოტში. ისინი ჩაისახენ რა

ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებასთან ერთად, მასთან ერთადვე ვითარდებოდნენ და იხვეწებოდნენ. შედეგად მათი დახმარებით იქმნებოდა მაღალმხატვრული ჯვრის თემაზე წარმოშობილი, ქართული ეროვნული ნაწარმოები.

ამრიგად ჯვრის თემა წარმართავდა ცენტრალურ-გუმბათოვან საკულტო ხუროთმოძღვრებას, რომლის განვითარებასთან ერთად ცვლილებას განიცდიდა ჯვრის გამოსახულებაც, როგორც გეგმაში ასევე სივრცეში.

ადრეული პერიოდის ერთკონქიანი ტოლმკლავა სწორმხრიანი გეგმარებითი ჯვრების გვერდით იქმნებოდა განსაკუთრებული ჯვრული გეგმის ტეტრაკონქული ტიპის ნაგებობები, მაგრამ ამავე პერიოდში უპირატესი განვითარება მაინც ერთკონქიანმა ტაძრებმა მიიღეს, სადაც ჯვრის დასავლეთ-აღმოსავლეთის მკლავის სიდიდე ხაზგასმული იყო.

ჯვრის ძლიერმა სიმბოლურ-იდეოლოგიურმა გამოსახულებებმა არა მარტო ტაძართა გეგმარებით-მოცულობით სტრუქტურაზე იქონია გავლენა, არამედ მან განაპირობა ფასადთა მორთულობის ჩამოყალიბებაც, რომელიც ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითრებულ პერიოდში იყო ძირითადი და დამახასიათებელი კომპონენტი ქართული საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის.

ამრიგად, ქრისტიანობის იდეოლოგიური სიმბოლო ჯვარი იყო მთელი ქართული ხელოვნებისათვის დამახსაითებელი ნიშანი და ქართულ ქრისტიანულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში ყველაზე ძლიერი მიმართულების ცენტრალურ–გუმბათოვანი ნაგებობის მაორგანიზირე-ბელი ძალა.

2.2.3. ჯვრის თემა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლების გეგმარებით კომპოზიციაში

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდანვე (IVს) იწყება ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ჩასახვა და განვითარება. მას საფუძვლად დაედო ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი და მის საფუძველზე წარმოშობილი ჯვრის თემა, რომელიც მთელი შუა საუკუნეების ქართული ცენტრალურ–გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებაში (XVIII საუკუნემდე) იყო იდეოლოგიური წარმმართველი ძალა.

უძველესი ქრისტიანული საკულტო ნაგებობა, ანუ ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი, როგორც ითქვა ჯვარ-გუმბათოვანი იდეის ჩანასახი – ჭერემის მინიატურული სამლოცველოა (IVს) (სურ.6.1). ეს არის ოთხივე მხრიდან გახსნილი კვადრატული სივრცე გადახურული გუმბათური ჩანასახის თაღით. იგი ქვის კუთხის ნაშვერებზე (ტომპების ჩანასახი) და კედლებზე ეყრდნობოდა. ამ მცირე ზომის მარტივ ნაგებობაში უკვე შეიმჩნევა კომპოზიციის აგების საწყისი იდეა – გეგმაში ასახული ჯვრის ფორმა. ამავე დროს აღნიშნულ ნაგებობაში გამოვლენილია გეგმის ცენტრული ხასიათი. ჭერემის სივრცითი კომპოზიცია შემდგომ განვითარებაში ითამაშებს გუმბათქვეშა კვადრატული სივრცის როლს. მასთან ოთხივე მხრიდან მიდგმული მკლავები და მასზე აღმართული გუმბათი ქმნის სრულფასოვან ჯვარ-გუმბათოვან კომპოზიციას. მაშასადამე იდეა, რომელიც ჩაისახა ბაზილიკური ეკლესიების გვერდით, იყო ჯვრული გეგმარებით-მოცულობითი კომპოზიცია. შემდგომში ეს იდეა საკულტო ნაგებობების ფორმირებაში უწყვეტ ხასიათს იღებს.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ე.წ. მოსამზადებელ ეტაპზე (IV-VIსს) აგებულ ძეგლების გეგმებში აშკარად იკვეთება ჯვრის

თემა. ამ თემაზე წარმოქმნილი ცენტრალურ-გუმბათოვანი საკულტო ძეგლების გეგმარების თვალსაზრისით ჯგუფდებიან ერთკონქიან და ტეტრაკონქულ ტიპებში. თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული ძეგლები შეიძლება იყოს «თავისუფალი ან ჩახაზული ჯვრის» ტიპის. აღნიშნული ფორმები გავრცელებული იყო ქრისტიანულ არქიტექტურაში.

«თავისუფალი ჯვარი» უდევთ საფუძველში საწყისი ეტაპის შემდეგ ერთკონქიან ძეგლებს: **ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია** (Vს), **იდლეთის ნათლისმცემელი** (VIს), **ერელაანთ საყდარი** (V-VIსს), **შიო მღვიმის ძველი ეკლესია** (VIს). მიუხედავად საერთო ხასიათისა, აღნიშნული ძეგლების გეგმები რამდენადმე განსხვავდებიან შიგა სტრუქტურით.

ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესიის გეგმა გარედან ტოლმკლავა ჯვარია (სურ.6.2), ხოლო ჯვრულ შიდა სივრცეში გამოკვეთილია აღმოსავლეთის აფსიდიანი მკლავი, რომელიც დანარჩენ მკლავებთან შედარებით არის უფრო ღრმა.

ერელეაანთ საყდრის გეგმა (სურ.6.4) ღერძულად სიმეტრიულია. ერთმანეთის ტოლია ჩრდილო-სამხრეთის და აღმოსავლეთ–დასავლეთის მკლავები, მაგრამ ამავე დროს ხაზგასმულია აღმოსავლეთ–დასავლეთის იდეოლოგიურად მთავარი მკლავების სიგრძე. გეგმის შიდა ჯვრული გამოსახულება იქმნება ცენტრალური გუმბათქვეშა კვადრატის გარშემო. გეგმაზე ასახულია ასევე ჩრდილო-სამხრეთის მკლავებში არსებული დამატებითი სათავსოები, რომლებიც აღნიშნული პერიოდის ძეგლებისაგან განასხვავებს ამ ეკლესიას.

იდლეთის ნათლისმცემლის გეგმა მარტივად გამოსახული ჯვარია (სურ.6.6). იგი ტოლმკლავაა, ერთკონქიანი. მისი გეგმისათვის დამახასიათებელია კვადრატთან საკურთხევლის აფსიდის უშუალო მიერთება.

შიო მღვიმის ეკლესია ღერძულად სიმეტრიულ თავისუფალ ჯვარს გამოსახავს გეგმაში (სურ.6.7). ისევე როგორც ერელაანთ საყდარში

აქაც ხაზგასმულია მთავარი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი, ხოლო როგორც იდლეთში საკურთხევლის ოვალური აფსიდი პირდაპირ უერთდება გუმბათქვეშა კვადრატს.

ამრიგად ადრეული პერიოდის «თავისუფალი ჯვრის» ტიპის ძეგლები ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავებული კომპოზიციებია, რაც გამოწვეულია ნაგებობის ზოგიერთი ხუროთმოძღვრული ელემენტის ფორმის შეცვლით, ან დამატებითი სათავსოების წარმოშობით. განხილული ეკლესიები გუმბათოვანია, მხოლოდ ზეგაანის ეკლესიაშია გუმბათის მაგიერ ჯვრული კამარა. აღნიშნული ტიპის ეკლესიები შემდგომშიც იგება (სამწევრისი (VIIს), თხოთის მთის წმ. ნინოს ეკლესია (VII-VIIIსს) და სხვა).

ადრეული შუასაუკუნეების გეგმარებითი «თავისუფალი ჯვრის» გვერდით ვითარდება «ჩახაზული ჯვრის» გეგმის მქონე ნაგებობები. ამის თვალსაჩინო ნიმუშებია **მცხეთის ჯვრის** (VIს) და **იყალთოს** მცირე ეკლესიები (VIს) (სურ.6.3,5) ორივე ეკლესიის გეგმა ჩახაზულია მართკუთხედში, სადაც ხაზგასმულია ტაძრის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ამ მიმართულებით სიგრძის მატება ორივე ძეგლში გადაწყვეტილია სხვადასხვაგვარად. მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარში სიმეტრიული მკლავების სიდიდეებს ემატება საკურთხევლის აფსიდიც. იყალთოს ეკლესიაში ჯვრული გეგმა ტოლმკლავაა. აღმოსავლეთით ღერძი იზრდება საკურთხევლის აფსიდის მომატებით, დასავლეთით კი დამატებითი სადგომით (ნარტექსი).

ამრიგად საწყისი პერიოდის ქრისტიანული საკულტო ნაგებობების ჯვრული გეგმის მქონე ერკონქიანი ძეგლები გამოირჩევიან ერთიანი, საერთო სტრუქტურის საფუძველზე განვითარებული სხვადასხვა ფორმებით. მათთვის დამახასიათებელია ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატზე წარმოქმნილი ჯვრული გეგმის აღმოსავლეთ-დასავლეთის იდეოლოგიურად მთავარი ღერძის ხაზგასმა.

ერთკონქიანი ძეგლების პარალელურად მოსამზადებელ პერიოდში იქმნება და ვითარდება ტეტრაკონქის ტიპის ჯვრისებრი გეგმარებითი სტრუქტურა, რომელშიც ჯვარი განსხვავებული ფორმით ისახება.

ტეტრაკონქები ოთხაფსიდიანი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობებია, რომელთა გეგმა წარმოადგენს ცენტრალურ კვადრატზე განვითარებული სიმეტრიული აფსიდების ცენტრულ–ჯვრულ კომპოზიციას. არსებული ცნობებით ტეტრაკონქები გავრცელებული იყო ადრინდელ (VIს) ქრისტიანულ არქიტექტურაში და განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთში. საქართველოში ტეტრაკონქებს უპირატესად VI-VIIსს აშენებდნენ (ძველი გავაზი, სუხბეჩი, მანგლისი, თბილისის ქაშვეთი, ნინოწმინდა, მცხეთის ჯვარი, ბანა და სხვა) [33.701].

ერთ-ერთი უძველესი ტეტრაკონქი არის **სუხბეჩის** (V-VIსს) (დანგრეული) ეკლესია ტაო-კლარჯეთში (სურ.7.1). მის გეგმაში ცენტრალური კვადრატის გარშემო განლაგებულია ნახევარწრიული აფსიდები. აღნიშნული გეგმის მქონე ეკლესიას «სუფთა ტეტრაკონქს» უწოდებენ [34.17].

ძველი გავაზის ტეტრაკონქული გეგმის გრაფიკული ფორმა განსხვავდება სუხბეჩის გეგმისაგან (სურ.7.2). მისი აფსიდები ნალისებურია, ნალისებურია ასევე ეკლესიის კარების ღიობი [24.57]. გ. ჩუბინაშვილი მიუთითებდა, რომ ჯვრისებრი გეგმა ნალისებური ფორმის მკლავებით ქმნიდა «რკინისებურ სიმკვიდრეს». ამიტომ გეგმის ეს განსაკუთრებული ფორმა, რომელიც სივრცეში ხისტ კონსტრუქციულ სისტემას ქმნიდა და გუმბათიდან მოსულ დატვირთვებს უკეთ იღებდა, მნიშვნელოვანი იყო საქართველოში ხშირი მიწისძვრების პირობებში.

ძველი გავაზის და სუხბეჩის ეკლესიათა გეგმები «თავისუფალი ჯვრის» პარალელურად განვითარებული ფორმებია. მსგავს ფორმებს ვხვდებით ქართული ქრისტიანული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე. კერძოდ მათი გეგმიური ჯვრის გრაფიკული გამოსახულების მსგავსია ხახულის კარედი ხატის კვადრიფილი (ჯვარცმის კომპოზიცია)

(იხ. სურ.3.9.10), სადაც ცენტრალური კვადრატის გარშემო რკალებით ასახულია ჯვრული კომპოზიცია. ასევე მსგავსი კომპოზიციისაა მარტვილის პანაგია (იხ. სურ.4.1,2) ამ შემთხვევაშიც ცენტრალური კვადრატის გვერდებთან აგებულ ჯვრის მკლავებს ებმის შესაბამისი რადიუსის რკალები. მასში შეიცნობა ბანას ტაძრის გეგმაში არსებული შიდა ტეტრაკონქული კომპოზიცია. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ორიგინალური კომპოზიციის გულსაკიდი, სანაწილე ჯვარი (იხ. სურ. 4. 3,4) ჯვარცმის გამოსახულებით (მარტვილიდან). ცენტრალურ წრეზე ჯვრულადაა განლაგებული ნალისებური ფორმის მკლავები, რომელიც მსგავსია ტეტრაკონქის ტიპის ძველი გავაზის ეკლესიის გეგმიური ჯვრისა. სანაწილე ჯვრისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური მკლავების აღმატებული სიგრძე გვერდით მკლავებთან შედარებით.

ტეტრაკონქის ტიპის განვითარებული სახეა **ნინოწმინდის ტაძარი** (VI ს) (სურ.7.3), რომლის გეგმარების ცენტრალურ სიბრტყეში ოთხი აბსიდალური მკლავით გამოკვეთილია ჯვარი. ტაძრის ჯვრული გეგმა არის საინტერესო იმ თვალსაზრისითაც, რომ მკლავებს შორის მოთავსებული დამატებითი სათავსოებიც ჯვრისებურადაა განლაგებული. აქ გეგმაში მცირედაა გამოკვეთილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის სიგრძე და ამავე დროს საკურთხევლის აფსიდის გარე კედლის წრიული ფორმა შეცვლილია წახნაგებით, რაც შემდგომშიც გვხვდება.

ნინოწმინდის გეგმიური ჯვარი, მისი კომპოზიციურ-კონსტრუქციული სტრუქტურა, თავისი ორჯერ გაზრდილი სიდიდეებით, თვალნათლივ გვიჩვენებს ნაგებობის გაფართოებისაკენ მისწრაფებას და ამის ფონზე ძეგლის კონსტრუქციული სტრუქტურის ახლებურად გააზრებას. მიჩნეულია, რომ ტაძრის კომპოზიციურ-კონსტრუქციული სტრუქტურა გახდა საფუძველი ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების პირველი აყვავების პერიოდისა, კერძოდ მცხეთის ჯვრის ტაძრის შექმნისა.

VI საუკუნის დასასრულს და VIIს დასაწყისში იქმნება ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ***მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი.*** იგი როგორც გენეტიკურად, ისე ევოლუციურად, უკავშირდება განვითარების ტეტრაკონქულ შტოს და უშუალოდ ნონიწმინდის კათედრალს, რომელიც საფუძველი გახდა მცხეთის ჯვრის გეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურის ფორმირებისა. ამ ძეგლში ხუროთმოძღვარმა დახვეწა გეგმარება. ჩრდილო-სამხრეთის ღერძის რამდენადმე შემცირების ხარჯზე, აშკარად გაუსვა ხაზი იდეოლოგიურად მთავარი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძს, რამაც საბოლოო ჯამში მისცა შესაძლებლობა ამ ტიპის ნაგებობისათვის მიეცა კრისტალურად სრულყოფილი და დახვეწილი ფორმები.

მცხეთის ჯვრის გეგმა შუალედური რგოლია «ჩახაზული ჯვრის» და «თავისუფალი ჯვრის» გეგმარებებისა. (სურ.7.4). აქ აღმოსავლეთ-დასავლეთის აბსიდები ცენტრალურ კვადრატს წაგრძელებული ბემების საშუალებით უკავშირდება, რითაც გეგმაში გამოიკვეთა ეს ღერძი. ჩრდილო-სამხრეთის აფსიდები კი ცენტრალურ კვადრატს უკავშირდება მცირე ბემების დახმარებით, რის გამოც ეს მკლავები გაცილებით მოკლეა. გეგმიური ჯვრის ეს თავისებური ფორმა ტრადიციულ ხუროთმოძღვრულ ელემენტებზეა დაყრდნობილი და ავითარებს ჯვრული გეგმის მქონე ტაძრის ტეტრაკონქულ ფორმას. გეგმაზე არსებული კუთხის ოთახები დაკავშირებულია ცენტრალურ კვადრატთან მის კუთხეებში მოწყობილი 3/4 წრიული ფორმის გასასვლელებით.

ტაძრის გეგმა ღერძულად სიმეტრიულია. მის ინდივიდუალურ ჯვრულ გეგმას წინამორბედ ტეტრაკონქულ ტაძართა გეგმებთან აახლოებს გუმბათქვეშა კვადრატის ირგვლივ განვითარებული ჯვარი, რამდენადმე წაგრძელებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მკლავებით.

ტაძრის გეგმის შიდა დანაწილება ასახულია გარე ფორმებშიც. ნაგებობის გეგმის შემომვლებ მართკუთხა აბრისს გარეთ ნაწილობრივ

გამოდიან ჯვრის მკლავები, ხოლო მკლავებსა და კუთხის ოთახებს შორის მოწყობილია ნიშები, რომლებმაც ერთი მხრივ კიდევ უფრო გამოიკვეთა ჯვრული გეგმარება, ხოლო მეორე მხრივ, ძეგლს შესძინა მხატვრული პლასტიურობა.

ამრიგად, მცხეთის ჯვრის ტაძარმა დააგვირგვინა ტეტრაკონქის შტოს ჯვრული გეგმარების განვითარება და იგი გახდა ამოსავალი კომპოზიციური სტრუქტურა ამ ტიპის შემდგომი ძეგლებისა. მასში უაღრესად მაღალ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ დონეზე მოხდა ასახვა წინა პერიოდის ძეგლებში ჩამოყალიბებული საწყისი ტეტრაკონქული ჯვრული ფორმებისა. ტაძრის გეგმაში იკვეთება იმ დროის ხუროთმოძღვართა არსებული პრობლემები, კერძოდ გეგმარებითი–მოცულობითი სტრუქტურის აბსოლიტური ზომების განვითარების შესაძლებლობების შეზღუდულობა, რაც აისახა აგრეთვე ამ ტიპის ძეგლებშიც.

მცხეთის ჯვრის დახვეწილმა სტრუქტურამ სათავე დაუდო ამ ტიპის ძეგლების წარმოშობას – ***ატენი*** (VIIს) (სურ.7.5), ***მარტვილის*** (VIIს), ***ძველი შუამთა*** (VIIს) და სხვა. ტეტრაკონქების ტიპის ამ ძეგლებს ისე, როგორც საერთოდ ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობებს გეგმაში, საფუძვლად უდევს აგრეთვე ჯვარი, მკვეთრად გამოხატული მათთვის დამახასიათებელი მსგავსი და ამავე დროს რამდენადმე განსხვავებული თავისებურებებით. კერძოდ: ნაგებობის ხაზგასმული ცენტრულობა, ცენტრალურ კვადრატთან აფსიდების დაკავშირება, დამხმარე ოთახები, მაგრამ მთელი გეგმარების შემადგენელი ელემენტების რამდენადმე განსხვავებული პროპორციებით.

ქართული ხუროთმოძღვრების პირველი აყვავების მნიშვნელოვანი ძეგლია აგრეთვე ***ბანას ტაძარი*** (VIIს). მკვლევართა მითითებით მისი გეგმარების გადაწყვეტას საფუძვლად უდევს მცხეთის ჯვრის კონცეფცია.

ბანას ტაძრის ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა გეგმით წარმოადგენს ტეტრაკონქს და ამავდროულად «ჩახაზული ჯვრის» ტიპის თავისებურ ვარიანტს (სურ.7.6). გეგმის ცენტრალურ კვადრატზე, ოთხივე მხარეს განვითარებულია ჯვრის თანაბარი სიდიდის მკლავები, შემოსაზღვრული ერთნაირი რადიუსის რკალებით. ჯვრის მკლავებს შორის დამხმარე სათავსოებია. მთელი ეს კომპოზიცია მოთავსებულია წრიულ აბრისში.

ტაძრის გეგმა, განსხვავებით წინამორბედებისგან, ორიგინალურადაა გადაწყვეტილი და ჩვენი მოსაზრებით გეგმიური ელემენტების ცენტრულ კონფიგურაციას დეკორატიული მიდგომა ახასიათებს. ხუროთმოძღვარი გეგმის ცენტრში ქმნის მხატვრულად გადაწყვეტილ ჯვრულ კომპოზიციას, რომლისთვისაც იყენებს გეომეტრიულ გარდაქმნებს (გადადგილება, ცენტრული სიმეტრია). ტაძრის გეგმის გადაწყვეტა, არა მხოლოდ მორწმუნეთა ზეამაღლებულ განწყობაზე იყო გათვლილი, არამედ მათ მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებაზეც.

ბანას ტაძარი თავისი კომპოზიციით არის მნიშვნელოვანი ძეგლი, ცენტრალურ-გუმბათოვანი ჯვრული გეგმის მქონე ნაგებობათა შორის.

ამრიგად ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიათა გეგმარებით კომპოზიციაში ძირითადი ადგილი უკავია ჯვრულ გეგმებს. ისინი გამოირჩევიან სხვადასხვა კომპოზიციური სტრუქტურებით, ჯვრულ გეგმარებაში არსებული ხუროთმოძღვრული ელემენტების განსხვავებული კონფიგურაციებით. შედეგად შექმნილია ტაძართა გეგმები სხვადასხვა ფორმის (ერთკონქიანი, ტეტრაკონქული) ჯვრის გამოსახულებით. მათი კვლევიდან ნათლად ჩანს კომპოზიციის შემადგენელი ტრადიციული ელემენტების შეცვლილი პროპორციები და კომპოზიციური სტრუქტურები.

VIIს. დასაწყისში გაიზარდა რელიგიისადმი მოთხოვნილება. გამომდინარე მრევლის მომატებიდან, ჯვრის ტიპის ძეგლები,

კომპოზიციური წყობის თავისებურებათა გამო, აბსოლიტური ზომების თვალსაზრისით, ვეღარ აკმაყოფილებდნენ წამოყენებულ მოთხოვნებს. მათი არქიტექტურულ-კონსტრუქციული განვითარების პერსპექტივა შეზღუდული იყო. აქედან გამომდინარე დაიწყო ძიება, რამაც ხუროთმოძღვრები დააბრუნა ერთკონქიან სტრუქტურასთან, რომელიც იძლეოდა საშუალებას სივრცის თავისუფლად განვითარებას გეგმარებითი ჯვრის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა შემოქმედებითი ძიებანი, რომელსაც შეეძლო ეპასუხა იდეოლოგიის ახალი გაძლიერებული მოთხოვნებისათვის.

შემოქმედებითი ძიების ერთერთი ნიმუშია ***წრომის ტაძარი*** (VIIს). იგი ქართულ ხუროთმოძღვრებაში არსებული ერთკონქიანი ძეგლების ტრადიციების ახალ პირობებში განვითარების ლოგიკური გაგრძელებაა. აღნიშნული ძეგლის გეგმა (სურ.8.1) მიჩნეულია «ჩახაზული ჯვრის» ტიპად [32,34]. იგი ჩასმულია ძირითად სწორკუთხა აბრისში. გეგმაზე ცენტრალური კვადრატი განსაზღვრულია ოთხი თავისუფლად მდგარი გუმბათქვეშა საყრდენი სვეტით. ცენტრალურ კვადრატთან მიმდებარე ჯვრის მკლავების სიდიდეები ერთმანეთის ტოლია, მაგრამ დასავლეთ-აღმოსავლეთის მკლავების სიღრმე შემდეგ ხაზგასმულია საკურთხევლის აფსიდით და პატრონიკეთი. გეგმაში მოთავსებულია ასევე დამხმარე სათავსოები.

წრომის გეგმაში, განსხვავებით მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებისგან, ცვლილებები შეიტანა მისმა ახლებურმა კონსტრუქციულმა გადაწყვეტამაც – გუმბათის დაყრდნობამ თავისუფლად მდგარ ბურჯებზე თავისებურად გამოკვეთა ჯვარი გეგმაში.

წრომის ტაძრის შემდეგ, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება, ამ კომპოზიციურ-კონსტრუქციული სტრუქტურის საფუძველზე განვითარდა.

ამრიგად ადრეული პერიოდის ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძიების პროცესში უფრო ღრმად გამოიკვეთა მათ გეგმებში ჯვრის თემა, ნაგებობათა გეგმარებითი კომპოზიციის გარკვეული ცვლილებები აისახებოდა ასევე გეგმიური ჯვრის სტრუქტურაზე, მაგრამ იგი, სხვადასხვა ვარიანტით, რჩებოდა ძირითად და განმსაზღვრელ ბირთვად ნაგებობის გეგმარებაში.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების გარდამავალ პერიოდში (VIII-Xსს) კიდევ უფრო გაზრდილი რელიგიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ისევ დაიწყო ძიება. საჭირო გახდა კიდევ უფრო გაზრდილი სივრცის შექმნა, რამაც ხუროთმოძღვრები მიიყვანა ბაზილიკური სტრუქტურის გუმბათოვან ფორმებთან შერწყმამდე. ეს იყო ჯვრისებრ-გუმბათოვანი კომპოზიციის ახალი აღორძინების დასაწყისი, როდესაც შეიქმნა ***გურჯაანის*** და ***ვაჩნაძიაანის ყველაწმინდის*** ტაძრები (VIII-IXსს). ამავე დროს საინტერესოა, რომ ვაჩნაძიაანის ტაძარში ვხედავთ ტრიკონქის ფორმის სათავსებს. მკვლევართა მითითებით ეს კომპოზიცია პირველად ქართულ ხუროთმოძღვრებაში ამ ტაძარშია გამოყენებული.

მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა ცენტრალურ-გუმბათოვანი ***კუმურდოს ტაძარი*** (Xს). მიჩნეულია, რომ გეგმის თვალსაზრიისთ ის ტიპიური გარდამავალი ძეგლია. მისი გეგმის (სურ.8.2) გარე მოხაზულობა (მინაშენების გარეშე) «თავისუფალი ჯვრის» ფორმაა გრძელი დასავლეთის მკლავით. თუმცა ტაძრის შიდა სტრუქტურა საკმაოდ განსხვავებული ხასიათისაა. გუმბათქვეშა ცენტრალურ ნაწილს ქმნის წესიერი ექვსკუთხედი და მასთან დაკავშირებული ხუთი აფსიდიანი სივრცე. ეს არის ჯვრული ფორმის ტაძრის განსაკუთრებული გეგმა, სადაც გუმბათქვეშა კვადრატს ცვლის წესიერი ექვსკუთხედი. გეგმის შიდა სტრუქტურა წარმოქმნის მრავალი აფსიდით ჯვარს, რაც ჩვენი აზრით გეგმის დეკორატიული ძიების შედეგია.

ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ***ახალი იშხანის*** (VII-IX-XI სს) და განსაკუთრებით ***ოშკის*** მონუმენტურმა საეპისკოპოსო ტაძარმა (X ს).

ოშკის გეგმარებითი სტრუქტურა ტრადიციული ჯვრისებრი კომპოზიციაა (სურ.8.3). იგი წარმოადგენს «თავისუფალი ჯვარს» საკმაოდ გრძელი დასავლეთის მკლავით (ისევე როგორც დეკორატიულ ხელოვნებაში არსებულ ბევრ ჯვარს გააჩნიათ გრძელი ქვედა მკლავი). აქ გეგმარებითი ჯვარი ტრიკონქია. მისი ჯვრული ფორმა ტრადიციულად ვითარდება გუმბათქვეშა კვადრატის გარშემო. გეგმარებითი სტრუქტურა განისაზღვრება წრომში ჩამოყალიბებული სტრუქტურით – ოთხი თავისუფლად მდგომი სვეტით. ჯვრის მკლავების აფსიდების ორივე მხარეს განლაგებულია დამხმარე სათავსოები. ოშკის გეგმარებაში ტრადიციულია ჯვრის ფორმა, სადაც ერთმანეთთანაა ორგანულად შერწყმული მხატვრულ-კონსტრუქციული ელემენტები.

ტრიკონქის ტიპის ძეგლებით გამოირჩევა ტაო-კლარჯეთი. ესენია: ***ზეგანი, ისი, ბაგჩალო კიშლა, დორთ კილისა, ორთული.*** ისინი თარიღდებიან VIII–X საუკუნეებით. მათ გეგმებში, ისევე როგორც ოშკში წაგრძელებულია დასავლეთის მკლავი. ჯვრის ფორმა ცენტრალური კვადრატის გარშემო იქმნება და დასავლეთის მკლავის გარდა ყველა ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდება. აღნიშნული ნაგებობის გეგმათა ჯვრული კომპოზიცია ზოგჯერ გარე მოხაზულობითაც ჯვარს გამოსახავს (ბაგჩალო კიშლა, დორთ კილისა, ორთული) [34.106].

X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII-XIVსს. მიჯნამდე განვითარებული შუა საუკუნეების მეორე აყვავების ხანაა. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის სამ რეგიონში იქმნება სამი მთავარი კათედრალი: იმერეთში ბაგრატის ტაძარი, კახეთში ალავერდი და ქართლში სვეტიცხოველი. სამივე კათედრალში ჯვარ-გუმბათოვანი თემა

დამუშავებულია თავისებურად, რაზედაც მათი გეგმარებითი ჯვრის ფორმებიც მეტყველებს.

ბაგრატის ტაძრის (XI ს) გეგმა (სურ.9.1) «თავისუფალი ჯვრის» განვითარებული ფორმაა. გეგმის შიდა მოხაზულობა ტრიკონქია. იგი ვითარდებოდა ცენტრალური კვადრატის გარშემო ოთხივე მხარეს მიმართული ჯვრის მკლავებით. გეგმარებით ჯვარს გარედან სწორკუთხა მკლავები აქვს, სადაც იკვეთება დასავლეთ-აღმოსავლეთის მეტად განიერი და გრძელი მკლავები, რომელთა სიგანე განპირობებულია მათ გასწვრივ დამატებითი სათავსების არსებობით. გეგმის სტრუქტურას აქაც განსაზღვრავს ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯი და მათთან მიმდებარე ტრიკონქის მკლავები.

ბაგრატის ტაძარი ისტორიულად და გენეტიკურად უკავშირდება ოშკის ტაძარს. მათ გეგმებს გააჩნიათ მსგავსი სტრუქტურული ელემენტები, მაგრამ ბაგრატის ტაძრის გეგმა რამდენადმე განსხვავებულია, რაც გამოიხატება შემადგენელი ელემენტებით, მათი პროპორციებით, სიდიდით და სხვა.

ჯვრული კომპოზიცია ორგანულადაა გადაწყვეტილი ***ალავერდის ტაძრის*** (XIს) გეგმაში (სურ.9.2). მთელი კომპოზიცია მართკუთხედში «ჩახაზული ჯვარია», რომელიც ვითარდება ცენტრალური კვადრატის გარშემო. გეგმა ტრიკონქია, სადაც ხაზგასმულია დასავლეთ-აღმოსავლეთის მკლავი. ტაძრის კონსტრუქციულ სისტემაში ისევ გამოიყოფა ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯი. მის გეგმაში ვხვდებით სიახლეს, რაც განასხვავებს წინა ძეგლებისაგან. ის გამომდინარეობს კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი პროპორციებიდან. გარდა ამისა ტაძრის გეგმა, დასახული ტენდენციებიდან გამომდინარე, უნდა ყოფილიყო განთავსებული უკვე მართკუთხა აბრისში, მაგრამ ამ შემთხვევაში ტრიკონქის ჩრდილო და სამხრეთის მკლავების წრიული აფსიდები ვერ თავსდებოდნენ დასახულ აბრისში, რის გამოც ხუროთმოძღვარმა, ქართულ ხუროთმოძღვრებაში გადადგა

უპრეცედენტო ნაბიჯი – აბსიდების წრიულ რკალები შეკვეცა და ამით შეინარჩუნა ტრიკონქული ჯვრული გეგმა.

ალავერდის და ბაგრატის ტაძართა ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები – ოთხი თავისუფალი გუმბათქვეშა ბურჯი და გეგმაში ტრიკონქის არსებობა მათ გარკვეულ სიახლოვეს განაპირობებს. მათ გააჩნიათ ასევე განსხვავებებიც, რაც გეგმარებით სტრუქტურაში ნათლად ჩანს.

სვეტიცხოველი (XIს) ეს უდიდესი საკათალიკოსო ტაძარი, განეკუთვნება უკვე ერთკონქიან ტიპს. მისი ჯვრული გეგმა მართკუთხა აბრისშია განთავსებული და ტრადიციულად ცენტრალურ კვადრატზეა აგებული (სურ.9.3) მის გეგმაშიც დომინირებს დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძის სიდიდე. სვეტიცხოვლის გეგმარებითი ჯვარი საწყისი პერიოდის ერთკონქიანი ჯვრული გეგმების ტრადიციების განვითარებული ფორმაა.

სამივე კათედრალს გეგმა ერთმანეთისგან განსხვავებული კომპოზიციებია, მაგრამ მათ საფუძვლად დაედო ტრადიციული ჯვარ-გუმბათოვანი თემა, რომელიც ყველა ძეგლში დამუშავებულია თავისებურად. მიჩნეულია, რომ თითოეულის გეგმარებით კომპოზიციას განვითარების საერთო ტენდენციები აქვთ, რაც დაფუძნებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ კანონზომიერებებზე.

ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების შემდგომ განვითარებაში შეინიშნება კომპოზიციურ-კონსტრუქციული ცვლილებები, რომელბიც უპირველესად აისახა გეგმებზე. ამ ცვლილებებით გუმბათქვეშა ოთხი ბურჯის ნაცვლად რჩება მხოლოდ თავისუფლად მდგარი ორი, დასავლეთის სვეტები. აღმოსავლეთის სვეტები კი შეუთავსდა საკურთხევლის კედლებს და მასზე გადავიდა ნაწილი გუმბათის დატვირთვისა. ამ ხერხმა გარკვეულად გაამარტივა და შეკრა ტაძრის კონსტრუქცია. ამასთან ერთად მკაფიოდ გამოჩნდა წინამორბედ ნაგებობათა ზოგიერთი კომპოზიციურ-კონსტრუქციული გადაწყვეტების გამოყენება. ამის

თვალსაჩინო მაგალითია ***სამთავროს ტაძარი (XIს).*** ამ მხრივ საინტერესოა ***სამთავისის ტაძარიც*** (XIს). მის გეგმაში (სურ.10.1), მიუხედავად იმისა, რომ გუმბათქვეშა სვეტები გვერდით სათავსოებში გასასვლელების დონეზე, ისევ ცალკეა გამოყოფილი, შეინიშნება გეგმის გამარტივება და დამოკლება. მასში აღმოსავლეთის სვეტები მიახლოებულია საკურთხევლის აფსიდის კედლებთან. ტაძრის ცენტრიდან ოთხივე მხარეს ვითარდება გეგმიური ჯვრის მკლავები. გეგმა მოთავსებულია მართკუთხედში, შესაბამისად სახეზეა «ჩახაზული ჯვარი». დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძები ისევ ხაზგასმულია სიგრძით, მაგრამ მაინც შეინიშნება გეგმის დამოკლება, რომელიც შემდგომში სამთავისის ტიპის ძეგლებში უფრო შესამჩნევი ხდება.

გეგმაში ისევ «ჩახაზული ჯვარია» სამთავრო-სამთავისის ტიპის ტაძრებშიც: ***იკორთა*** (XII ს), ***ბეთანია*** (XII-XIII სს) (სურ.10.2,3), ***ქვათახევი*** (XII-XIIIსს), (სურ.11.1). მათ გეგმარებაშიც შეინიშნება გარკვეული თანმიმდევრული ცვლილებები, თუმცა აღნიშნულ ტაძრებში ძირითადად მეორდება სამთავისის კომპოზიციურ–კონსტრუქციული სტრუქტურა. ორი დასავლეთის ბურჯი და საკურთხევლის კედლების ბოლოები განსაზღვრავს გეგმაზე ცენტრალურ კვადრატს. ჩახაზული ჯვრის მკლავების სიგრძეები თითქმის უტოლდება ერთმანეთს და გეგმიური აბრისიც თანდათან კვადრატს უახლოვდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფიტარეთის ტაძრის (XIII ს) გეგმა (სურ.11.2).

ამრიგად სამთავრო-სამთავისის ტიპის ნაგებობათა გეგმის საფუძველია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე აქცენტირებული ერთკონქიანი ჯვრისებრი კომპოზიცია, რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ მონუმენტური არქიტექტურის საწყისებში (ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია, მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია, შიო-მღვიმე და სხვა).. იგი შემდეგ განვითარდა წრომში, იშხანში, სვეტიცხოველში. სამთავისამდე ეს კომპოზიცია ყოველმხრივ იყო განვითარებული და ჩამოყალიბებული, მაგრამ ამავე დროს ხდება ნაგებობის ზოგიერთი

სტრუქტურული ელემენტის ამოღება და გეგმის კომპოზიციის გამარტივება.

განვითარების ამ ეტაპზე შესაბამისად იცვლება გეგმარებითი ჯვრის ფორმა. საწყის ეტაპზე ჯვარი თავისუფალია და იქმნება მისი კომპოზიციის ნაირსახეობები. ამავდროულად პარალელურად ჯვარი ისაზღვრება სწორკუთხა აბრისით და ხდება გეგმაში ჩახაზული. გეგმურ ჯვარში დასავლეთ–აღმოსავლეთის და ჩრდილო–სამხრეთის ღერძების ფარდობა მცირედ განსხვავდება. ეს განსხვავება ძლიერ იკვეთება ტაო-კლარჯეთის ძეგლებში, სადაც დასავლეთის მკლავი გაცილებით გრძელია დანარჩენებზე.

გვიანი ფეოდალური ხანის ქრსიტიანული ხუროთმოძღვრების (XIV-XVIIIსს) ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლებიდან გამოვყობთ ***გერგეტის სამებას*** (XIVს), ***გრემის მთავარანგელოზს*** (XVIს) (სურ.11.3), ***ახალ შუამთას*** (XVIს), ***ანანურის დიდ ეკლესიას*** (XVIIს) და ***ბარაკონს*** (XVIIIს), რომელთა გეგმარებები მსგავსი სტრუქტურისაა. აქ გუმბათის საყრდენად გამოყენებულია ისევ დასავლეთის ორი თავისუფლად მდგომი ბურჯი და საკურთხევლის კედელთა დაბოლოებები. თითოეული მათგანის გეგმა მართკუთხა აბრისშია «ჩახაზული ჯვრით». მისი მკლავები განვითარებულია გუმბათქვეშა კვადრატიდან, ხაზგასმულია ჯვრის დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძის სიდიდე.

ამრიგად წარმოვადგინეთ ჯვრის თემა ქართულ ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძართა გეგმარებით კომპოზიციაში. ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეების ქრსიტიანული პერიოდის (IVს-დან VIIIსს შუა წლებში) გუმბათოვანი ეკლესიების განხილვამ გვიჩვენა, რომ ყველა მათგანში გეგმარების საფუძველი იყო ჯვარი სხადასხვა ფორმით. აქ ჯვრის გამოსახულება ხშირად მარტივია, არ არის გადატვირთული დამატებითი ელემენტებით. VII-VIII-X საუკუნეებში ძიების პროცესშია ქართული ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურა. იგი ზოგჯერ მიმართავს ტაძართა ჯვრული გეგმების დეკორატიულობას. გეგმები იტვირთება

დამატებითი სათავსოებით. ჯვრის ფორმა რთულდება, მის გამოსახვაში გავლენას ახდენს ტაძრის კონსტრუქციაც. მიუხედავად იმისა, რომ გეგმებში შეინიშნება შიდა და გარე მოხაზულობათა განსხვავებები, ზოგადად შენარჩუნებულია ნაგებობის შიგა დანაწევრება გარედანაც.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა ტაძართა გეგმარებით სტრუქტურას, რომელიც შესაბამისად იცვლებოდა. განვითარებულ ოთხბურჯიან კონსტრუქციას ენაცვლება ორი თავისუფალი ბურჯიანი ნაგებობები. უზარმაზარ კათედრალებს ცვლის ფეოდალთა საგვარეულო ეკელსიები. ეს აისახება მათ გეგმებშიც, მაგრამ ჯვრის თემა ყოველთვის უცვლელად რჩება მათ გეგმარებაში. როგორც ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგიური სიმბოლო.

2.2.4. ჯვრის თემა ქართული ხუროთმოძღვრების სივრცით კომპოზიციაში

ქართული საკულტო ნაგებობებში უძველესი დროიდანვე ყალიბდება ტაძართა დამახასიათებელი სივრცით-მოცულობითი ფორმები. ეს პროცესი განსაკუთრებით იგრძნობა ქრისტიანულ საკულტო ძეგლებში.

საქართველო თავისი ძველი ხუროთმოძღვრებით ერთერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია აღმოსავლეთი ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნებაში. იგი გამოირჩევა თავისი მაღალმხატვრულ დონეზე გამოკვეთილი ქრისტიანული ეპოქის ტაძართა ზეაზიდული და დახვეწილი ჯვარ-გუმბათოვანი სტრუქტურით.

ჯვრის თემა მთელი სიცხადით აისახა ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლების გეგმარებით კომპოზიციაში. მისგან ამოიზრდებოდა აგრეთვე ნაგებობის სივრცით-მოცულობითი ჯვრული კომპოზიცია. იგი ორგანულ კავშირში იყო ნაგებობის მთელ სტრუქტურასთან. გეგმის «დაბადების» შემდეგ როგორც დ. ბარბარო აღნიშნავს, ხდება შენობის «ზრდა» მისი

ვერტიკალური მოცულობების სახით. იგი უნდა შეესაბამებოდეს გეგმას, რადგან რაც იბადება და იზრდება წარმოადგენს ერთსა და იმავე არსს. მოცულობითი სტრუქტურის ყველა ძირითადი ფორმა გამომდინარეობს გეგმიდან. შესაბამისად მასათა ვერტიკალური კომპოზიცია ქმნის აგრეთვე დამახასიათებელ ეროვნულ მოცულობით სტრუქტურებს.

ქართული ქრისტიანული ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლების გეგმები, როგორც ითქვა, არის «თავისუფალი ჯვრის» და «ჩახაზული ჯვრის» ტიპის. ეს განსხვავებული გეგმარებითი ფორმები შესაბამისად აისახებოდა ნაგებობათა სივრცით-მოცულობით კომპოზიციაში.

საწყის პერიოდში (IV-VIსს), როდესაც ჯერ კიდევ ძიების პროცესშია ქართული ხუროთმოძღვრება, ძეგლების შიდა სივრცეში და მოცულობებში თანდათან იზრდება გამომსახველობითი როლი ქრისტიანობის სიმბოლო ჯვრისა. ერთერთ პირველ ***ზეგანის წმ. მარინეს ეკლესიაში*** (Vს), შიდა ჯვრული სივრცე შექმნილია გეგმაში არსებული ცენტრალური კვადრატული სივრცით და მასთან დაკავშირებული ოთხი მოცულობითი მკლავით (გუმბათი ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია) ჯვრული გარე მოცულობა იქმნება მკლავების პრიზმული მასების ურთიერთპერპენდიკულარული განლაგებით (სურ.12.1) ჯვრის მკლავები ერთნავიანი მოცულობებია, რომელთაგან ერთი რამდენადმე მაღალია მეორეზე. ეს ნაგებობა «თავისუფალი ჯვრის» ტიპია, რადგან გარე მასებშიც ჩანს ჯვრის მახასიათებელი ოთხი მკლავი [35.2].

მსგავსი სტრუქტრული ელემენტებით არის შექმნილი ***მცხეთის ჯვრის*** მცირე ეკლესია (VIს). აღნიშნული ძეგლის რეკონსტრუქციის მიხედვით [24.63] ჩანს, რომ მოცულობითი ჯვრის მკლავები განლაგებული დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე არის უფრო განვითარებული, ხოლო მეორე, განსხავებული პროპორციების მქონე, შედარებით მოკლეა. ორივე მკლავი ურთიერთმართობული განლაგებით წარმოქმნის ეკლესიის გარე მოცულობათა ჯვრულ ფორმას (სურ.12.2).

ნაგებობის შიდა ჯვრულ სივრცეს განსაზღვრავს ცენტრალური კვადრატული სივრცე, მასთან დაკავშირებული ოთხი მკლავით, რომლებიც დაგვირგვინებულია თაღოვანი გუმბათით.

აღნიშნული ძეგლის სივრცით მოცულობას პარალელი გააჩნია ***თხოთის მთის წმ. ნინოს*** ეკლესიაში (VII-VIIIსს), სადაც ძეგლის მასები, მოცულობით ჯვრის იგივე სტრუქტურული გადაწყვეტაა. კერძოდ, აქაც ურთიერთ გადაკვეთილია ორი ერთნავიანი მოცულობა (განსხვავებული სიგრძის და ტოლი სიმაღლის). მათგან ცენტრალური ნავი უფრო განვითარებულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ეკელსიის სივრცითი ჯვრის მკლავების სიდიდეები მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან და იგი მიწის დონიდანვე «თავისუფალ ჯვარს» გამოსახავს [36.158].

ნაგებობათა გეგმარებითი ჯვრული კომპოზიცია, ეპოქათა ცვლილებებთან ერთად განიცდიდა ცვლილებებს, რაც განპირობებული იყო ხუროთმოძღვრების შესაბამისი განვითარებით. მასთან ერთად იცვლებოდა ძეგლების სივრცით-მოცულობითი კომპოზიციაც. იქმნება ეკლესიები, სადაც ნათლად გამოსახული გუმბათი აუცილებელი ხუროთმოძღვრული ელემენტი ხდება ნაგებობის სივრცითი ჯვრული ფორმისა, რასაც მოწმობს ამ პერიოდში შექმნილი ***ერელაანთ საყდარი*** (V-VIსს), ***იდლეთი*** (VIს), ***შიომღვიმე*** (VIს*),* ***იყალთოს მცირე ეკლესია*** (VIს).

ერელაანთ საყდრის გეგმა «თავისუფალი ჯვარია». იგი განვითარებულია ცენტრალური გუმბათქვეშა კვადრატული სივრციდან და მიწის დონიდანვე კედელთა მასებით იქმნება წახნაგოვანი მკლავები მოცულობითი ჯვრისა, როგორც ტაძრის შიგნით, ასევე გარე სივრცეში. მათში გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთ მკლავის სიგრძე. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე კი აღმართულია გუმბათი.

საწყისი პერიოდის ერთკონქიანი «თავისუფალი ჯვრის» ტიპის ***იდლეთის ეკლესია*** (VIს) სივრცეში თავისი წახნაგოვანი მასებით მიწის

დონიდანვე ქმნის ჯვარს (სურ.12.3). ჯვრის დასავლეთ-აღმოსავლეთი მკლავები, ისე როგორც გეგმაზე, შედარებით გრძელია, რაც ასახულია ტაძრის შიდა და გარე მოცულობებშიც. აღნიშნული ძეგლის სივრცითი ჯვრისათვის დამახასიათებელია მასების მაორგანიზებელი გუმბათის უკვე სრულად ნათლად გამოკვეთა მოცულობაში.

შემდგომში, როგორც გეგმების განვითარება გვიჩვენებს, ჯვარი თანდათან მკვეთრად ხაზგასმული ხდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით, რაც შესაბამისად აისახება ჯვრულ მასებშიც. ამის მაგალითს წარმოადგენს ***შიომღვიმის გუმბათიანი ეკლესია*** (VIს). იგი გეგმით «თავისუფალი ჯვარია» და მიწის დონიდანვე ისახება მოცულობითი ჯვრის მასები., დაგვირგვინებული უკვე მომწიფებული პროპორციების გუმბათით.

საწყისი პერიოდის ძეგლები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განსხვავდება ერთმანეთისაგან გეგმარებითი ჯვრული კომპოზიციის სტრუქტურით. მაგალითად, ***იყალთოს მცირე ეკლესიის*** (VIს) გეგმა მართკუთხედშია ჩაწერილი. მისი ცენტრალური კვადრატული სივრციდან წარმოიქმნება შიდა ჯვრული მოცულობა, რომელიც გამოკვეთილია კედელთა მასებით, ისე როგორც წინა განხილულ ძეგლებში. საინტერესოა ამ ძეგლის გარე ფორმა. მკვლევართა აზრით იგი უნდა ყოფილიყო ფრონტონებიანი ოთხი მკლავით დაგვირგვინებული გუმბათით [24-62], მაგრამ ძველი გადაკეთების შედეგად მისი პირვანდელი გარე ფორმა დაკარგულია.

ამრიგად V-VI სს-ში ვითარდება ტაძართა ცენტრალურ–გუმბათოვანი ფორმები, რომლებიც ხასიათდებიან ერთკონქიანი ჯვრული გეგმით და მიწის დონიდანვე გამოკვეთილი სივრცითი ჯვრის მკლავების მასებით. ისინი, როგორც გეგმაში, ასევე სივრცეში გამოსახავენ «თავისუფალი ჯვარს». გ. ჩუბინაშვილი მიუთითებდა, რომ გუმბათის თემა საქართველოში მუშავდებოდა უკვე IV-V საუკუნეებში, რასაც ადასტურებს ცალკეული ნაშთები და

ფრაგმენტები. VIს-ის მეორე ნახევრიდან კი ქართული ხუროთმოძღვრების მთავარ თემად წარმოსდგება ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძარი, რომელმაც განვლო განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა და შექმნა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები.

ჯვარ–გუმბათიანი ეკლესიების სივრცითი მოცულობები იქმნებოდა ცენტრალურ კვადრატულ სივრცესთან ორგანულ ერთიანობაში მყოფი სხვადასხვა ფორმის მასებით (მკლავებით). არსებული «თავისუფალი და ჩახაზული» ჯვრის ერთკონქიანი ტიპების ძეგლების პარალელურად მოსამზადებელ პერიოდშივე ჩაისახა ტერტრაკონქის ტიპის ნაგებობები, რომელთა შიდა და გარე მოცულობები დასაწყისში ცილინდრულ ზედაპირებს წარმოადგენენ გუმბათით ცენტრში, თუმცა გვხვდება ასევე წახნაგოვანი გარე მოცულობებითაც, მაგრამ ცენტრალური კვადრატული სივრცის მიმართ ჯვრული კომპოზიცია უცვლელია.

ტეტრაკონქების ჯვრული სივრცითი მოდელი სტრუქტურულად განსხვავებულია წინა ძეგლების ჯვრული მასებისაგან, მაგრამ ისინიც ვითარდებიან ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების წამყვანი იდეით. ტაძართა გეგემების რთული კომპოზიციებიდან წარმოიქმნება ტეტრაკონქის მოცულობითი ჯვრის სტრუქტურა, რომელიც თავის ასახვას პოულობს ნაგებობის შიდა და გარე მასებში.

ტეტრაკონქების სივრცითი-მოცულობითი სტრუქტურის ყველაზე მარტივი მაგალითებია ***სუხბეჩი*** (V-VI სს) და ***ძველი გავაზი*** (Vს). ძველი გავაზის სივრცით ჯვრულ კომპოზიციას განსაზღვრავს ოთხი ჯვრულად განლაგებული ცილინდრული მასები დაგვირგვინებული გუმბათით (სურ.12.4).

ეს თემა შემდგომ განვითარებას პოვებს ნინოწმინდისა და მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებში. ნაგებობის სივრცითი მოცულობის ფორმირება ისევ გეგმარებითი ჯვრის საფუძველზე ხდება.

ნინოწმინდის ტაძრის (VIს) გეგმარებითი-მოცულობითი კომპოზიცია, როგორც შიდა სივრცეში, ასევე გარე მოცულობებში თვისობრივად განვითარებული ტეტრაკონქია ორჯერ გაზრდილი სიდიდეებით (სურ.12.5). თავისი გარეგანი სახით, გამომდინარე გეგმიდან, არის ოთხი ჯვრული ვერტიკალური ცილინდრული მოცულობა, რომელთა შორის არის კიდევ ოთხი, შედარებით დაბალი და მცირე ზომის კუთხის ოთახების ცილინდრული მოცულობები. ისინი ცენტრალური მოცულობის გარშემო განლაგებულნი, დასრულებულია გუმბათით. არის მოსაზრება, რომ ტაძარს ჰქონდა შეკრული თაღი და არა ნამდვილი გუმბათი, რომელიც დაყრდნობილი იყო აბსიდების კედლების რვა შვერილ საყრდენებზე [24.69]. ტაძრის გარე მოცულობითი ჯვარი მიიღებოდა დამატებითი კუთხის სათავსოების ზემოთ სახურავების დონეზე. მისი გარე ფორმები შესაბამისია შიდა სივრცის. ნინოწმინდის ტაძარში ჩამოყალიბებული ჯვრული სივრცით-მოცულობითი სტრუქტურა, საფუძველი გახდა მცხეთის ჯვრის შექმნის საქმეში.

VI ს. ბოლოს და VIIს. დასაწყისში დადგა ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების პირველი აყვავების პერიოდი ამ დროს შეიქმნა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი, ატენის სიონი, მარტვილი, შუამთის დიდი და მცირე ტაძრები.

მცხეთის ჯვრის (VI-VIIს) გარე მოცულობითი მასების კომპოზიცია ასახულობაა ტაძრის გეგმარებისა, სადაც ნათლად იკითხება შიდა ჯვრული მოცულობის განმსაზღვრელი მასები. ისინი ცენტრალური კვადრატული სივრცის ოთხივე მხარეს სიმეტრიულად არიან განლაგებულნი, სადაც გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთ მკლავის (იდეოლოგიური ღერძის) სიგრძე.

მცხეთის ჯვრის ტაძარში ბრწყინვალედ აისახა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი თვისებები. გარეგანი ფორმები ორგანულ ერთიანობაშია ჩამოყალიბებული შინაგან

სტრუქტურასთან. გამოკვეთილია შენობის არქიტექტურულ-კომპოზიციური მთლიანობა. მასების ურთიერთდამოკიდებულებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვით გუმბათსა და ჯვრულ მკლავებს, გამოკვეთილთ ბრტყელი ნიშებით. ისინი უფრო სრულყოფილად ისახებიან კუთხის ოთახებს ზემოთ სახურავის დონეზე, რომელებსაც აგვირგვინებს გუმბათი (სურ.13.1).

მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებშიც ატენი, მარტვილი და სხვა, იგივე ჯვრული სტრუქტურით განისაზღვრება ტაძართა შიდა და გარე მოცულობები, თუმცა შეინიშნება აბსოლუტური ზომების და პროპორციების გარკვეული ცვლილებები, მაგრამ მათი ჯვრული სტრუქტურები იგივე პრინციპის რჩება (სურ.13.2).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იგივე ტიპის ძეგლები მეზობელ სომხეთშიც ხასიათდებიან მოცულობათა მსგავსი გადაწყვეტით, მაგრამ მათ გააჩნიათ რამდენადმე განსხვავებული პროპორციები.

ტერტრაკონქის ტიპის შესანიშნავი ძეგლია ***ბანას ტაძარი*** (VIIს) არსებული მონაცემების საფუძველზე მიჩნეულია, რომ ტაძრის გარე მოცულობა შექმნილია საერთო ცენტრალური ღერძის მქონე, განსხვავებული დიამეტრის და სიმაღლის ცილინდრების კომპოზიციებით. იგი გეგმით «ჩახაზული ჯვრის» ტიპია. მისი შიდა ჯვრული მოცულობა მიწის დონიდანვე ამოზრდილი ტეტრაკონქია ტოლი მკლავებით, რომელთაც აერთიანებს გუმბათი.

ტეტრაკონქული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების ჯვრული მოცულობის შიდა და გარე სტრუქტურა განპირობებული იყო აგრეთვე ნაგებობის მყარი კონსტრუქციით. მისი სივრცითი მოცულობის მაორგანიზებელია ისე როგორც ყველა ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძარში გეგმა და გეგმიური კომპოზიციის ცენტრალური გუმბათქვეშა კვადრატი ჯვრის მკლავებით.

შემდგომი განვითარების პროცესში, შიდა სივრცეების გაზრდის მოთხოვნით წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად

ხუროთმოძღვრები, როგორც აღნიშნული იყო, ისევ ჯვრის თემაზე დაყრდნობით მიმართავენ ერთკონქიან არქიტექტურულ-კონსტრუქციულ სტრუქტურას, სადაც გუმბათი უკვე დაეყრდნო გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში თავისუფლად მდგარ ოთხ ბურჯს.

პირველი ძეგლი, სადაც ეს ცვლილება მოხდა არის ***წრომის ტაძარი*** (VIIს). მის შიდა სივრცეს საფუძვლად დაედო ტრადიციული ჯვრისებრ-გუმბათოვანი კომპოზიცია, რომელსაც ორგანულად შეერწყა ახლებურად გადაწყვეტილი გუმბათქვეშა სივრცე ცალკე მდგომი ბურჯებით. ესაა მეტყველი სივრცე და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ორგანიზმი. ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯით გამოკვეთილია ტაძრის შიდა ჯვრული სივრცე.

ტაძრის გარეგანი ფორმები გადმოგვცემენ მის შინაგან სტრუქტურას, მათში შეინიშნება წინა პერიოდის ტაძართა ტრადიციის გაგრძელებაა, მაგრამ ახლებურად (სურ.13.3). ნაგებობის სივრცითი ჯვარი იკვეთება ურთიერთგადამკვეთი მკლავებით, რომელიც დაგვირგვინებულია გუმბათით. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობის მასები რამდენადმე დანაწევრებულია, აშკარად ჩანს მისწრაფება ერთიანი, მთლიანი, ჯვრული კომპოზიციის შექმნისაკენ.

ყველაზე მეტად წრომის ტაძარს ენათესავება ***სამშვილდის საეპისკოპო ტაძარი*** (VIIს), რომლებსაც არსებული განსხვავების მიუხედავად, გააჩნიათ ერთი დამახასიათებელი – შიდა ჯვრული სივრცის სტრუქტურული მსგავსება. სამშვილდეში რამდენადმე იცვლება გეგმარებითი მოცულობითი სტრუქტურა, მაგრამ არ იცვლება ტრადიციად ქცეული ჯვრის თემა ტაძართა სივრცით მოცულობებში.

განვითარებული შუა საუკუნეების (Xს II ნახ.–XIII-XIVსს მიჯნა) ხუროთმოძღვრების ჯვარ-გუმბათოვანი ძეგლებიდან გამოვყობთ ***ოშკის ტაძარს*** (Xს), მისი ჯვრისებრი მოხაზულობის ტრიკონქის გეგმიდან, მიწის დონიდანვე ისახება ტაძრის ჯვრული სივრცით–მოცულობითი გრანდიოზული კომპოზიცია. ოშკის ტაძრის ჯვარ–გუმბათოვანი შიდა

მოცულობა ოთხი თავისუფლად მდგარი ბურჯიდან ვითარდება და გადადის განვითარებულ და დახვეწილ გუმბათში. განსაკუთრებით ხაზგასმულია დასავლეთის მკლავის სიგრძე, რაც ტაძრის გარე ჯვრულ მოცულობაშიც აისახება. გარე მასებში შთამბეჭდავად, ჯვრის მკლავებს აგვირგვინებს გუმბათი (სურ.14.1).

ჯვრის თემა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა უზარმაზარ კათედრალებში: ბაგრატის ტაძარში, ალავერდში და სვეტიცხოველში.

ბაგრატის ტაძარი (XIს), როგორც ითქვა გენეტიკურ კავშირში იყო ოშკთან და შესაბამისად ტრიკონქია, გეგმარებითი კომპოზიიდან გამომდინარე, შესაბამისად წარმოიქმნა შიდა ჯვრული ტრიკონქული სივრცე, სადაც ის ტრადიციულად ცენტრალური კვადრატის თავისუფლად მდგარი სვეტების ირგვლივ ვითარდება. ტაძრის გარე მოცულობაში, შიდა ფორმათა წყობიდან გამომდინარე, ჩრდილო-სამხრეთის მკლავები საერთო კონტურს გარეთაა გამოტანილი, რაც უფრო ნათლად გამოავლენს მთელი ნგებობის ჯვრისებრ კომპოზიციას, ხაზგასმულს დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ალავერდის ტაძარი (XIს) აგრეთვე ტრიკონქია, მაგრამ განსხვავებით ოშკისა და ბაგრატის ტაძრებისგან, გამომდინარე ამ დროს უკვე დასახული ტენდეციებიდან, რომ მთელი ნაგებობა უნდა განთავსებულიყო ერთ სწორკუთხა აბრისში, გარე და შიდა მოცულობათა ტარდიციული ორგანული შესატყვისობა რამდენადმე დაირღვა კუთხის ოთახების სახურავებამდე. სამაგიეროდ მის ზემოთ ეს უკვე არის მონუმენტური ჯვრული მოცულობა დაგვირგვინებული, ქართულ ხუროთმოძღვრებაში ყველაზე მაღალი გუმბათით (სურ.14.2) ასევე შიდა სივრცეებში ტაძარი წარმოადგენს გრანდიოზულ ჯვრულ სისტემას დასრულებულს მძლავრი გუმბათით და ტრადიციული წაგრძელებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძით.

სვეტიცხოველი (XIს) გეგმარებითი–მოცულობითი კომპოზიციით ტრადიციული ჯვრისებრ-გუმბათოვანი ნაგებობაა, მაგრამ განსხვავებით

ოშკისა და ალავერდისგან, საქართველოს უდიდესი ერთკონქიანი საკათილოკოსო ტაძარია. მისი გარეგნობა საუკეთესო ნიმუშია ქართული ტაძრის აღნაგობისა.

ტაძრის გეგმიდან გამომდინარე ჯვრისებრი კომპოზიცია ჩასმულია მართკუთხა აბრისში. მის შიდა მასებს განსაზღვრავს და ანაწილებს გუმბათქვეშა კვადრატული სივრცე გუმბათით და ჯვრის მკლავებით. მთელი მოცულობითი სტრუქტურის დამახასიათებელია მკვეთრად წაგრძელებული დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძი, რომელიც აისახება ასევე ტაძრის გარე მასებშიც. ჯვრული სტრუქტურა, ნაგებობის გარე მოცულობაში ნათლად გამოვლენილი იქმნება ოთხი მკლავით, კუთხის სათავსოთი სახურავების ზემოთ, რომელიც დაგვირგვინებულია მძლავრი გუმბათით (სურ.14.3).

კათედრალებში მთელი სიდიადით ვლინდება ჯვრის თემის იდეოლოგიურად წამყვანი როლი. მათი მოცულობები თავისი წყობის ხასიათით, ტრადიციულად გამომდინარეობენ შიდა ფორმებიდან და გამოსახავენ საკულტო ნაგებობათა სივრცით–მოცულობით ჯვრულ სტრუქტურას.

ჯვრული გეგმარებით–მოცულობითი ფორმის წარმოჩენა გრძელდება აგრეთვე კათედრალების შემდგომ, განვითარებული შუა საუკუნეების (XI-ის მეორე ნახევრიდან XIII-XIV საუკუთა მიჯნა) ცენტრალურ გუმბათოვან ძეგლებში: ***სამთავრო*** (XIს), ***სამთავისი*** (XIს) (სურ.14.4), ***იკორთა*** (XIIს), ***ბეთანია*** (XII-XIIIსს), ***ქვათახევი*** (XII-XIIIსს), ***ფიტარეთი*** (XIIIს) და სხვა იგივე ტიპის ძეგლებში.

კათედრალების შემდეგ, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე ეს ძეგლები მოცულობით მცირდება, მაგრამ მათი ვერტიკალური ფორმები ზუსტად მისდევენ გეგმიური კომპოზიციის განვითარების ტედენციებს – უკვე ნაკლებ წაგრძელებულნი არიან აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ.

აღნიშნულ ძეგლებში მნიშვნელოვნად მარტივდება ნაგებობის კონსტრუქციული სისტემაც რაც გამოიხატა იმაში, რომ ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯისგან დარჩა ორი დასავლეთის ბურჯები, ხოლო აღმოსავლეთის ბურჯები შეუთავსდა საკურთხევლის კედელთა შვერილს. შიდა მოცულობის ჯვრული მასების განაწილება ისევ გუმბათქვეშა კვადრატული სივრცის მიმართ იქმნება. გარე მოცულობები ნაკარნახევია შიდა სივრციდან და ტაძრის კუთხის სათავსოთა ზემოთ ისახება მაღლა აწეული ჯვრის მკლავები, დაგვირგვინებული გუმბათით.

გვიანი შუა საუკუნეების (XIV-XVIIIსს) ხუროთმოძღვრების ცენტრალურ-გუმბათოვან ძეგლებში: ***გერგეტის სამება*** (XIVს), ***ახალი შუამთა*** (XVIს), ***გრემი*** (XVIს), ***ანანური*** (XVIIს), ***ბარაკონი*** (XVIIIს) და სხვა, განვითარება მიმდინარეობს ისევ ჯვარ-გუმბათოვანი იდეის საფუძველზე. ტრადიციულ ხუროთმოძღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით ხდებოდა, როგორც შიდა ასევე გარე მოცულობითი ჯვრისებრი კომპოზიცის, ეპოქისა და ადგილობრივი მოთხოვნილების შესაბამისი გადამუშავება.

როგორც ვნახეთ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებში გარე (სურ. 12,13,14) და შიგა (სურ.15.1,2,3) მოცულობები, მათი ჯვრულ გეგმებთან დამოკიდებულებაში, შესაბამისად ასახავენ სივრცეში ჯვარს სხვადასხვა სტრუქტურული ფორმებით («თავისუფალი ჯვარი», «ჩახაზული ჯვარი», ტერტრაკოქნი, ტრიკონქი). ეს ფორმები ნათლად უჩვენებდნენ თუ რამდენად ექვემდებარებოდა ნაგებობის კომპოზიციურ–კონსტრუქციული სტრუქტურის ელემენტები ჯვრის თემის განვითარებას, მის გამოსახვას ნაგებობის შიგა და გარე მასებში.

ამრიგად, ჯვრის თემა საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლების სივრცით-მოცულობით კომპოზიციის ფორმირების საქმეში იყო იდეოლოგიურად წამყვანი და ფუძემდებლური. მან შექმნა დამახასიათებელი სივრცით-მოცულობითი სტრუქტურები, სადაც მთელი სიცხადით გამოიკვეთა ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ასეთი დამახასიათებელი ნიშნებით ვითარდებოდა ქრისტიანული სამყაროს მეტიწილი ხალხების ხუროთმოძღვრება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ და მეზობელ სომხურ ხუროთმოძღვრებას შორის მსგავსი ტენდეციების განვითარება, რასაც განაპირობებდა პარალელური კეთილმეზობლური ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში. ორივე ხუროთმოძღვრების საფუძველში იდო აშკარად გამოვლენილი ჯვრის თემა, რაც მთელი სიცხადით აისახებოდა ძეგლთა გეგმარებით-მოცულობით სტრუქტურაში.

2.2.5 ჯვარი ქართული ხუროთმოძღვრების დეკორის ელემენტი

ქართულ ორნამენტს ისევე ღრმა ფესვები აქვს, როგორც თვით ქართულ ხელოვნებას. მან განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია ხუროთმოძღრებაში, სადაც იგი გვევლინება, როგორც ორგანული ნაწილი კომპოზიციის მხატვრული გადაწყვეტისა.

ცნობილია, რომ ორნამენტი უძველეს დროში წარმოიშვა და წამყვანი ადგილი დაიკავა, როგორც სახვით, ასევე გამოყენებით ხელოვნებაში.

საკულტო ძეგლებზე ჯვარი, როგორც ქრისტიანობის სიმბოლო ორნამენტთან ერთად ან მის გარეშე იყო ქრისტიანული ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანი. ჯვრის უდიდესი მისია იყო მლოცველების, ქრისტეს თაყვანისმცემელთა მასების წარმოდგენაში გამოეწვია განცდა ქრისტეს ჯვარცმისა, მის მიერ განვლილი სიცოცხლის გზისა, მისი ტანჯვის აღდგომის და მარადიულობისა. ამ სიმბოლოს გამოსახულება

ტაძრის კედლებზე მიზნად ისახავდა მორწმუნეებში რელიგიური თვითშეგნების, რწმენის განმტკიცებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერისათვის.

ჯვრის გამოსახვის ტრადიციას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საერო ხუროთმოძღვრებაში (ადამიანის საცხოვრებელზე და სხვაგან), რაც ჯერ კიდევ წინაქრისტიანული პერიოდიდან მოდის და რომელიც ჩვენამდე გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი [4.6]. საცხოვრებლის დედაბოძის დეკორში არსებულ ასტრალურ სიმბოლოთა შორის ჯვარი სხვადასხვა ფორმებით აისახებოდა.

ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ფასადების მხატვრულ გადაწყვეტაში ჯვარი დეკორატიული კომპოზიციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა. ყოველ ძეგლზე დასმულია ჯვარი, რომლითაც ხუროთმოძღვარი თითქოს «პირჯვარს გადასწერდა» ძეგლს, აზიარებდა ქრისტიანობას. ის გამოისახებოდა როგორც დამოუკიდებლად, ასევე გეომეტრიულ ფორმებთან ან მცენარეულ, ცხოველურ და ადამიანთა ფიგურებთან ერთად.

ჯვრის რელიეფური გამოსახულებები ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (IV-VIIსს-ის შუა წლებამდე) გვხვდება სხვადასხვა ეკლესიბზე. ეს არის მოსამზადებელი პერიოდი, სადაც ვლინდება სხვადასხვა კულტურების ზეგავლენა ორნამენტულ მოტივზე. არის მოსაზრებები, რომ ბაზილიკების სადა ფასადები მორთული იყო ქვის რელიეფებით, რათა ტაძარში შემსვლელს ყურადღება ტაძრის ფორმების მაგიერ მათზე გადაეტანა. [24.207].

აღნიშნული პერიოდის შემორჩენილ ძეგლებს შორის თავისი მორთულობით გამოირჩევა ***ბოლნისის სიონი*** (Vს), რომლის დეკორის მოტივებს მიიჩნევენ ირანულ, სასანიდთა და ქრისტიანულ-სირიული ხელოვნების გავლენით შექმნილ ნიმუშებად [24.37]. ტაძრის მრავალფეროვან დეკორატიულ ელემენტებში გვხვდება ჯვრის სხვადასხვა ფორმები. განსაკუთრებით გამოიყოფა ტაძრის აღმოსავლეთ

ფასადზე მოთავსებული, წრეწირში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი (სურ. 16.1). ის მდებარეობს ტაძრის აღმშენებლისადმი მიძღვნილი წარწერის შუა ნაწილში. მედალიონში ჩასმულ ამ ჯვარს მიიჩნევენ, როგორც იმპერატორ კონსტანტინეს აღმოსავლეთში გამარჯვების ტიპიურ ჯვრად. უძველესი ცნობების მიხედვით ჯვრის ეს ფორმა სპეციალურად შეუკვეთეს ხუროთმოძღვარს ბოლნისისათვის. ამიტომ იგი «ბოლნური ჯვრის» სახელით არის ცნობილი. ასეთი ჯვრები ეკლესიის სხვადასხვა ადგილზეც არის ასახული.

ინტერიერში საკურთხევლის აფსიდის ჩრდილო პილასტრზე გამოსახულია ჯვარი–მედალიონი, რომლის ქვედა მკლავს აქვს საყრდენის მსგავსი გაგრძელება (სურ.16.,2,3,4). ჯვრის გრაფიკული ფორმა შედგება წრეწირის და შესაბამისი რკალების კომპოზიციით. აღნიშნული კომპოზიციის სატრუქტურა – წრეწირი და რკალი, ასოცირდება მთვარის (არასრული ფაზით) გამოსახულებასთან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინა ქრისტიანული პერიოდის ხელოვნების ნიმუშებში აღნიშნული კომპოზიცია არ გვხვდება.

ბოლნისის სიონში ჯვრის გამოსახულება არის ასევე მცენარეულ და ცხოველურ მოტივებთან ერთად. კერძოდ ბაპტისტერიუმის სვეტისთავზე ხარის თავის რელიეფზე, რქებს შუა მოთავსებულია ჯვარი (სურ.16.5,6). ასეთ გამოსახულებას მიიჩნევენ წარმართული რელიგიის გადმონაშთად. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ იგი უკვდავების და აღდგომის სიმბოლოა ადრეულ ქრისტიანობაში [24.42]. აღსანიშნავია, რომ ჯვრის სამი ზედა მკლავი ერთნაირია, მეოთხე ქვედა გაგანიერებული და შედარებით გრძელია. ტაძრის ერთერთ კედელზე გამოსახულია ოთხი ფოთლის კომპოზიციაში ჩასმული ჯვარი (სურ.16.7,8). ჯვრის ზოგიერთი სტრუქტურული ელემენტი (მკლავები) მსგავსია ხარის რქებს შუა არსებული ჯვრის მკლავების.

დამოუკიდებელ კომპოზიციას წარმოადგენს ტაძრის ერთ-ერთ სვეტისთავზე გამოსახული სამი ჯვარი (სურ.16.9,10). ისინი

მოთავსებულია სვეტისთავის სიბრტყეზე არსებულ დეკორატიულ თაღედში. ჯვრის ეს ფორმა ტაძრის რელიეფური ჯვრებისგან განსხვავებულია თავისი სტრუქტურით. ის ვიწრო და მაღალია, შედგება ტრაპეციული მკლავებისგან. აღნიშნული სამი ჯვრის კომპოზიციას მიიჩნევენ გოლგოთას ჯვარცმის სიმბოლურ გადმოცემად [24.43]. ბაპტისტერიუმის სვეტის თავზე არის იგივე ფიგურებით შედგენილი რელიეფური ჯვარი განსხვავებული ზომების და პროპორციების (სურ. 16.11). (მის ორივე მხარეს ფრინველია გამოსახული). ეს ჯვარი მსგავსია უძველეს ირანულ საბეჭდავებზე გამოსახული ჯვრისა (იხ. სურ. 1.32).

ამრიგად, ბოლნისის ტაძრის დეკორატიულ ჯვრებში თავისი კომპოზიციური სტრუქტურით შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ხასიათის ჯვრები: წრეში ჩასმული ერთნაირმკლავებიანი ე.წ. «ბოლნური ჯვარი»; ჯვარი ხარის რქებს შორის არსებული, ტრაპეციული მკლავებით; ჯვარი მცენარეულ ორნამენტთან ერთად და ე.წ. გოლგოთას ჯვრები. ესენი წარმოგვიდგება, როგორც წინაქრისტიანული ასევე ადრექრისტიანული პერიოდის ჯვრის ნიმუშების გავლენით შედგენილი რელიეფები, განსხვავებულია მათი კომპოზიციები, პროპორციები და ობიექტი, რომელზედაც მოათავსებულია გამოსახულება.

«ბოლნური ჯვრის» უახლოესი პარალელი ***აკვანების (V-VIსს)*** ეკლესიის კარის თავზე (ზღუდარის კოჭის მორთულობა) არსებული ჯვარია (სურ.16.12). მკვლევართა მოსაზრებით ასეთი ნიმუში ჯვრის გამოსახვისა ქართული ხელოვნების ისტორიაში არ მოიპოვება. რელიეფის შესრულება და ცალკეული მოტივები მას ბოლნისის სიონის დეკორატიულ რეპერტუართან აახლოვებს [39.37].

ბოლნისის სიონის ოთხი ფოთლის კომპოზიციაში ჩასმულ ჯვარს პარალელი აქვს შემდგომი პერიოდის ***აკაურთას*** (V-VIIსს) ეკლესიის კედელზე არსებულ ჯვართან (სურ.17.1,2).

ჯვრის დაკავშირება მცენარეულ ორნემენტთან არსებობდა ბოლნისის სიონის, აკაურთას, აკვანებას რელიეფებზე. ბოლნისის და

აკაურთას კომპოზიციებში ჯვრის გამოსახულება მოთავსებულია მცენარეთა ელემენტებით შემოსაზღვრულ არეზე. უშუალოდ მცენარის ჯვართან დაკავშირება კი ხდება აკვანების რელიეფზე. ეს მოტივი ცვლილებებით შემდგომშიც ვრცელდება.

იგივე ფორმის ჯვარია გამოკვეთილი ***თეთრიწყაროს (V-VII სს)*** ეკლესიის (შესასვლელის თავზე) ჯვრის ამაღლების კომპოზიციაში (სურ.17.3,4) იგი ამჟღავნებს მსგავსებას ბოლნისის სიონის, ასევე სტელებზე არსებული ანალოგიური გამოსახულებების მიმართ [39.62]. ეკლესიის ცალკეულ კაპიტელებზეც არსებობს ე.წ. «ბოლნური ჯვრები» (სურ17.5).

თეთრი წყაროს ჯვრის ამაღლების რელიეფზე გამოსახული ჯვარი მსგავსია «ბოლნური ჯვრის», მაგრამ მის გრაფიკულ აგებაში შეინიშნება მკლავების ფორმათა განსხვავებული ელემენტები. კერძოდ მათ რელიეფურ გამოსახულებას წარმოქმნის ქვაზე კვეთით მიღებული ზედაპირი.

ბოლნისის სიონთან შედარებით დეკორატიული მორთულობის სიმცირით ხასიათდება მრავალჯერ დაზიანებული ***ურბნისის ეკლესია (V-VI სს)*** დასავლეთის ფასადის შესასვლელის ტიმპანზე და იგივე ფასადის შუაში, მაღალი სარკმლის თავზე მდებარეობს დიდი ზომის სწორკუთხა მკლავებიანი ჯვარი (სურ.17.6,7). აღნიშნული ნაგებობის საფასადო სიბრტყეზე დიდი ჯვრის მდებარეობა განისაზღვრება სახურავის დასაწყისის დონითა და ფასადის სიბრტყის, ვერტიკალური სიმეტრიის ღერძის თანაკვეთით. ორივე (დიდი და მცირე) ჯვრების განლაგება ფასადზე გვერდით სარკმელებთან და შესასვლელთან ერთად მთლიან კომპოზიციას წარმოადგენს. ხუროთმოძღვრული და დეკორატიული ელემენტების ასეთი განლაგება ერთ-ერთი ხერხია ფასადების გაფორმებისა. იგი ქმნის გარკვეულ კანონზომიერებებს, რომელიც შემდგომში იხვეწება და მხატვრულ სახეს იღებს.

განხილულ ჯვრებთან შედარებით განსხვავებული გეომეტრიული სტრუქტურული ფორმით ხასიათდება ***ერელაანთ საყდრის (VIს)*** სამხრეთ ფასადის კეხთან მოთავსებული ამოკვეთილი ჯვარი (სურ. 17.8,9). ჯვრის ძირითადი ფორმა იქმნება ტოლფერდა (სამი) სამკუთხედებისგან. მეოთხე ქვედა მკლავი წარმოადგენს ღეროს, რომელსაც ქვემოთ ორივე მხარეს აქვს დახრილი ხაზები. ჯვრის ზედა ნაწილის სამკუთხედების კომპოზიცია ცნობილია წინა ქრისტიანული პერიოდის ხელოვნების ნიმუშებიდან. ქვედა ნაწილს აქვს წმინდა ნინოს ჯვრის ფორმა. მსგავსი კომპოზიცია არ გვხვდება აქ წარმოდგენილ არცერთ ძეგლზე.

განსხვავებული სტრუქტურისაა ***საბუეს წმ. შიოს (VIს)*** და ***ნათლისმცემლის (VI-VII სს)*** სამეკლესიანი ბაზილიკების ფასადებზე არსებული რელიეფური ჯვრები (სურ. 17.10,11). მათი გრაფიკული ფორმა მიუნიშნებს «ბოლნური ჯვრის» თავისებურ გავლენაზე. მაგრამ მისი ხაზოვანი სტრუქტურა განსხვავებულ კომპოზიციაშია გადაწყვეტილი. აღსანიშნავია, რომ ნათლისმცემლის ეკლესიის ჯვარში იკითხება აღმოსავლური სამკუთხედების ელემენტები.

აღნიშნული კომპოზიციის მსგავსია ***ოლთისის (VI-VIIსს)*** საკურთხევლის ფანჯრის თავსართის წრეში ჩასმული თანაბარმკლავიანი ჯვარი (სურ. 18.1,2), რომელიც პარალელს პოულობს მალტის ჯვართან (იხ. სურ.1.14).

«ბოლნური ჯვრის» სტრუქტურის თავისებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს ***ნინოწმინდის*** (VIს) ეკლესიის ნანგრევებზე შემორჩენილი და შემდეგ ფართოდ გავრცელებული ოთხი რკალის ჯვრული კომპოზიცია (სურ18.3,4,5). იგი მეტად ორიგინალური გადაწყვეტაა მკაფიოდ გამოხატული გეომეტრიულ ფორმათა სტრუქტურით. ეკლესიის იგივე სიბრტყეზე გამოსახულია ჯვრის პრინციპებზე დალაგებული წრეები (ორ-ორი კონცენტრული წრეები) მოთავსებული

საერთო დიდ წრეწირში, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ სამთავისის პატარა წრიული ჯვრების უშორეს წინამორბედად.

მცენარეული ელემენტებითაა მოტივირებული ჯვარი, გამოსახული ***მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიის*** (VIს) ერთერთ ნიშაში (სურ. 18.6,7). ჯვრის ფორმა განსხვავდება განხილული ჯვრებისგან. მისი მკლავების ბოლოებზე გამოსახულია წყვილი წრეწირები. ჯვრის ქვედა მკლავი დაკავშირებულია მცენარის ღეროსთან. მცენარის სტილიზებული ელემენტები ვითარდება ვერტიკალურად ქვემოთ და ზევით. როგორც მისი ფორმა გვიჩვენებს იგი სიახლეა აღნიშნული პერიოდის ქართულ ტაძართა დეკორატიულ მორთულობაში, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ საწყის ნიმუშად, შემდგომი მსგავსი სტრუქტურის ჯვრების.

ჯვრის დაკავშირება მცენარეულ ელემენტებთან ხუროთმოძღვრულ ლიტერატურაში ცნობილია «განედლებული ჯვრის» სახელით (როცა მცენარე დაკავშირებულია ჯვრის ქვედა მკლავთან).

«განედლებული ჯვარი» და მასთან დაკავშირებული ჯვრის ამაღლების კომპოზიცია მთელი თავისი სრულყოფილებით გამოსახულია ***მცხეთის ჯვრის ტაძარზე (VI-VIIსს).*** მის ფასადებზე არსებული დეკორატიულ-რელიგიური სიუჟეტების კომპოზიციებიდან ჯვარი გამოიყოფა თავისი მხატვრული გადაწყვეტით. ესაა სამ ლილვოვან წრეწირში ჩასმული «ბოლნური ჯვარი», რომელიც ანგელოზებს უკავიათ ხელით (სურ.18.8) ჯვრის ქვედა მკლავთან ორგანულადაა დაკავშირებული მცენარეული მოტივი. ჯვრის ამაღლების კომპოზიცია მცხეთის ჯვარში თავისი იდეით ემსგავსება თეთრიწყაროს ამაღლების რელიეფს და ყაჩაღანის ქვაჯვარას კომპოზიციას (იხ. სურ. 17.3 და 4.9), მაგრამ არსებობს განსხვავებებიც, როგორც გ. ჩუბინაშვილი მიუთითებს აღნიშნული რელიეფის კვეთის სიღრმე, მანერა და ჯვრის დაკავშირება მცენარეულ ორნამენტთან არის განმასხვავებელი ბოლნისის სიონის ჯვრისგან. კომპოზიცია, რომელიც შერჩეული იქნა შესასვლელისათვის, დაკავშირებული იყო უმთავრეს

სიწმინდესთან – ჯვარ-პატიოსნის სახელზე აშენებულ ტაძართან. ჯვრის ამაღლების კომპოზიცია ფართოდ არის გავრცელებული ძველ და ადრეულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. VI ს. დასასრულს მცხეთის ჯვრის აგების დროს ის იყო კარგად განვითარებული [24.112].

აღნიშნული კომპოზიციის ქვეშ, დამოუკიდებელ სიბრტყეზე გამოსახულია რელიეფური კომპოზიცია სამკუთხედებით (სურ.18.9), ყოველგვარი აქსესუარების გარეშე. ზედა სამი მკლავი უერთდება ღეროს, რომელიც დაკავშირებულია სამკუთხედებით შედგენილ სადგართან. მოცემული ჯვრის ფორმა სიახლეა, მაგრამ მასში შევიცნობთ ერელაანთ საყდრის ჯვრის თავისებურ ინტერპრეტაციას (იხ. სურ.17.9). გარდა ამისა ჯვრული კომპოზიცია მსგავსია ირანის ხელოვნების ძეგლებზე არსებული ნიმუშებია (იხ. სურ.1.25,26). აქვე ავღნიშნავთ, რომ პირველად მცხეთის ჯვარში გუმბათის ნახევარსფეროზე გამოსახული იყო დიდი რელიეფური ჯვარი, რომლის მკლავები ბოლოვდება დეკორატიული წრეებით. ასეთი კომპოზიცია მეორდება შემდგომ ტაძრებშიც.

მცხეთის ჯვრის ერთერთ ფილაზე გამოკვეთილია სიმეტრიულად განლაგებული ორი ჯვარი და წრეში ჩასმული კომპოზიცია (სურ. 18. 10,11). ჯვრები თითქოს გაწელილია ვერტიკალური ღერძის მიმართ. მათ აშკარად გამოხატული გეომეტრიული ფორმები გააჩნიათ. აღნიშნული ჯვარი თავისი სტრუქტურით (განსხვავებული პროპორციებით) წარმოადგენს დავით აღმაშენებლის მონეტაზე გამოსახული ჯვრის პარალელს (იხ. სურ.3.6,7).

განსხვავებული სტრუქტურისაა ***ზღუდერის (VI-VIIს.)*** ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახული ჯვარი (სურ.19.1,2). მისი მკლავების გარე მოხაზულობას ქმნის სხვადასხვა სიდიდის რკალები. ჯვრის ქვედა მკლავთან გამოსახულია მცენარეული ორნამენტი. მკვლევართა მოსაზრებით ზღუდერის ჯვარი წრომის ტაძრის ცნობილ კომპოზიციებთან ქმნის პარალელს [39.44].

დეკორატიული ჯვრების საინტერესო ნიმუშებია ***წრომის ტაძრის (VIIს)*** დაზიანებული შენობის მწირ მორთულობაში. ტაძრის ფასადებზე არის «ბოლნური ჯვრის» მსგავსი მცირე ზომის კომპოზიციები. სამხრეთ ფასადზე წრიული სარკმლის ზემოთ კეხთან და ცენტრალური სარკმლის ზემოთ მოთავსებულია «განედლებული ჯვრები» (სურ.19.3,4). დასავლეთის ფასადის შესასვლელის ტიმპანზე ამოჭრილია ფასადის ჯვრების მსგავსი ჯვარი მხოლოდ არა მცენარეულ მოტივთან ერთად, არამედ გოლგოთას ჯვარის მსგავსი – კვარცხლბეკიანი (სურ.19.5). ტაძრის ფასადებზე გამოსახული ჯვრები თავისი სტრუქტურულ-გრაფიკული ფორმების მოტივით მსგავსია, მაგრამ მათ შორის არსებულ განსხვავებებს ქმნის პროპორციები და სხვადასხვა დეკორატიული ელემენტის თუ მცენარეული მოტივის არსებობა. ეს ჯვრები მკლავების სტრუქტურით უახლოვდებიან საბუეს წმ. შიოს ეკლესიის ჯვრის რელიეფს (იხ. სურ.17.10).

განსხვავებული ხასიათისა განხილულ ჯვრებთან შედარებით ***სამწევრისის (VIIს)*** ეკლესიის მცირე ზომის დეკორატიული ჯვრები, რომლებიც მოთავსებულია სამხრეთ ფასადის შესასვლელის ტიმპანზე (სურ.19.6,7,8) და ღია მინაშენის შესასვლელის თავზე (სურ.19.9). ჯვრები მარტივია, სწორხაზობრივი. ორივე ჯვარი ხასიათდება გრაფიკული აგების მსგავსი ელემენტებით. მათი გასხვავება გამოიხატება მკლავების პროპორციებში, გამოყენებულ დეკორატიულ ელემენტში (ყვავილის გვირგვინი). რელიეფური ჯვარი გამოსახულია ასევე ეკლესიის შიგნით გუმბათზე (სურ.19.10). ასეთი ჯვრები ცნობილია მცხეთის ჯვარში, ატენში და სხვა. გუმბათზე ჯვრის რელიეფურ ფორმას შემდგომში ენაცვლება ფრესკები – ჯვრის ამაღლების კომპოზიციით.

ამრიგად ადრეული შუა საუკუნეების (IV-VIIსს-ის შუა წლები) საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლების ფასადების დეკორატიული გაფორმების ძირითადი ელემენტი (სხვა დეკორატიულ ელემენტებთან ერთად) იყო ჯვრის რელიეფური გამოსახულება. ისინი

განლაგდებოდნენ ფასადებზე და ნაგებობის ხუროთმოძღვრულ დეტალებზე (ბოლნისის სიონი, აკვანება და სხვა), ძირითადად კი შესასვლელის ტიმპანზე და სარკმლის თავზე. ხშირად ჯვარი გამოსახულია ფასადის სიმეტრიის ღერძზე კეხთან ახლოს.

აღნიშნულ პერიოდში წარმოქმნილი დეკორატიული ჯვრები ხასიათდება, როგორც მსგავსი ასევე განსხვავებული სტრუქტურით. დეკორატიული ელემენტების მცენარეული მოტივების გამოყენებით იქმნება მრავალსახოვანი ჯვრები. ეს ალბათ აიხსნება მხატვრული ფორმების ძიებათა პროცესით, რაც გრძელდება მომდევნო საუკუნეებშიც.

გარდამავალი ხანის (VIIს-ის მეორე ნახევრიდან X საუკუნის ნახევრამდე) ძეგლებიდან გამოვყობთ ***ზედაზენის ეკლესიის (VII-IXსს)*** აღმოსავლეთი ფასადის ერთერთ ჯვარს (სურ19.11,12). იგი მოათავსებულია ცენტრალური სარკმლის ზემოთ კვადრატულ არეზე. ჯვარი სწორმკლავაა, სხვადასხვა სიგანის მკლავებით. ქვედა მკლავით დაკავშირებულია მცენარეულ ელემენტთან და რკალური ფორმის სადგართან. ჰორიზონტალურ მკლავებს ზემოდან ეყრდნობა რკალური თავსართი.

განსხვავებული სტრუქტურის და ხასიათის ჯვრებია გამოსახული ***ხირსის სტეფაწმინდის*** გუმბათოვანი ეკლესიის (VI-IXსს) სამხრეთ ფასადზე. აქ სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ჯვარია. კეხთან გამოსახულია «განედლებული ჯვარი» (სურ.19.13). მის მცენარეულ მოტივში შევიცნობთ ყურძენს. იგივე ფასადის ცენტრალური სარკმლის ორივე მხარეს ერთ ჰორიზონტალურ დონეზე მოთავსებულია გრაფიკულად განსხვავებული ფორმის ჯვრები. მარჯვენა ჯვარი სწორხაზობრივია, სწორკუთხა მკლავებით. გვრდითი და ქვედა მკლავების ბოლოები შუაზეა გაყოფილი და ორ მახვილ ბოლოს ქმნის, რომელთა შორის გამოსახულია სხივების ხაზობრივი (აქსესუარი), დეკორატიული ელემენტი (მხოლოდ გვერდით მკლავებზე) (სურ.19.14).

აღნიშნული ჯვარი ჩასმულია კონტურებით შემოვლებულ ჯვრის ფორმის ჩარჩოში. განსხვავებული სტრუქტურისაა ასევე სარკმლის მარცხნივ მდებარე ჯვარი (სურ.19.15). მისი სტრუქტურა მსგავსია წინა პერიოდის ჯვრების კერძოდ – მკლავები ტრაპეციებია, რომელთა დაბოლოებები რკალის ფორმისაა. მიუხედავად ზოგადი მსგავსებისა წინა ჯვრების სტრუქტურებთან, შეინიშნება მათი განსხვავებული ხასიათი და განლაგება ფასადზე.

ხირსის ეკლესიის სამხრეთ ფასადის კეხთან მოთავსებული დეკორატიული ჯვრის გრაფიკულ ფორმას სტრუქტურულად ემსგავსება ***არმაზის (VIII-IXსს)*** ეკლესიის კარების ტიმპანზე გამოსახული ჯვარი (სუყრ.19.16). ჯვრის მკლავების დაბოლოებები, განსხვავებით ხირსის ჯვრისაგან, უფრო გამოკვეთილია წრიული ფორმებით, რომელიც პარალელს ავლებს მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიის დეკორატიული ჯვრის ელემენტებთან. იგივე ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ, მართკუთხა ფილაზე გამოკვეთილია ტრაპეციულ მკლავებიანი ჯვარი (სურ.19.17), რომელიც ბოლნისის სიონის მცენარეულ მოტივში არსებული ჯვრის მსგავსია (იხ. სურ.16.7,8). ჯვრის ქვედა მკლავი განსხვავებული დაბოლოებებით გადაბმულია სარკმლის თავსართთან.

მიუხედავად განსხვავებული პროპორციისა და მკლავების დეკორატიულობისა, ბოლნისის სიონის ერთერთი (იხ. სურ.16.11) ჯვრის პარალელია ***მაჩხანის ეკლესიის*** (VIII-IXსს) სამხრეთ ფასადის შესასვლელის თავზე გამოსახული ჯვარი (სურ.19.18) ჯვარი ჩასმულია კვადრატულ ჩარჩოში.

ფასადთა დეკორატიული მორთულობის თვასაზრისით მნიშვნელოვანი ძეგლია ***გურჯაანის ყველაწმინდა (VIII-IXსს)***. განსაკუთრებით გამოიყოფა ნაგებობის აღმოსავლეთი ფასადი (სურ.20.1,2), სადაც დეკორატიული მოტივის წამყვანი ელემენტია თაღედი და ჯვრები. საფასადო სიბრტყე ვერტიკალური ღერძის მიმართ

სიმეტრიულია. მასზე არსებული დეკორატიული თაღები და ჯვრები, სარკმელებიც განლაგებულია სიმეტრიულად. ფასადის გვერდით თაღედში გამოსახულია მომცრო სწორმხრიანი ჯვრები, გრძელი ვერტიკალური მკლავებით. ცენტრალურ ნაწილში ტყუპი თაღედის ზემოთ, კეხთან ახლოს, მდებარეობს სადგარზე დაყრდნობილი სწორკუთხა მხრებიანი შედარებით დიდი ზომის ჯვარი.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ფასადის ასეთი გადაწყვეტა, ჯვრების განლაგების მიხედვით წარმოადგენს სიახლეს აღნიშნული პერიოდის ხუროთმოძღვრულ ძეგლებში. თუმცა მისი ცალკეული ელემენტები (ჯვრის გამოსახვა კეხთან, ასევე სარკმლის რკალურ თავსართზე, არსებობდა წინა დროის ძეგლებშიც. დეკორატიული კომპოზიციის ცენტრალური ნაწილია სარკმლის და ჯვრის დაკავშირება რელიეფური ღერძით. გაშლილ არეზე მნახველი მას აღიქვავს უპირველესად. გვერდით არეებზე მოთავსებული პატარა თაღედები, სარკმელები და ჯვრები სრულყოფენ დეკორატიულ კომპოზიციას. ფასადზე არსებული დეკორატიული და ხუროთმოძღვრული ელემენტების სიდიდეები ერთმანეთთან პროპორციულ კავშირშია, რაც მეტად გამოარჩევს ამ ძეგლს გარდამავალი ხანის (VII-Xსს) ძეგლებისგან.

ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ გურჯაანის ყველაწმინდის აღმოსავლეთი ფასადის დეკორატიული სტრუქტურა და მთელი კომპოზიცია (ჩანასახის დონეზე) დასაბამს აძლევს მომდევნო პერიოდის ძეგლების აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიციებს.

იმხანის (IX-Xსს) ტაძრის ფასადების გაფორმების ძირითადი ელემენტი თაღედია, მაგრამ ქრისტიანული სიმბოლოს – ჯვრის ადგილი უცვლელია. ის მოთავსებულია ფასადის ყველაზე ამაღლებულ, თავალსაჩინო ნაწილში.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური სარკმლის თავზე, დიდი დეკორატიული თაღის ქვეშ მოთავსებულია ორნამენტული ჯვარი (სურ.20.3,4). მისი მკლავები დეკორირებულია გეომეტრიული

ორნამენტით, რომელიც მიიღება წრეწირების და მათი მხები წრფეების წნულით. გვერდითი მკლავები შედარებით მოკლეა ვერტიკალური მკლავების სიდიდეზე. იგივე დეკორითაა შედგენილი სამხრეთ ფასადის კეხთან მოთავსებული ჯვარიც (სურ.20.5,6). პირველისგან განსხვავებით ის კვარცხლბეკზე დგას და ძირში ორივე მხარეს მცენარეული მოტივები აქვს.

იშხანის ტაძრის ორნამენტულ მორთულობაში არსებული ჯვრების გამოსახულება მიუთითებს ხელოვნების აღმავლობაზე, ფასადთა დეკორატიული ელემენტების და განსაკუთრებით ჯვრის მიმართ მაღალმხატვრულ დამოკიდებულებაზე.

აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე – ***იშხანი*** (VII-XI სს), ***ოშკი*** (Xს), ***ოპიზა*** (სატრაპეზო) (IX-X სს), ***ენირაბატი*** (Xს), ***ტბეთი*** (Xს) ჩნდება შეწყვილებული სარკმელები. ამ ძეგლებიდან გამოირჩევა ტბეთის სამხრეთ ფასადის შეწყვილებული სარკმელები და მათ ზემოთ შუა არეზე გამოსახულ მცირე ზომის ორნამენტული ჯვარი [34.95]. ეს კომპოზიცია შემდგომში ჯვრის ცვლილებით ფართოდ გავრცელდება.

დეკორატიული მორთულობა განვითარებას განიცდის ***პარხალის (Xს)*** ტაძრის ფასადებზე. ვ. ბერიძის მითითებით აქ ჩუქურთმა განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ცალკეული მახვილებია სარკმელთა სათაურები და გრეხილით შესრულებული ჯვრები [32.44]. ერთ-ერთი სარკმლის საპირეზეა გამოსახული «ბოლნური ჯვრის» თავისებური ვარიანტი (სურ.20.7), რომელიც ზუსტად ასეთი ფორმით გვხვდება ნიკორწმინდის რელიეფებზე.

ტაძრის ორნამენტული ჯვრებიდან გამოვყობთ დასავლეთი ფასადის სარკმლის საპირეზე, დაბალი რელიეფით და გრეხილი ლილვებით გამოსახულ ჯვარს (სურ.20.8) იგი მცენარეულ მოტივთან ერთადაა. ჯვრისათვის დამახასიათებელია გრძელი ვერტიკალური ქვედა მკლავი. ჯვრის საერთო გამოსახულება, მკლავების დაბოლოებები მსგავსია დავით III კურაპალატის მონეტაზე გამოსახული

სწორმხრებიანი ჯვრის (იხ. სურ. 3.8) ერთმანეთისგან განსხვავდება პარხალის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის წყვილი ჯვრები (სურ.20.9,10). მარჯვენა ჯვარზე გრეხილი ორნამენტია გამოყენებული, მეორე ჯვარზე შესრულებულია კომპოზიცია წრეებით. ორივე ჯვარს სწორკუთხა მკლავები აქვს. ერთერთს გააჩნია მართკუთხა სადგარი.

ტაძრის სამსხვერპლოს სარკმლის თავზე, მცენარეული დეკორით შემკობილ ფილაზე, შუაში ჯვარია გამოსახული (სურ.20.11). მსგავსი ხასიათის კომპოზიციას შევხვდით ბოლნისის სიონში, აკაურთას ეკლესიაში. პარხალის აღნიშნულ კომპოზიციაში ჯვრის გამოსახულებას გააჩნია ზოგიერთი ელემენტის პარალელი წრომის და არმაზის ეკლესიების ჯვრებთან, თუმცა აქ დამოუკიდებელი ფორმით გვევლინება მცენარეულ მოტივში.

ტაძრის ერთერთი ორიგინალური ჯვრული კომპოზიციაა გეომეტრიული ფორმებით შედგენილი გამოსახულება, სადაც ჩართულია ადამიანთა და ცხოველთა ფიგურებიც (სურ.20.12). ჯვართან დაკავშირებული ყველა ელემენტი ცენტრულად სიმეტრიულია. მასში მოიაზრება ჯვრის სადიდებელი კომპოზიციის თავისებური ვარიანტი.

პარხალის ფასადებზე გამოსახული მრავალფეროვანი ჯვრები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კომპოზიციური სტრუქტურით, დეკორით. თითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ ნიმუშს.

განსხვავებული სტრუქტურისაა ***კუმურდოს (XI)*** ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია (სურ.21.1). ამაღლებული პროპორციების საფასადო სიბრტყე, ღრმა ნიშებით, რომლებიც მას ანაწევრებს სამ არედ. თითოეულზე მოთავსებულია სამი სხვადასხვა ფორმის და სიდიდის ჯვრები. ჯვრების, სარკმელების, ნიშების და სხვა ელემენტთა განლაგება სიბრტყეზე ქმნის სიმეტრიულ კომპოზიციას. სიმეტრიის ღერძზე მოთავსებულია აფსიდის სარკმელი მაღალი რკალური თავსართით, სარკმლის გასწვრივ ნიშების ზემოთ გამოსახულია მაღალი ჯვარი (გრძელი ქვედა მკლავით). ნიშების

გვერდით, ქვედა სარკმელების თავზე, ერთ ჰორიზონტალურ დონეზე გამოსახულია ჯვრები (სურ.21.2,3). ორივე ჯვარი ზოგადად გრაფიკული ფორმით და ორნამენტული დეკორით მსგავსია იშხანის ჯვრების დეკორატიულ მოტივისა. მარცხენა ჯვარი ქვედა მკლავით უერთდება სარკმლის თავსართს, ხოლო ზედა მკლავს რკალური, ორნამენტული თავსართი აქვს. აღსანიშნავია, რომ იგივე ჯვრის ზედა მკლავის მხარეს არსებობს სიმეტრიული სამფოთოლა რელიეფური კომპოზიცია, იგი ჯერ კიდევ ნინოწმინდის ტაძრიდან არის ცნობილი. ტაძრის მარჯვენა ჯვარი მარცხენისგან განსხვავდება პროპორციებით. მას ზემოდან შემოვლილი აქვს ნახევარწრიული რკალი.

გარდამავალი პერიოდის ძეგლები არ გამოირჩევიან ორნამენტების სიუხვით, თუმცა ყოველ მათგანზე დასმულია ჯვარი სხვადასხვა გრაფიკული ფორმებით, მაგრამ IX-X საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ძეგლების ფასადებზე გამოსახული ჯვრები გამოირჩევა ახალი მხატვრული სტილით, ჯვრის მკლავები «ივსება» დეკორით. გამოიყენება შეწყვილებული სარკმელების და ჯვრის კომპოზიცია. დეკორატიული ჯვრები ქმნიან მრავალფეროვან, საინტერესო, გამორჩეულ ნიმუშებს და დასაბამს აძლევენ ასეთი სტილის ჯვრებს შემდგომი პერიოდის ძეგლებზე.

მცენარეულ ორნამენტთან დაკავშირებულ ჯვრებს ვხვდებით ***ხცისის (Xს), ზემო სკრის (Xს)*** ძეგლებზე. ეს ჯვრები სარკმელთა დეკორატიულ თავასრთთანაა გამოსახული და ბოლნური ჯვრების მსგავსია. ხცისის ჯვარი (სურ.21.4) თავისი გრაფიკული ფორმით მარტივია, მისი ქვედა მკლავი ბოლოვდება სადგარით, მიუხედავად ზოგადი მსგავსებისა, მისი გრაფიკული აგებები და პროპორციები არ შეესაბამება «ბოლნური ჯვრის» აგებას. აქ გვერდითი (ჰორიზონტალური) მკლავები გაცილებით გრძელია და ცენტრიდან შემოხაზულ წრეწირში არ თავსდება.

ზემო სკრის ჯვრის (სურ.21.5) მკლავების სიდიდეები მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან. მკლავების დაბოლოებებზე და ცენტრში ორნამენტული წრეწირებია განლაგებული. ჯვრის ქვედა და ზედა მკლავთან ორნამენტული მოტივია გამოსახული.

მრავალი ფიგურით გამოირჩევა ***დისევის (Xს)*** ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმლის ზედა ნაწილის კომპოზიცია (სურ.21.6). მის ცენტრში განედლებული მარტივი და გლუვი ჯვარია, რომლის ერთ მხარეს ცხოველთა, ხოლო მეორე მხარეს ადამიანის პორტრეტი და აბსტრაქტული ფიგურის განყენებული კომპოზიციაა. ჯვრის ზედა მკლავის ორივე მხარეს ერთნაირი დიამეტრის დისკოებია გამოსახული, ზემოთ ნაყოფიანი მცენარეა. ასეთი კომპოზიცია იშვიათად გვხვდება ქართულ ტაძრებზე. ჯვრის გრაფიკული ფორმა მსგავსია არმაზის ეკლესიის ჯვრის (იხ. სურ.19.16).

ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა ***ზემო კრიხის ეკლესიის (X-XI სს)*** ჯვარი (სურ.21.7). იგი ჩასმულია როზეტულ ორნამენტში და მას უკავშირდება ღეროთი, ჯვრის მკლავების ბოლოები მთავრდება წყვილი ფოთლებით. ეს კომპოზიცია შეიძლება მივიჩნიოთ «აყვავებული ჯვრის» ერთერთ ვარიანტად.

გუმბათის ეკლესიის (X-XI სს) რელიეფური ჯვარი (სურ.22.1) სტილიზებულია ვაზით (მტევნებით). მიუხედავად განსხვავებული პროპორციებისა, მისი სტრუქტურა მსგავსია წრომის ჯვრების, ამავდროულად იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ და საინტერესო ნიმუშს.

მხატვრული გამოსახვით და გრაფიკული გადაწყვეტით ერთმანეთისგან გასნხვავდება ***ბედიის ეკლესიის (X-XI სს)*** ფასადებზე მოთავსებული მცენარეებით იმპროვიზირებული ჯვრები. ერთერთის სწორკუთხა მკლავები ბოლოვდება რკალებით და დაკავშირებულია მცენარეულ მოტივთან (სურ.22.2). მისი შიდა არე დეკორირებულია იშხანის და კუმურდოს დეკორის მსგავსად.

ეკლესიის შესასვლელის ტიმპანზე მოთავსებულია მეორე ჯვრის გამოსახულება (სურ.22.3) იგი «განედლებული ჯვარია». მის გრაფიკულ ფორმას გააჩნია პარალელი პარხალის ტაძრის ერთერთ დეკორატიულ ჯვართან (იხ. სურ.20.11).

ხირსის ეკლესიის ერთერთი ჯვრის გრაფიკული გამოსახულების (იხ. სურ.19.13) პარალელს წარმოადგენს ***დარკვეთის ეკლესიის (X-XI სს)*** სარკმლის თავზე მოთავსებული ჯვარი (სურ.22.4). იგი ბოლნური ჯვრის გამარტივებული ვარიანტია და მკლავებს შორის მცენარის ფოთლები აქვს გამოსახული. ჯვრის ქვედა მკლავი ბოლოვდება მაღალი სადგარით.

ერთმანეთის მსგავსია სტრუქტურულად ***დიღომის (X-XI სს)*** და ***პატარა ონის (XIს)*** შესასვლელთა ტიმპანის რელიეფური ჯვრები (სურ. 22.5,6) ორივე ჯვრის მკლავები სწორხაზოვანია, ორღეროიანი და ბოლოვდება ერთნაირი ელემენტებით. პატარა ონის ჯვარი განსხვავდება ჯვრის მკლავებზე არსებული კვანძებით და მთელი ტიმპანის კომპოზიციით, სადაც მცენარეულ მოტივთან ერთად არის ორი ფრინველის გამოსახულება.

აღნიშნული კომპოზიციის გამარტივებულ და სქემატურ სახეს წარმოადგენს ***დიდი გარდატენის (X-XIII სს)*** აღმოსავლეთ სარკმლის თავსართი (სურ.22.7).

მცენარეული ორნამენტითაა შესრულებული ***იკვის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის (XIს)*** შესასვლელის ტიმპანი (სურ.22.8). ღეროთა გრეხილი ორნამენტით იქმნება კომპოზიციის ცენტრალური ფიგურა ჯვარი. ორნამენტული მოტივის მიხედვით ჯვარი მსგავსია პარხალის და საფარის ჯვრების, მაგრამ თვით ჯვრების სტრუქტურა, კომპოზიცია, განსხვავებულია. ორნამენტის ეს მოტივი თავისებურად გამოიყენა და დააკავშირა ავტორმა ტიმპანის მცენარეულ მორთულობასთან.

განხილული ჯვრები და მათი სტრუქტურული კომპოზიციები წინა პერიოდის ტაძართა დეკორაციული ელემენტების განვითარებით

ხასიათდება, ამავდროულად იქმნება ახალი მხატვრული სახეები, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ქრისტიანობის სიმბოლოს – ჯვრის მხატვრული სახის ჩამოყალიბების და ძიების პროცესს. ტაძართა მთლიანი ფასადის დეკორატიული სისტემის გადაწყვეტა ჯერ კიდევ უკანა პლანზეა.

განვითარებული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების ხანა (Xს, მეორე ნახევრიდან XIII-XIV საუკუნეთა მიჯნამდე) ცნობილია მონუმენტური ტაძრების შექმნის პერიოდად, სადაც ქართული ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრება მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოგვიდგება. ამ აღზევების ერთერთი მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი ფაქტორი ტაძართა სტრუქტურის განვითარებაცაა. მასში ტრადიციულად, კომპოზიციის მაორგანიზებელი ფიგურა, ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარია.

აღნიშნული პერიოდის საწყისი ეტაპის ზოგიერთ ძეგლზე ჯერ კიდევ ვხვდებით ჯვრის ძველი კომპოზიციების თავისებურ გადაწყვეტას. კერძოდ ჯვართამაღლების კომპოზიცია, რომელიც ცნობილი იყო ***თეთრიწყაროს (V-VIIს)*** ეკლესიაში და ***მცხეთის ჯვარში (VIს),*** გვხვდება ასევე ***ხახულის ტაძრის (X-XIს)*** სამხრეთის შესასვლელის ტიმპანზე (სურ.22.9) განსხვავებით წინა ნიმუშებისგან კომპოზიციაში ჯვართან ოთხი ანგელოზია. ჯვრის გამოსახულების სტრუქტურას პარალელი გააჩნია ზემო სკრის ეკლესიის ჯვართან (იხ. სურ.21.8). რაც შეეხება ჯვრის ქვედა მკლავთან არსებულ წრიულ (სფერულ) ელემენტს მას ვხვდებით XII საუკუნის ქართული ჭედური ჯვრების ასევე ქვედა მკლავთან დაკავშირებულს.

ჯვრების განხილულ ფორმებთან ერთად იშვიათად ვხვდებით ქართული ქრისტიანული საკულტო ძეგლების დეკორატიულ მოტივში მბრუნავი ჯვრის – სვასტიკის გამოსახულებას. ***ფოკას (XI ს)*** წმ. ნინოს დარბაზული ეკლესიის სამხრეთ ფასადზე აღნიშნული სიმბოლური

გამოსახულება მოცემულია ორნამენტულ ზოლში, სხვადასხვა ორნამენტულ მოტივთა შორის (სურ.22.10).

X-XIსს. ტაძრებზე ჩნდება დეკორატიული ელემენტები, რომელთა ჩამოყალიბების ეტაპები ცნობილია წინა პერიოდის ზოგიერთ ძეგლებზე (დეკორატიული თაღედი, შეწყვილებული ლილვები, ფასადების ცენტრალურ არეზე დიდი ჯვრების დაკავშირება სარკმელთან და სხვა). აქ მიიღებოდა ერთი ხუროთმოძღვრული თემა, რომელიც შემდეგ მხატვრული შემოქმედების, დეკორატიული ორნამენტაციისათვის აუცილებელ ფონს წარმოადგენდა. ხუროთმოძღვართა შემოქმედებაში ნათლად იგრძნობა მათი ქმნილების დეკორატიულობა.

კათედრალების დეკორატიული მორთულობის მიხედვით გამოიყოფა ***ალავერდის ტაძარი*** (XIს). კახეთის ძეგლების ორნამენტული დეკორის სიმწირის მიუხედავად, მათში ნათლად ვლინდება ტენდენცია განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებისათვის დამახასიათებელი, დეკორატიული თეღედით მორთვა. მის გვიან აღდგენილ ფასადებზე გვხვდება აგურის წყობით გამოყვანილი გოლგოთას ჯვრები. გამოვყობთ აღმოსავლეთ ფასადს (სურ.23.1,2), სადაც სიმეტრიული საფასადო სიბრტყის დეკორატიული სტრუქტურის მაორგანიზებელი ელემენტია თაღედი. ცენტრალური მაღალი თაღის ქვეშ მდებარეობს დიდი წრიული ფორმებით შედგენილი ჯვარი, რომლის გრაფიკული მოხაზულობა ექვემდებარება გეომეტრიულ აგებებს. იგი საკმაოდ მოშორებულია ცენტრალურ სარკმელს და თავისუფალ არეზე მდებარე წარმოადგენს საფასადო კომპოზიციის ცენტრალურ ფიგურას. ცენტრალური თაღის გვერდითი მცირე ზომის თაღები ბოლოვდება სამი წრიული ფორმით შედგენილი კომპოზიციით.

აღნიშნული ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის სტრუქტურულ-დეკორატიული ელემენტები: თაღედი, ჯვარი, წყვილი კომპოზიციაა სამი წრიული ფორმის, მათი კონფიგურაცია გარკვეული კანონზომიერებებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომელიც

შემდგომში მუშავდება და დასაბამს აძლევს ორიგინალურ კომპოზიციას. ჩვენი აზრით სწორედ ალავერდის აღმოსავლეთი ფასადის კომპოზიციის და წინა პერიოდის ტაძართა ფასადების (გამოვყობთ გურჯაანის ყველაწმინდას (VIII-IXსს), კომპოზიციების ღრმა ანალიზის საფუძველზე იქმნება შემდგომში, სრულიად ახალი ცხოველხატული სტილი ფასადების დეკორატიული დამუშავებისა.

ორნამენტული დეკორის მრავალსახეობით გამოირჩევა საქართველოს ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი საკათედრო ტაძარი ***სვეტიცხოველი (XIს).*** მის დეკორატიულ თაღედთან ერთად მნიშვნელოვანია მცენარეული მოტივები და დეკორატიული ჯვრები. ტაძრის დასავლეთი ფასადის სამხრეთის სარკმლის ზემოთ გამოსახულია საშუალო სიდიდის ჯვრის ორნამენტირებული გამოსახულება (სურ.23.3,4). იგი გამოირჩევა სწორკუთხოვანი მკლავებით. მის გრაფიკულ გამოსახულებაში ჩანს ჯვრის გამოსახვის ტრადიციულ ფორმებთან ერთად სიახლეც, რაც გამოიხატება მკლავების დაბოლოებათა ფორმებში.

აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური სარკმლის თავზე ორნამენტი ჩაჭრილია და მოგვიანებითაა ჩადგმული მეტად საინტერესო ფორმის ჯვარი (სურ.23.5,6). თანაბარი სიდიდის და მსგავსი ფორმის მკლავები წრეშია ჩასმული. რელიეფური ჯვრის ასეთი ფორმა არ გვხვდება წინა პერიოდის ძეგლებში. ჩვენი აზრით ჯვრის გრაფიკული გამოსახულება (მისი სტრუქტურული ელემენტებიდან გამომდინარე), ერთგვარი სინთეზია «ბოლნური ჯვრის» და სწორმხრებიანი ბერძნული ჯვრის, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით აღნიშნული ჯვარი წარმოადგენს ასონიშან ქის და მის შებრუნებულ ნიშანს ხანს [51.448].

სვეტიცხოვლის გუმბათის წახნაგოვან ყელზე გამოსახულია სიუჟეტური კომპოზიცია (სავარაუდოდ) მშენებლები (სურ.23.7). მკვლევართა მითითებით აქ გამოსახულია უძველესი ნიშანი – ტაუ ჯვარი, რითაც მშენებლები იყვნენ გაერთიანებულნი [16.253]. მოძიებული

მასალის მიხედვით სვეტიცხოვლის კედლის ჩუქურთმაში არსებობს აგრეთვე სვასტიკის გამოსახულებები (სურ.23.8). იგი ორნამენტულ კომპოზიციაშია შესრულებული და მიჩნეულია მზესთან ერთად დედამიწის გამოსახულებად [51.209].

განხილული კათედრალებიდან ჩანს წინა განვითარებისგან განსხვავებული ხასიათები, რაც გამოიხატება ფასადთა მხატვრულ დამუშავებაში. აქ ხუროთმოძღვარის მიზანია მონუმენტური ტაძრების დეკორატიულ კომპოზიციებში უფრო ნათლად წამოსწიოს ჯვრის გამოსახულება.

შესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენს თავისი ბრწყინვალე საფასადო ორნამენტული სისტემით ***სამთავისის ტაძარი (XIს).*** იგი საყურადღებოა, როგორც განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებების ძეგლი. ტაძრის ფასადებიდან გამიყოფა აღმოსავლეთი ფასადი (სურ.24.1,2). მის დეკორატიულ კომპოზიციას მკვეთრად გამოსახული ლილვების ხუთთაღოვანი სისტემა უდევს საფუძვლად. ცენტრალურ თაღში იკვეთება დიდი ზომის, სწორკუთხა მკლავებიანი, მოჩუქურთმებული ჯვარი. იგი წარმოადგენს კომპოზიციის ცენტრს, რომელიც წარმოიქმნება ფასადის კედლის ცოკოლიდან აღმართული ლილვების ჯგუფით. იგი იშლება ქვედა დონეზე და ქმნის რომბებს (წვეროებით შეერთებულ როზეტებს), შემდეგ შემოევლება საკურთხევლის სარკმელს. აქედან მიმართული ზემოთ, შემოსაზღვრავს ჩუქურთმიან ნახევარსფეროს (კოპს) და გვირგვინდება დიდებული ორნამენტული ჯვრით. ლილვები ჯვრის მაღლა იყოფიან და ორი სიმეტრიული რკალით ქმნიან დიდი ჯვრის თავსართს. შემდეგ ლილვები ორივე მხარეს ეშვებიან ქვემოთ, ნიშების და გვერდით არეების შემომვლელ თაღებად. ფასადის ზედა ნაწილში ცენტრალურ თაღთან, ორივე მხარეს ლილვები ქმნიან ასევე მცირე ზომის თაღებს, რომელთა დაბოლოებაზე იქმნება ოთხი წრით შედგენილი ტოლმკლავა ჯვრები. მათ ხშირად ფოთლოვან ორნამენტადაც მიიჩნევენ. დიდი და მცირე ჯვრები გარკვეულ

კანონზომიერებაში არიან ფასადის სტრუქტურულ აგებულებასთან, რაც გამოიხატება დეკორატიული ელემენტების ურთიერთ განლაგებაში, მათ თანაზომირებაში [52.308]. სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია თავისი მხატვრულობითა და პრინციპებით, არის დასრულებული სრულყოფლი სახე ფასადის ორნამენტული დეკორირებისა. მისი შემადგენელი ელემენტებიდან ზოგიერთი მანამდე უკვე არსებული ფორმებია, მაგალითად დიდი ჯვრის ორივე მხარეს წრიული ფორმებით შედგენილი მსგავსი კომპოზიცია ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილებებით, არის ალავერდის აღმოსავლეთ ფასადზეც (იხ.სურ.23.1).

სამთავისის საფასადო სისტემის სიახლეს წარმოადგენს ასევე ცენტრალური ღეროსთან დაკავშირებული, კუთხეებით შეწყვილებული როზეტები. ამ უკანასკნელთ თავისი პარალელი აქვთ ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებში. ეს არის კაცხის მაცხოვრის ხატის სამკაულის – პატარა ჯვრის ქვეშ არსებული ორი მცირე ზომის კვადრატი – შეწყვილებული წვეროებით (იხ. სურ.3.13.). განუმეორებელია ფასადის საერთო სტრუქტურა, მისი მხატვრულ-ორნამენტული გადაწყვეტა და პროპორციულობა ფორმებისა.

სამთავისის ტაძრის კომპოზიციამ დასაბამი მისცა შემდგომი პერიოდის ტაძართა აღმოსავლეთ ფასადების დეკორატიულ გაფორმებას. მათ განხილვამდე შევეხებით ასევე შესანიშნავი ორნამენტული მორთულობით გამორჩეულ ძეგლს ***ნიკორწმინდის ტაძარს (XIს).*** იგი შემკულია მრავალფეროვანი მცენარეული მოტივებით, სიუჟეტური რელიეფებით, ფასადების დეკორატიულ მოტივს აქაც თაღედი წარმოადგენს.

ტაძრის აღმოსავლეთ საფასადო სიბრტყეზე არსებულ ცენტრალურ ღერძზე სარკმლის ზემოთ მდებარეობს დეკორატიული ჯვარი (სურ.24.3,4). მკლავები ოდნავ ტრაპეციული ფორმისაა, სადაც გამოიყოფა ქვედა შედარებით გრძელი მკლავი. ჯვარი მიუხედავად მისი

დეკორატიული მოტივისა, წარმოადგენს ძველი ტრადიციული ფორმების გამოძახილს

ნიკორწმინდის ტაძრის კარიბჭის ტიმპანზე გამოსახულია ჯვრის ამაღლების კომპოზიცია (სურ.24.5) მასში ოთხ ანგელოზთა შორის გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი. ქართულ ქრისტიანულ საკულტო ძეგლებზე გვხვდება ისეთი ხასიათის კომპოზიციები, სადაც ჯვრის ამაღლება ხდება როგორც ორი ასევე ოთხი ანგელოზით. აღნიშნულ კომპოზიციაში ცენტრალური ფიგურა არის ჯვარი, რომლის ცენტრში მოთავსებულია ორნამენტირებული წრიული დისკო. ჯვრის ქვედა მკლავს მცენარეული ელემენტებით შესრულებული სადგარი აქვს, მკლავები ბოლოვდება რკალებით, რომელთა თითოეულ წვეროზე მცენარეული ელემენტებია განლაგებული. იგი წარმოადგენს ე.წ. «აყვავებულ ჯვარს». ჯვრის სტრუქტურულ-გეომეტრიულ ფორმას გააჩნია წინა პერიოდის ნიმუშებში პარალელები, გარდა ამისა ჯვრის მკლავების დაბოლოებათა წვეროების მცენარეული მოტივი არის მსგავსი XII ს ქართული ჭედური ჯვრების იგივე ელემენტების (იხ. სურ. 4.5). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ჯვრის ამაღლების კომპოზიცია არის ასევე კაცხის (XIს) ტაძრის გარეშემოსასვლელში (სურ.24.6). იგი მსგავსია ნიკორწმინდის იგივე კომპოზიციის, მაგრამ მასში გამოიყენება განსხვავებული დეკორატიული ელემენტები. მთელი კომპოზიცია მოთავსებულია წრიულ ლენტურ ორნამენტში.

აღსანიშნავია ასევე ნიკორწმინდის სამხრეთ კარიბჭის კამარაზე გამოსახული საერთო ცენტრის მქონე ორი ორნამენტული, რელიეფური ჯვარი (ორმაგი ჯვარი) (სურ.24.7). ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება დეკორით.

აღნიშნული ტაძრის დეკორატიული მორთულობა არსებულ ფორმათა ახლებური გააზრების და გადამუშავების შედეგია, რომელშიც ხუროთმოძღვარს შეაქვს ახალი შემოქმედებითი ელემენტებიც.

მიუხედავად ნიკორწმინდის ტაძრის მდიდრული ორნამენტული მორთულობისა, ამ პერიოდის (XI-XIIIსს) ეკლესიათა უმრავლესობის დეკორატიული მორთულობის ნიმუშს წარმოადგენდა – სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი.

იკორთის ტაძრის (XIIს) აღმოსავლეთ ფასადის დეკორატიული მორთულობა მსგავსია სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიციისა (სურ.25.1,2). ამ შემთხვევაშიც მორთულობის აქცენტი ცენტრალურ ღერძზეა გადატანილი. ჯვარი, სარკმელი და რომბები ერთმანეთთანაა დაკავშირებული ვერტიკალური ღერძით. ორიგინალურადაა დეკორირებული სწორკუთხა ჯვარი, გრძელი ქვედა მკლავით. სამთავისის ცნობილი კომპოზიცია ყველაზე უკეთ იკორთაშია გამოყენებული, განსხვავებები მხოლოდ პროპორციებსა და ორნამენტულ დეკორშია [55.49).

საკმაოდ განსხვავებულია ***ბეთანიის ტაძრის (XII-XIIIსს)*** აღმოსავლეთი ფასადი (სურ.25.3,4). ძირითადი ხუროთმოძღვრული ელემენტები, ნიშები, სარკმელები, მოიცავენ ფასადის ქვედა ნაწილს. ზედა თავისუფალ არეზე, ცენტრალურ ღერძზე მდებარე სარკმლით გამოსახულია ტრიკონქის მსგავსი ჯვარი გარშემო შემოვლებული დეკორატიული არშიით და შესაბამისი სტრუქტრურულ-გეომეტრიული აგებებით.

დიდი მხატვრული გემოვნებითაა გადაწყვეტილი ტაძრის სამხრეთის ფასადი. აქ იქმნება დეკორატიული კომპოზიცია წყვილი სარკმლის და სწორკუთხა მკლავებიანი ჯვრის ორგანული ერთიანობით (სურ.25.5,6), (ამ კომპოზიციის ჩანასახი არსებობს ტბეთის სამხრეთ ფასადზე). ჯვრის გრძელი ვერტიკალური მკლავი იწყება ქვედა დონიდან, მიემართება ზევით და სარკმელთა სათავესთან უკავშირდება დიდ ორნამენტულ წრეწირს. მის ზემოთ კომპოზიცია სრულდება დიდი დეკორატიული ჯვრით, რომელიც სარკმელებთან ერთად მდიდრულად არის ორნამენტირებული.

შეწყვილებულ სარკმელებს შორის ჯვრის მოთავსება ძირითადად აღინიშნება თამარისა და ლაშას დროს აგებულ ძეგლებზე (ქვათახევი, ფიტარეთი, ახტალა). ეს ფორმა მოგვიანებით გვხვდება ქართლის მეტეხში და ერთაწმინდაშიც [56.66]. ტაძრის სამხრეთ კარიბჭის თავზე მოთავსებულია დიდი და მცირე ჯვარი (სურ.25.7). მცირე ჯვარი ჩასმულია წრეში და ეხება კარნიზს. მისი ზედა სამი მკლავი დაბოლოებულია სამყურას ფორმით. მეოთხე შეერთებულია შემომვლებ წრესთან. მის ქვემოთ სწორკუთხა მკლავებიანი ჯვარია გამოსახული. ჯვრის მკლავების შემომვლები ლილვის ფორმა მსგავსია კუმურდოს აღმოსავლეთ ფასადზე მდებარე ერთ-ერთი ჯვრის (სურ.21.2), მაგრამ ჯვარი აქ არის თავისებური მხატვრული ინტერპრეტაციით და განსხვავებული დეკორით.

ჯვრის გამოსახვის დეკორატიული სისტემა, რომელიც სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზეა, თავისებურად მეორდება ***ქვათახევის*** ტაძრის ***(XII-XIIIს)*** აღმოსავლეთ ფასადზე (სურ.25.8). მისი კომპოზიციის შემადგენელი ელემენტებიც ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია. ერთ ჰორიზონტალურ დონეზეა რომბები და გვერდითი სარკმელები, ნიშების თავსართები და ცენტრალურ სარკმლის თავსართი (კოპი) ფასადის ზედა არე უკავია დიდ, ლამაზ დეკორირებულ ჯვარს. ჯვრის მკლავები სწორკუთხაა, ქვედა მკლავი გრძელია და უერთდება სარკმლის თავსართს. ფასადზე იგრძნობა ქვედა დატვირთული არე, ხოლო ზედა ნაწილი – ტიმპანი დათმობილი აქვს ქრისტიანობის სიმბოლოს ჯვრის გამოსახულებას.

ტაძრის სამხრეთ და დასავლეთის ფასადებზე მეორდება ბეთანიის სამხრეთ ფასადის კომპოზიცია – წყვილი სარკმლისა და ჯვრის. ორივე შემთხვევაში ჯვრები მარტივია და გამოსახულია ორნამენტული დეკორის გარეშე (სურ.25.9,10). მათი პროპორციები განსხვავებულია, აღმოსავლეთ ფასადის ჯვრისგან. ქვათახევის ფასადთა დეკორატიულ

გაფორმებაში უკვე აღარ ჩანს თაღედი. აქ წამყვანი ელემენტი ისევ ჯვარია, მხოლოდ იცვლება მისი გამოსახვის ფორმები.

ტრადიციული ხუროთმოძღვრული და დეკორატიული ელემენტების კომპოზიციით, მდიდრული ორნამენტით ირთვება ***ფიტარეთის ტაძრის*** (XIIIს) ფასადები. ორნამენტული ჯვრების გამოსახვის ადგილი ტრადიციულად ფასადის ზედა ნაწილია – ცენტრალური სარკმლიდან კარნიზამდე (კეხამდე).

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის დეკორატიულ მორთულობას შეადგენს ცენტრალური სარკმლის ზემოთ მდებარე თავსართზე დაყრდნობილი დიდი სწორკუთხა მკლავებიანი ჯვარი (სურ.26.1,2). იგი დგას უმნიშვნელოდ გამოყოფილ მართკუთხა სადგარზე. ჯვარი დეკორირებულია სხვადასხვა სახის ორნამენტებით. კომპოზიციაში იკვეთება წრიული ფორმები, რომელიც ინდივიდუალობას ანიჭებს მას. ჯვარი განსხვავდება ასევე სხვა კომპოზიციებისგან. მის ქვედა მკლავთან ორივე მხარეს ლომთა რელიეფური გამოსახულებებლია, რომელთაც პირდაპირი ანალოგი არ გააჩნიათ [56,106]. ეს გამოსახულება (სავარაუდოდ) სარწმუნოების სიძლიერეზე მიუნიშნებდა.

წყვილი სარკმლის და მასთან დაკავშირებული დიდი ჯვარის კომპოზიციაა მოთავსებული ტაძრის სამხრეთ ფასადის ცენტრალურ სიბრტყეზე (სურ. 26.3,4). ჯვარი გამოირჩევა გრძელი ქვედა მკლავით, რომელიც უშუალოდ ეხება სარკმლების მოჩარჩოებას და ბოლოვდება მათ ქვემოთ, სადგარით. მისი ზედა სამი მკლავი ბოლოვდება სამყურას ფორმით, ეს ფორმა შეგვხვდა ბეთანიის სამხრეთ ფასადის წრეში ჩასმულ პატარა ჯვარზეც.

ტაძრის დასავლეთი ფასადის მთელი დეკორატიული მორთულობა დაკავშირებულია ფასადის ზედა ნაწილში მდებარე ცენტრალურ სარკმელთან, რომლის თავსართზეც მდებარეობს მცირე ზომის «განედლებული ჯვარი" (სურ.26.5). ჯვრის ზედა სამი მკლავი

თანაბარი სიდიდისაა, მრგვალი დაბოლოებებით მეოთხე ქვედა მკლავი შედარებით მცირეა. მის ორივე მხარეზე მცენარეებია გამოსახული.

ფიტარეთის ტაძრის ფასადების გაფორმებაში გარდა იმისა, რომ არის სიახლე (აღმოს. ფასადი) გამოყენებულია ასევე ბეთანიის და ქვათახევის წყვილი სარკმლის და ჯვრის კომპოზიცია შეინიშნება ჯვარის განსხვავებული ფორმა.

იგივე კომპოზიცია მეორდება *წუღრუღაშენის ტაძარში (XIIIს).* მიჩნეულია, რომ იგი ფასადების მორთულობის გადაწყვეტით განსხვავებულია წინა პერიოდის ტაძრებისაგან. ჯვარი გამოსახულია მხოლოდ ტაძრის დასავლეთის ფასადზე არსებულ წყვილ სარკმელთა შორის (სურ.27.1). მთელი საფასადო სისტემა გადაწვეტილია მარტივად. დეკორატიული ჯვარი სწორმკლავაა, თანატოლი ზედა მკლავებით და გრძელი ქვედა მკლავით, რომელიც ბოლოვდება საფეხურებიანი სადგარით.

შუა საუკუნეების ძეგლებში გუმბათის ნახევარსფეროზე თითქმის ყოველთვის ასახული იყო მაცხოვრის გამოსახულება (ან ჯვრის ამაღლების კომპოზიცია). წუღრუღაშენში გუმბათზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი, რომელიც გამოიყოფა ფერითაც. ფონი შესრულებულია მოყვითალო ხოლო, ჯვარი მოწითალო ღვინისფერი ქვებით. ქვემოდან მკაფიოდ მოჩანს ფერადი ჯვარი, იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ის ჰაერში დაცურავდეს [56,164].

სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის კომპოზიციის თავისებურ ვარიანტს ვხვდებით თბილისის *მეტეხის ტაძრის (XII-XIIIსს)* აღმოსავლეთ ფასადზე (სურ.27.2). ეს კომპოზიცია საინტერესოა იმითაც, რომ იგი მოთავსებულია საკურთხევლის ფასადის ცილინდრულ ზედაპირზე. ვერტიკალურ ღერძზე რელიეფურადაა გამოსახული ლილვური ღერო რომბებით დეკორირებული სარკმლით და მის ზემოთ მოთავსებული დიდი სწორკუთხა მკლავებიანი ჯვრით. გამოსახულების ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულია ჯვრები და სარკმლები.

სამივე ჯვარი წარმოადგენს თავისებურ გამოსახულებას ქრისტიანული სიმბოლოსი. თბილისის მეტეხის ჯვრები ზოგადად იმეორებენ წინა პერიოდის ტაძართა დეკორატიული ჯვრების ფორმას, მაგრამ რამდენადმე გამარტივებული სახით.

სამთავისის ტაძრის კომპოზიციის დეტალებს ვხვდებით ***ახტალის ტაძრის (XIIIს)*** აღმოსავლეთ ფასადზე ვერტიკალური სიმეტრიის ღერძზე დეკორატიული დიდი სწორკუთხა მკლავებიანი ჯვარი გაშლილია კეხიდან ნიშების ზედა დონემდე (სურ.27.3). ჯვრის ქვედა მკლავი ორჯერ აღემატება ზედა თანატოლ მკლავებს. აქაც აღარ არის დეკორატიული თაღედი. ტაძრის სამხრეთ ფასადზე გამოსახულია წყვილ სარკმლებს შორის თავისუფლად მოქცეული დიდი სწორკუთხა მკლავებიანი ჯვარი, ასევე გრძელი ქვედა მკლავით (სურ.27.4). იგივე ხასიათის კომპოზიციაა დასავლეთის ფასადზე. ზემოთ გამოსახულია ორი სხვადასხვა ჯვარი (სურ.27.5). ერთერთი ბოლოვდება სამყურას ფორმით. მეორე ჯვარი მარტივია სწორკუთხა მკლავებით, ტრაპეციული ფორმის სადგარით.

ახტალის ტაძრის ფასადებზე გამოსახულია მეტად ორიგინალურად გადაწყვეტილი დეკორატიული როზეტული ჯვრები (სურ.27.6,7,8,9), რომლებიც სტილიზებულია მცენარეული თუ გეომეტრიული მოტივებით. ყველა კომპოზიციაში იკვეთება ჯვრების გამოსახვის ერთნაირი ხერხი, შესრულებულია გრეხილი ლილვით. არსებობს მათი პარალელები წინა პერიოდის ძეგლებზე.

სხვადასხვა ფორმის დეკორატიული ჯვრებით გამოირჩევა ***საფარის (XIIIს)*** ტაძარი. მის ჩრდილოეთ ფასადზე ცენტრალური სარკმლის თავასრთთან და შესასვლელის ტიმპანზე ორი სხვადასხვა სიდიდის სწორმკლავა ჯვრებია გამოსახული (სურ.27.10). ცენტრალური სარკმელი და ჯვარი საკმაოდ დიდი ზომისაა და ორივე ერთად ქმნის შემოკლებულ გამარტივებულ კომპოზიციას. განსაკუთრებული ორიგინალობით და აგებათა სიზუსტით გამოირჩეულია როზეტები

რომელთა ორნამენტული სტრუქტურები მსგავსია ახტალის როზეტების (სურ.27.11,12). ორივე კომპოზიცია ცენტრულად სიმეტრიულია. მცენარეული ელემენტებით შექმნილ ჯვრის ნიმუშს პარალელი აქვს ბოლნისის სიონის იგივე ხასიათის ჯვართან.

სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია არის გამეორებული ***კოჯრის კაბენის (XIIIს)*** აღმოსავლეთ ფასადზე (სურ.27.10) და ასვე შემდგომი პერიოდის ზოგიერთ ეკლესიაზე.

აღნიშნულ კომპოზიციას მომდევნო პერიოდში ენაცვლება ტაძართა ფასადებზე ჩამოყალიბებული ჯვრისა და წყვილი სარკმლის კომპოზიცია. მას ტაძართა ოთხივე ფასადზე ინდივიდუალურად გამოსახავენ. ამის თავალსაჩინო მაგალითებია ***ერთაწმინდის (XIIIს)*** და ***სოფ. მეტეხის (XIIIს)*** ეკლესიათა ფასადებზე მოთავსებული ჯვრის კომპოზიციები (სურ.28.1,2,3,4,5,6,7,8). მათ აღმოსავლეთ ფასადებზე მხოლოდ ანარეკლის სახითაა შემორჩენილი სამთავისის კომპოზიცია. აქ დომინირებს ორი სარკმელი და სწორმკლავა ჯვარი. ჯვრის სიდიდე იზრდება, მისი ზედა მკლავი კეხამდე იწევს, ხოლო ქვედა მკლავი სარკმელთა ქვედა დონემდეა. გვერდითი მკლავების ქვედა არეებზე

სარკმელებია. ხშირად ჯვრის მკლავებთან განლაგებულია სხვადასხვა დეკორატიული მოტივებით შესრულებული რელიეფები, თვით ჯვარი იფარება ორნამენტებით.

ჯვრისა და სარკმლის კომპოზიციის ინდივიდუალურ გადაწყვეტას ვხვდებით ***ზარზმის (XIVს)*** და ***გერგეტის სამების (XIVს)*** ფასადებზე. ზარზმის აღმისავლეთ ფასადი დათმობილი აქვს სარკმლის ზემოთ მოთავსებულ მონუმენტურ სწორმკლავა, ორნამენტულ ჯვარს (სურ.28.9,10). გერგეტის სამების ყველა ფასადზე არის იგივე კომპოზიციები მხოლოდ შეცვლილი პროპორციებით (სურ.29.1,2,3,4) ფასადებს შორის გამოირჩევა აღმოსავლეთის ფასადი, სადაც ორნამენტული სწორკუთხა ჯვრის მკლავებს შორის არსებულ სიბრტყეში ჩართულია მართკუთხა დეკორატიული ფილები. ეს არის

სიახლე არსებულ კომპოზიციებში, რომელიც წინა პერიოდის ძეგლებზე არ გვხდება.

გვიანი შუა საუკუნეების (XIV-XVIIIსს) კახეთის საკულტო ძეგლებიდან გამოვყობთ ***ახალი შუამთის (XVIს)*** და ***გრემის (XVIს)*** გუმბათოვან ეკლესიებს. მათ საფასადო კომპოზიციებში ნათლად ისახება ჯვარი, რომელიც აგურის წყობით შედგენილი გოლგოთის ჯვრების სხავდასხვა კომპოზიციებია. მათი სტრუქტურა ერთნაირი ფორმებით ხასიათდება. ისინი მსგავსია ზოგიერთი სამრეკლოს ფასადებზე გამოსახული ჯვრების (მაგ. ნინოწმინდის სამრეკლო). ახალი შუამთის ფასადთა დეკორატიული ჯვრები (სურ.29.5) ერთმანეთის მსგავსია, ხოლო გრემის ჯვრები განსხავებული სტრუქტურისაა (სურ.29.6,7).

ჩვენი მოსაზრებით აღნიშნული ტაძრების ფასადებზე გამოსახული ჯვრები წარმოადგენენ საკმაოდ სახეშეცვლილ ინტერპრეტირებულ გამოსახულებებს გოლგოთის ჯვრებისას. მათში თავისებურადაა გადაწვეტილი ჯვრის მკლავები, სიდიდეები, ფორმა, პროპორცია. თავისი სტრუქტურულ-გეომეტრიული ფორმით ისინი ქმნიან ჯვრის განსხვავებულ ტიპებს, რომლებიც არ არის დამახასიათებელი წინა პერიოდის ქრისტიანულ ტაძართა დეკორატიული ჯვრებისა. გამოირჩევა ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის ორი ჯვრის კომპოზიცია და ასევე სამხრეთ ფასადის წყვილ სარკმელთა თავზე მოათავსებული დიდი მასიური ჯვარი (სურ.29.8).

განსხვავებული ხასიათით გამოირჩევა ***ანანურის ტაძრის (XIIIს)*** ფასადები (სურ.30.1,2,3,4,5). ისინი ახლებურადაა გადაწყვეტილი ტრადიციული ელემენტების გამოყენებით, სადაც მკვლევართა მოსაზრებით იგრძნობა მხატვრული გემოვნების დაქვეითება. მიუხედავად ამისა ტაძრის ფასადებზე მკვეთრადაა გამოსახული ქრისტიანობის სომბოლო ჯვარი. გამოირჩევა აღმოსავლეთ ფასადი, სადაც დიდი დეკორატიული თაღის ქვეშ სამი ჯვრის კომპოზიციაა

გამოსახული. ჯვრის ფორმები, მათი ელემენტები ძველი რეპერტუარიდანაა აღებული, მაგრამ შეინიშნება ზოგიერთი მათგანის ინდივიდუალური გადაწყვეტა.

აღსანიშნავია ფასადებზე ჯვრის გამოსახულებასთან მოთავსებული მცენარეთა და ცხოველთა რელიეფები, რომლებიც გარკვეული სიუჟეტის ფორმას ანიჭებენ კომპოზიციას. ტაძრის სამხრეთ ფასადის, სარკმლის მოჩარჩოების დეკორში გამოსახულია სვასტიკა (სურ. 30.6).

ერთერთი საინტერესო ძეგლია ფასადების გაფორმების მხრივ ***ბარაკონის ეკლესია (XVIIIს).*** კომპოზიციები მართალია არ გამოირჩევა თავისი მხატვრულობით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის საფასადო ელემენტების (სარკმლები, ნიშები, ჯვრები და სხვა) კონფიგურაციაში იკითხება წარსულის დეკორატიული მოტივების მრავალი ნიუანსი. გამოვყობთ ტაძრის აღმოავლეთ ფასადს (სურ.30.17) ფასადზე მკვეთრად ისახება ცენტრალური, ვერტიკალური, ორნამენტული ღერძი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჯვრის ცენტრალურ და წყვილ სარკმელებსაც. დიდი ჯვარი სწორმკლავაა და ორნამენტირებული. მას შემოვლებული აქვს გრეხილი ლილვი, რომელიც სამყურა ფორმებს ქმნის მკლავების დაბოლოებებზე. ქვედა მკლავი დაკავშირებულია წრიული ფორმის ორნამენტთან. დიდი ჯვრის ქვემოთ გამოსახული მცირე ზომის ჯვრები, თავისებური გამოხმაურებაა ანანურის აღმოსავლეთ ფასადის სამი ჯვრის კომპოზიციისა.

ჯვრების სიმრავლით გამოირჩევა ტაძრის დასავლეთი ფასადი (სურ.30.8) შესასვლელის ჩრდილო და სამხრეთ მხრიდან ერთნაირი ტოლმკლავა ჯვრებია განლაგებული სამყურა დაბოლოებებით. მათ ზემოთ წყვილ სარკმელთა და კარების პორტალს შორის არის პატარა ჯვრები მცენარეული ორნამენტით დეკორირებული. ჯვრების გრაფიკული ფორმები მიუხედავათ მათი მკლავის სამყურა დაბოლოებებისა განსხვავებულია.

შესწავლილი მასალის საფუძველზე წარმოდგენილია საქართველოს ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებზე არსებული ჯვრის და სხვადასხვა ორნამენტულ-დეკორატიული კომპოზიციები.

მრავალფეროვან მასალაში იკვეთება ხუროთმოძღვრების ადრეულ, გარდამავალ და განვითარებულ პერიოდებში შექმნილი ჯვრების ფორმები და ხასიათი, მათი ნაგებობების საერთო კომპოზიციასთან და ცალკეულ ელემენტებთან დამოკიდებულება. როგორც ვნახეთ, ჯვარი სხვადასხვა ფორმით უძველესი დროიდანვე ძირითადად გამოისახებოდა ფასადებზე, სარკმელების და კარების თავზე, ტიმპანებზე.

ჯვრის ერთ-ერთი პირველი და მეტად მნიშვნელოვანი გამოსახულება, რომელიც გვხვდება ხუროთმოძღვრების საწყისი პერიოდის ძეგლებზე «ბოლნური ჯვარია". იგი გახდა ამოსავალი სიმბოლური ფორმა, რომლის სხავდასხვა ვარიანტები აისახა ტაძართა ფასადებზე და აგრეთვე ქვაჯვრებზე, ქვასვეტებზე. მისი ფორმა და კომპოზიცია ნათლად მიუთითებს ჯვრის წარმომავლობის (ჯერ კიდევ შეუსწავლელ) უძველეს ფესვებზე. საინტერესოა რომ იგი არ გვხდება წინა წრისტიანული პერიოდების ხელოვნების ნიმუშებში), მაგრამ «ბოლნური ჯვრის" გავრცელების არეალი, საქართველოში ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში, უფრო ფართო იყო ვიდრე სწორმკლავიანი ბერძნული ან ლათინური ჯვრებისა.

შემდგომში იქმნება «ბოლნური ჯვრის» სხვადასხვა ვარიანტები, მსგავსი ფორმებით და სტრუქტურით. იცვლებოდა მისი პირვანდელი გამოსახულება და ყალიბდებოდა განსხვავებული ფორმები, რომლებიც აისახებოდნენ, როგორც საკულტო ძეგლებზე, ქვაჯვარებზე ასევე დეკორატიულ ხელოვნების ნიმუშებზეც.

აღსანიშნავია, რომ ჯვრის ფორმათა განვითარების გზაზე შეინიშნება აგრეთვე წინაქრისტიანული დროის ჯვრების ასახვა ტაძართა ფასადებზე. კერძოდ, გვხვდება უძველესი მბრუნავი ჯვარი – სვასტიკა, რომელიც არის ქართულ ტაძართა ორნამენტულ დეკორში.

ტაძრის ფასადებზე ჯვრის თავისუფალ გამოსახულებასთან ერთად არსბობს მცენარეულ კომპოზიციებში ჩართული ჯვარი, რომელთაც ქრისტიანობაში ეწოდებოდა «განედლებული ჯვარი», მას შემდგომში ენაცვლება უკვე «აყვავებული ჯვარი» და ორნამენტით დეკორირებული ჯვრები, რაც დამახასიათებელია გარდამავალი და განვითარებული პერიოდის ტაძრებისათვის. აღნიშნულ პერიოდში ჯვრების დეკორირება და მათი კომპოზიციები გრაფიკულ აგებებს ეყრდნობა. იქმნება გემოვნებით შედგენილი კომპოზიციები, სადაც გამოკვეთილად ცენტრალური ადგილი უკავიათ სწორმკლავა მონუმენტურ ჯვრებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჯვრის ამაღლების გამოსახულებათა კომპოზიციების სხვადასხვა ვარიანტებით არსებობა ქართულ ტაძრებზე ჯერ კიდევ ხუროთმოძღვრების ადრეული პერიოდიდან. ამ თემამ ტაძრის შესასვლელის ტიმპანიდან დაიწყო არსებობა და შემდგომში ის გუმბათის დეკორშიც გადადის.

საშუალო საუკუნეების კლასიკური ხუროთმოძღვრული ძეგლების დეკორისათვის დამახასიათებელი იყო, რომ იგი ორგანულ ერთიანობაში იყო შენობის სტრუქტურულ დანაწევრებასთან, თუმცა ამავე დროს დამოუკიდებელი მხატვრული ინტერესი და მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ნაწარმოების მხატვრულობის ამსახველს. ეს მოვლენა შეინიშნებოდა მთელ საქართველოში თუმცა არათანასწორი გამოვლინებით.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ გამოიყოს სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის ორნამენტული კომპოზიცია, რომელიც გადადიოდა შემდგომ საუკუნეებში და იქმნებოდა მისი სხვადასხვა ვარიანტები. ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის პარალელურად აღმოცენებულმა წყვილი სარკმელებისა და ჯვრის ერთიანმა კომპოზიციამ, რომელსაც იყენებენ, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების ასევე გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებზეც.

მაღალოსტატურად და დიდი გემოვნებით შედგენილ ჯვრებთან ერთად გვხვდება აგრეთვე დაბალი მხატვრული ღირებულების ჯვრებიც, მაგრამ ყველა ტაძრის ფასადებზე როგორც წესი, უნდა ყოფილიყო ასახული ჯვარი, როგორც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო.

განხილულმა მასალამ მოგვცა საშუალება რამდენადმე სრულყოფილად კომპლექსურად შეგვესწავლა და წარმოგვედგინა ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ჯვრის თემის მნიშვნელობა, მისი თეოლოგიურ-სარწმუნოებრივი და წამყვანი როლი ძეგლების, როგორც გეგმარებით-მოცულობით კომპოზიციების ფორმირების საქმეში, ასევე მათ მხატვრულ-დეკორატიულ გადაწყვეტაში.



1,2,3 ბერძნული, ყოვლისშემძლე იერუსალიმის და იერუსალიმის ჯვრები. 4. ჯვარი სამყურა დაბოლოებით. 5,6,7 ტაუ, ანქს და ლათინური ჯვრები. 8,9 მბრუნავი ჯვრები (სვასტიკა). 10,11 კოპტის და წვეთოვანი ჯვრები. 12,13,14,15 მალტის ჯვრები. 16,17 ხეთური და მიკენური კომპოზიციები. 18,19,20,21 ჯვრები მორგანის მასალებიდან. 22,23,24,25,26 აზიური და ირანული ჯვრის გამოსახულებიანი ნივთები (ძვ. წ.Vს). 31,32 აზიური თიხის საბეჭდები (ძვ.წ.IV-IIIსს). 33,34,35 ტრიპოლიელთა ოთხნაწილიანი კომპოზიციები (ძვ.წ.IV-IIIსს).

სურ.1



1,2,3,4 ჯვრები წონას და მღვიმევის ქვაბულიდან (ჭიათურა, ზედა პალეოლითი). 5,6,7,8 ჯვრები თიხის ჭურჭელზე, ოქროს თასზე (თრიალეთი ძვ.წ.IIს) და მათი გრაფიკული გამოსახულება. 9,10 ჯვარი ყოფით ნივთზე (უფლისციხე) და მისი გრაფიკული გამოსახულება. 11,12 სვასტიკა საბეჭდავზე და ბრტყელ ზედაპირზე (უფლისციხე). 13 სვასტიკა ყელსაბამზე (ვანი ძვ.წ. VIს). 14,15,16,17 ხევსურული ორნამენტები.

სურ.2



1. დედაბოძი. 2. „ქ“-ს გამოსახულებები. 3. წმ. ნინოს ჯვარი. 4,5 ქართულ-სასანური დრამა (VIს) და ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 6,7 დ. აღმაშენებლის მონეტა (1123წ.) და ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 8. დავით III კურაპალატის მონეტა (1001წ.) 9,10 კვადრიფილი ჯვარცმის გამოსახულებით (ხახული კარედი) და კვადრიფილის გრაფიკული გამოსახულება. 11,12 დეკორატიული ჯვარი, ცენტრალურ ფირფიტაზე წმ. პავლეს გამოსახულებით (ხახულის კარედი), ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 13. კაცხის მაცხოვრის ხატის პატარა ჯვარი (XIს).

სურ.3



1,2 მარტვილის პანაგია და მისი გრაფიკული გამოსახულება (Xს). 3,4 სანაწილე ჯვარი მარტვილიდან (IX- Xსს) და მისი გრაფიკული გამოსახულება. 5. საწინამძღვრო ჯვარი მარტვილიდან (XIIს). 6,7 ჯვრები უსანეთას ქვასვეტზე (VIს). 8. ბოლნისის ქვაჯვარა (VI – VIIსს). 9,10,11,12 ქვასვეტი მზეთამზიდან და მათზე არსებული ჯვრების გრაფიკული გამოსახულებები. 13. ყაჩაღანის ქვაჯვარა (მარნეულიVIIს).

სურ.4







1. უძველესი საცხოვრებელი. გეგმა. ჭრილი. 2. უფლისციხე (I-IIსს). ტაძრის გეგმა. 3. დედოფლის მინდორი (ძვ.წ. I და ახ.წ. I სს). ტაძრების კომპლექსის გეგმა. 4

სურ.5



1. ჭერემი (Vს). 2. ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია (Vს). 3. მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია (VIს). 4. ერელაანთ საყდარი (V-VIსს). 5. იყალთოს პატარა ეკლესია (VIს.) 6. იდლეთი (VIს). 7.შიომღვიმე (VIს).

სურ.6



1. სუხბეჩი (V-VIსს). 2. ძველი გავაზი (VIს). 3. ნინოწმინდა (VIს). 4. მცხეთის ჯვარი (VI-VIIსს). 5. ატენის სიონი (VIIს). 6. ბანა (VIIს).

სურ.7



1. წრომი (VII ს)

2.კუმურდო (X ს)

3.ოშკი (X ს)

სურ.8



1. ბაგრატი (XI ს)



2. ალავერდი (XI ს)



3. სვეტიცხოველი (XI ს)

სურ.9



1. სამთავისი (XI ს)



2. იკორთა (XI ს)



3. ბეთანია (XII–XIII სს)

სურ.10



1. ქვათახევი (XII–XII სს)



2. ფიტარეთი (XIII ს)



3. გრემი (XVI ს)

სურ.11



1. ზეგაანის
წმ. მარინეს
ეკლესია
(V ს)



2..მცხეთის ჯვრის
მცირე ეკლესია
(VI ს)

3. იდლეთი (VI ს)



4.ძველი გავაზი (VI ს)



5.ნინოწმინდა (VI ს)

სურ. 12



1. მცხეთის ჯვარი (VI – VII ს)



2. მარტვილი (VII ს)



3. წრომი (VIIს)

სურ.13



1.ოშკი (XI ს)



2.ალავერდი(XI ს)



სვეტიცხოველი (XI ს)



4.სამთავისი (XI ს)

სურ.14



1. ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია (Vს). 2. მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია (VIს). 3. მცხეთის ჯვარი (V I -VI I სს).

სურ. 15



ბოლნისის სიონი (V ს). 1.2 ბოლნური ჯვარი წარწერაში. მედალიონში. 3.4. მათი აგების გრაფიკული გამოსახულებები. 5.6. ჯვარი ხარის რქებს შუა. მისი გრაფიკული გამოსახულება 7.8. ჯვარი მცენარეულ ორნამენტში და მისი გრაფიკული გამოსახულება. 9.10. სამი ჯვრის კომპოზიცია და გრაფიკული გამოსახულება. 11.ჯვარი, გრაფიკული გამოსახულება. 12. აკვანება (V – VII სს). ჯვარი მცენარეულ ორნამენტში.

სურ.16

1



3

2



4

5



6



7



10

8



9



11

1.2. აკაურთა (V – VII სს). ჯვარი მცენარეულ ორნამენტში. 3.4. თეთრიწყარო (V–VII სს). ჯვრის ამაღლება, ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 5.ბოლნური ჯვარი. 6.7.ურბნისი (V– VI სს). დასავლეთის ფასადი და დიდი ჯვრის გაფიკული გამოსახულება. 8.9. ერელაანთ საყდარი (V ს). სამხრეთ ფასადის ჯვარი. 10.11. საბუე. წმ. შიოს ეკლესიის (VI ს) ჯვარი (გრაფიკული გამოსახულება). ნათლისმცემლის ეკლესია (VI–VII სს) ჯვარი (გრაფიკული გამოსახულება).

სურ. 17



1.2. ოლთისი (VI– VII სს). აღმოსავლეთი ფასადი ჯვარი და მისი გრაფიკული გმოსახულება. 3.4.5. ნინოწმინდა (VI ს). რკალებით და წრეწირებით შედგენილი ჯვრული კომპოზიციები (გრაფიკული გამოსახულებები). 6.7. მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია (VI ს). ჯვარი და მისი გრაფიკული გამოსახულება. 8.9. მცხეთის ჯვარი (VI–VII სს). სამხრეთის ფასადი, ჯვრის ამღლება. ჯვრული კომპოზიცია (გრაფიკული გამოსახულება). 10.11. მცხეთის ჯვარი. კომპოზიცია ჯვრებით, ჯვრების გრაფიკული გამოსაულება.

სურ.18



1.2. ზღუდერი (VI – VII სს).აღმოსავლეთი ფასადის ჯვარი და მისი დეტალის გრაფიკული გამოსახულება. 3.4.5. წრომი (VII ს). სამხრეთი ფასადის და დასავლეთ კარების ტიმპანის ჯვრები. 6.7.8. სამწევრისი (VII ს). დეკორატიული ჯვარი და მისი გრაფიკული გამოსახულება, 9.სამწევრისი დეკორატიული ჯვარი.10. სამწევრისი. გუმბათის რელიეფური ჯვარი. 11.12. ზედაზენი (VII – IX სს). აღმოსავლეთ ფასადის ჯვარი და მისი გრაფიკული გამოსახულება. 13.14.15. ხირსის სტეფანწმინდა (VI – IX სს). სამხრეთ ფასადის ჯვრების გრაფიკული გამოსახულებები. 16.17. არმაზი (VIII – IX სს). კარების ტიმპანის და აღმოსავლეთი ფასადის ჯვრების გრაფიკული გამოსახულებები.

სურ.19



1.2. გურჯაანის ყველაწმინდა (VII – IX სს). აღმოსავლეთი ფასადი, აღმოსავლეთი ფასადის ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 3.4. იშხანი (IX –X სს). აღმოსავლეთი ფასადი და მისი დეკორატიული ჯვარი. 5.6. იშხანი. სამხრეთ ფასადი და მისი დეკორატიული ჯვარი. 7.8.9.10.11.12. პარხალი (X ს) დეკორატიული ჯვრები. 1.2.3.

სურ.20



1



2



3



4



5



6

7

1,2,3 კუმურდო (Xს). აღმოსავლეთი ფასადი და მისი დეკორატიული ჯვრები. 4.ხცისის (Xს). 5. ზემო სკრის (Xს). 6. დისევის (Xს), 7. ზემო კრიხის (X-XIსს) ეკლესიათა დეკორატიული ჯვრები.

სურ.21



1.გუმბათის (X-XIსს), 2,3 ბედიის (X-XIსს), 4. დარკვეთის (X-XIსს), 5. დიღომის (X-XIIIსს), 6. პატარა ონის (XIს), 7. დიდი გარდატეხის (X-XIIIსს), 8. იკვის (XIს), 9. ხახულის ტაძრის (X-XIსს), სამხრეთი შესასვლელის ტიმპანის ჯვრის ამაღლების კომპოზიცია, 10. ფოკას წმინდა ნინოს ეკლესია (XIს). ორნამენტული მოტივი

სურ.22



1.2. ალავერდის ტაძარი (XI ს), აღმოსავლეთი ფასადი და მისი დეკორატიული ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 3.4. სვეტიცხოველი (XI ს), დასავლეთი ფასადი სამხრეთის სარკმლის დეკორატიული ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 5.6. სვეტიცხოველი. დასავლეთის ფასადის ცენტრალური სარკმლის ჯვარი და მისი გრაფიკული გამოსახულება. 7. სვეტიცხოველი. სიუჟეტური კომპოზიცია გუმბათის ყელზე. 8. სვეტიცხოველი. ორნამენტული მოტივი.

სურ. 23



1.2.სამთავისის ტაძარი (XI ს) აღმოსავლეთი ფასადი და დიდი დეკორატიული ჯვარი. 3.4. ნიკორწმინდა (XI ს), აღმოსავლეთი ფასადი და დეკორატიული ჯვარი. 5. ნიკორწმინდა, კარიბჭის ტიმპანი– ჯვრის ამაღლება. 6.კაცხი (XI ს), ჯვრის ამაღლების კომპოზიცია. 7.ნიკორწმინდა, სამხრეთ კარიბჭის კამარის ჯვრული კომპოზიცია.

სურ.24



1.2.იკორთა (XII ს), აღმოსავლეთი ფასადი და დეკორატიული ჯვარი. 3.4. ბეთანია (XII–XIII სს). აღმოსავლეთი ფასადი და დეკორატიული ჯვარი. 5,6,7. ბეთანია. სამხრეთ ფასადი და მისი დეკორატიული ჯვრები. 8,9,10.ქვათახევი (XII–XIII სს). აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთის ფასადების დეკორატიული ჯვრები.

სურ.25



1



2



3



4



5

1.2. ფიტარეთის (XIIIს) აღმოსავლეთი ფასადი და დეკორატიული ჯვარი. 3,4 სამხრეთ ფასადი და მისი დეკორატიული ჯვარი. 5. დასავლეთის ფასადი დეკორატიული ჯვარით.

სურ.26



1.წულრუღაშენი (XIIIს). დასავლეთის ფასადი. 2. მეტეხის ტაძარი (XII–XIIIსს). აღმოსავლეთი ფასადი. 3.4.5. ახტალა (XIIIს), აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთის ფასადები. 6.7.8.9. ახტალა, როზეტები. საფარა (XIIIს). ჩრ. ფასადი, როზეტები. 1 კოჯრის კაბენი (XIIIს). აღმოსავლეთი ფასადი.

სურ. 27



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

1,2,3,4, სოფელ ერთაწმინდის ეკლესიის (VIII ს) და 5,6,7,8. სოფელ მეტეხის ეკლესიის (XIII ს) აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ ფასადების დეკორატიული ჯვრები. 9.10. ზარზმა (XIV ს) აღმოსავლეთი ფასადი და დიდი დეკორატიული ჯვარი.

სურ.28



1,2,3,4. გერგეტის სამება (XIV ს). აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების ჯვრები. 5.შუამთის ეკლესია (XVI ს). დეკორატიული ჯვრის გრაფიკული გამოსახულება. 6.7. გრემი (XVI ს) აღმოსავლეთი ფასადი და დეკორატიული ჯვარი. 8.გრემი. სამხრეთ ფასადის დიდი დეკორატიული ჯვრის გრაფიკული გამოსახულება.

სურ.29



1.2.ანანურის ტაძარი (XVII ს). აღმოსავლეთი ფასადი და მისი დეკორატიული ჯვრები. 3,4,5.ანანური. დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადების დეკორატიული ჯვრები. 6.ანანური.ორნამენტული მოტივი. 7.ბარაკონის ტაძარი (XVIII ს) აღმოსავლეთი ფასადის კომპოზიცია. 8.ბარაკონი, დასავლეთი ფასადის დეკორატიული ჯვარი.

სურ.30

3. დასკვნა

სადისერტაციო თემის დამუშავებით ერთი მთლიანი განვითარების სახით გამოვლინდა ჯვირს თემა ქართულ ხელოვნებაში, რომელსაც საფუძვლად ედო ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი. ეს თემა ქრისტიანულ საქართველოში გახდა წარმმართველი ძალა სახვითი, გამოყენებითი დეკორატიულ და ხუროთმოძღვრულ ხელოვნებაში, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად ვითარდეოდნენ. ყველაზე მძლავრად კი ჯვრის თემა გამოვლინდა ქრისტიანულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში.

ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობების კვლევების ანალიზმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ჯვრის თემა იყო ფუძემდებლური მთელი მისი განვითარების გზაზე, რაც მიუთითებს ქრისტიანული რელიგიის სიძლიერეზე.

ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლების ჩასახვის საწყის პერიოდშივე (IV–VI სს) საფუძვლად დაედო ჯვრული კომპოზიციის მქონე გეგმები, რომლებიც წარიმართა ორი მიმართულებით: ერთკონქიანი (ზეგაანის წმ.მარინეს ეკლესია (V ს), იდლეთი (VI ს), ერელაანთ საყდარი (V–VI სს), შიომღვიმის ეკლესია (VI ს)) და ტეტრაკონქები (სუხბეჩი (V–VI სს), ძვ. გავაზი (VI ს), ნინოწმინდა (VI ს)).

ამავე პერიოდში გამოვლინდა ჯვრული გეგმარების დამახასიათებელი სახე მისი დასავლეთ–აღმოსავლეთი ღერძის წაგრძელება, რაც შემდგომში უფრო მკვეთრად იჩენს თავს.

დასაწყისში უპირატესად ვითარდება ერთკონქიანი ძეგლები, რომლებსაც ცვლიან ტეტრაკონქული ჯვრული კომპოზიციები, მაგრამ შემდგომში, განვითარებულ (X ს მეორე ნახევრიდან XIII–XIV სს) და გვიანი ფეოდალური ხანის ძეგლებიც ისევ უბრუნდებიან ერთკონქიან სტრუქტურას.

მიუხედავად ჯვრის თემის საერთო საფუძვლისა გეგმარებითი ჯვრის გრაფიკული ფორმა ცვალებადია. იგი დამოკიდებულია ნაგებობის როგორც კომპოზიციურ ასევე კონსტრუქციული სტრუქტურის ცვლილებებზე. ასე მაგალითად, თუ საწყის პერიოდში ჯვრული კომპოზიცია ფორმირდებოდა ძეგლთა კედლური სტრუქტურით, შემდეგ უკვე წრომში გუმბათი დაეყრდნო ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს და შესაბამისად ჯვრული სივრცე ჩამოყალიბდა ოთხი გუმბათქვეშა ბურჯით.

გარდამავალი პერიოდის (VIII–X სს) ხუროთმოძღვრებაში შიდა სივრცის გაზრდის მიზნით გუმბათოვან და ბაზილიკურ ნაგებობათა შერწყმით ვლინდება გრანდიოზული ჯვრული გეგმარების მქონე ტაძართა

უპირატესი განვითარება, სადაც გამოირჩევა ტრიკონქული გეგმის მქონე ტაო–კლარჯეთის ძეგლები.

ჯვრული გეგემარებითი სტრუქტურის ცვლილებები უფრო ნათლად აისახა კათედრალებში: ბაგრატი (XI ს), ალავერდი (XI ს), სვეტიცხოველი (XI ს). მათი გეგმარება იქმნება ისევ საერთო ჯვრული სტრუქტურის საფუძველზე, მაგრამ თუ ბაგრატის ტაძარში ისევ ტრიკონქულ შიდა და გარე ჯვრულ კომპოზიცია ვხედავთ, ალავერდში ჯვრის ეს ფორმა რჩება მხოლოდ შიდა სივრცეში, ხოლო სვეტიცხოველში საერთოდ ჩამოყალიბდა ერთკონქიანი კომპოზიცია. აქაც გრძელდება ისევ გრანდიოზული სივრცეების შექმნა, რითაც აისახა ამ ძეგლების საერთო ეროვნული მნიშვნელობა.

შემდგომი პერიოდი ტაძრებში ხდება კომპოზიციურ – კონსტრუქციულ სტრუქტურათა ცვლილებები. აღარ არის საჭირო კათედრალების სიდიდის ნაგებობათა შექმნა. იცვლება კონსტრუქციული სტუქტურაც – გუმბათქვეშა ორი აღმოსავლეთის ბურჯი უთავსდება საკურთხევლის კედლის შვერილებს, მაგრამ არ იცვლება ნაგებობის გეგმარებით – მოცულობითი სტრუქტურის ძირითადი მიმართულება – ჯვრის თემა. თუმცა ის გარკვეულ ცვლილებებს მაინც განიცდის. აქ გეგმარებითი ჯვრის სტრუქტურა უბრუნდება საწყისი პერიოდის ძეგლების მაგალითს – მკლავების სიდიდეები ერთმანეთს უტოლდება.

ჯვარი უდევთ საფუძვლად გვიანი ფეოდალური ხანის ცენტრალურ – გუმბათოვან ძეგლებს გერგეტის სამება (XIVს), გრემის მთავარანგელოზი (XVI ს), ახალი შუამთა (XVI ს), ანანური (XVIIს), ბარაკონი (XVIIIს) და სხვა), რომელიც მისდევს სამთავისის განვითარების საერთო ტენდენციებს.

ამრიგად, ჯვრის თემა მთელი თავისი სრულყოფილებით იყო გამოვლენილი ტაძართა გეგმარებით – სივრცით კომპოზიციაში. ამასთან ზოგი ტაძრისთვის სივრცითი ჯვრის ფორმა გარე მასებში მიწის დონიდანვე ისახება (თავისუფალი ჯვრის ტიპი), ხოლო ზოგიერთისთვის ჯვარი იკვეთება ნაგებობის ზედა ნაწილში (სახურავის დონეზე), (ჩახაზული ჯვრის ტიპი).

ჯვრის თემის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა ტაძართა ფასადებზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებების არსებობა. ფასადთა დეკორატიული ჯვრები ისევე როგორც გეგმარებით – მოცულობითი ჯვრები, განიცდიდა ფორმათა ცვლილებებს. ხშირად ვხედავთ, რომ ქართულ ძეგლებზე გამოსახულ ჯვრებს აქვთ პარალელები უძველეს და ქრისტიანული პერიოდის სახვითი და გამოყენებითი დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებზე არსებულ ჯვრებთან.

განხილული მასალით წარმოჩინდა ქართული ქრისტიანულ ხელოვნების ნაწარმოებებში და მათ შორის საკულტო ხუროთმოძღვრებაში ჯვრის თემის უდიდესი, თეოლოგიურ-სარწმუნოებრივ და მიზანმიმართული ზეგავლენა. უფრო ნათლად გამოვლინდა ჯვრის თემის მნიშვნელობა ცენტრალურ – გუმბათოვან ტაძართა გეგმარებით – მოცულობითი სტრუქტურის და ასევე ტაძართა მხატვრულ – დეკორატიული გადაწყვეტის საქმეში.

ლიტერატურის ნუსხა

1. **ი. სურგულაძე** ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი. სამშობლო 1993 წ. გვ. 3-210
2. Геометрические симболы «dB log archive» формы креста http://www.pravmir.ru/article 1347. html **გადამოწმებულია 17.01. 2011**
3. **Кузнецов В.П.** Историа развития креста. Москва «Жизнь вечная». 1997 г. **kuznecov http://www.icxc nika.ru/texts/books/kuznecov/ispristcr/content. გადამოწმებულია 17.01. 2011**
4. **ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია** ქართული ხალხური ორნამენტი ხევსურული. თბილისი. მეცნ აკადემიის გამომცემლობა, 1939 წ. გვ. 1-37
5. **Лисицына Г. Массон В. Сарианида В. Хлопин И.** Итоги археологического и палеографического изучения геоксюрского оазиса. Москва С.А. I Изд. «Наука». 1965 г. стр. 9-23.
6. **Массон В.** Средная Азия и древный восток. Москва-Ленинград 1964 г. изд. «Наука». 1964г. стр. 356-439.
7. **ნ. ჯაფარიძე** ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, თბილისი. გამომცემლობა ხელოვნება. 1981 წ. გვ.5-104
8. **Рыбаков Б.** Космогония и Мифология земледельцев энеолита. . С.А. №1 1965 г. Изд. «Наука». стр. 24-45
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია თბ. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი 1987 წ. ტ. 11.
10. **კლდიაშვილი ა. იზორია მ.** ხელოვნების ისტორია მოზარდთათვის. საქართველო უძველესიდან გვიანბრინჯაო ადრე რკინის ხანამდე, ტ. I, თბილისი. გამომცემლობა «ლოგოს პრესი». 2001 წ. გვ.4-7.
11. **სანიკიძე თ.** უფლისციხე. თბილისი. გამომც. საბჭოთა საქართველო. 1987წ.

12. **ხახუტაშვილი დ.** უფლისციხე. თბილისი. გამომც. მეცნიერება 1964 წ.

13. **ო. ლორთქიფანიძე** ძველი კოლხეთის კულტურა. თბილისი გამომცემლობა ხელოვნება. 1972 წ. გვ. 5-75..

14. **ვ. ბარდაველიძე** ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი. მეცნ. აკადემიის გამოცემლობა 1953 წ. გვ. 74-83

15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი 1984 წ. ტ.7.

16. **ქვრივიშვილი თ.** სვეტიცხოვლის მისტერია თბილისი გამომცემლობა «ნეკერი». 2010წ. გვ. 309-341

17. **კაპანაძე დ**. მონეტები და ისტორიული ფაქტები. თბილისი. ძეგლის მეგობარი 23 გამომც. საბჭ. საქართველო 1970 წ. გვ.8-10

18. მჭედლიძე თ. საქართველოს სიბოლიკა თბილისი. 2009 წ. გვ.203-206.

19. **ხუსკივაძე ლ.** შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ალბომი თბილისი. 1984 წ.

20. **Хускивадзе Л.** Грузинские Эмали. Тбилиси. изд. Мецниереба 1981г.

21. **თ. საყვარელიძე** XII ს. ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან თბილისი. მეცნიერება. 1980 წ. 3-68 გვ.

22. **Мачабели К.** Каменные кресты Грузии Изд. Тбилиси. Университета 1998 г.

23. **Чубинашвили Н.** Рельф «Вознесение креста» на каменном кресте из селения Качигани. თბილისი საქ. მეცნ. აკადემია. ქართული ხელოვნების ინტიტუტის შრომები ტ.6. 1963 წ. გვ. 9-27

24. **ჩუბინაშვილი გ.** ქართული ხელოვნების ისტორია გამომცემლობა ტფილისის სახელგამი 1936 წ. ტ.I გვ. 21-218.

25. **ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი საქ. მეცნიერებათა აკადემია 1957წ. გვ. 134-135.

26. **აბრამიშვილი გ. ზაქარაია პ. ციციშვილი ი.** ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2000წ. გვ. 76-196

27. **ციციშვილი ი.** საქართველოს არქიტექტურის ისტორია. თბილისი. ტექნიკა და შრომა. 1955წ. გვ.5-110

28. **ყიფიანი გ.** კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბილისი. საქ. მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, მცხეთის არქ. ინსტიტუტი. შ. ამირანაშვილის სახ. საქ. ხელოვნების მუზეუმი. 2000წ. გვ.84-118

29. **Агабабян Р.** Композиция купольных сооружении Грузии и Армении, Ереван. изд. Армгосиздат 1950 г. стр. 9-116.

30. **ჩუბინაშვილი მ.** მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი. თბილისი. უნივერსიტეტის მოამბე. 1922-23წ. გვ.22-65.

31. **მოსულიშვილი ჰ.** ქართული ძეგლის სტრუქტურა. თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1983წ. გვ. 5-144

32. **ბერიძე ვ.** ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი. ხელოვნება. 1974წ. გვ. 7-200

33. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ.9. თბილისი 1985წ.

34. **Закараиа П.** Зодчество Тао-Кларджети. Тбилиси. изд. Тбилиский Университет 1992г. стр. 5-189

35. **Туманишвили Дм.** Тема «Свободного креста» В средновековой Грузинской Архитектуре. Тбилиси А.К. Наук Груз. ССР Институт истории Груз. искуства им. Г. Чубинашвили. 1977г. стр. 1-10

36. **Шмерлинг Р. Барнавели Т.** Храм Нино-Цминда на горе Тхоти. Тбилиси Ак. Груз. ССР Вестник отделения общественных наук №6 1963г. стр. 155-167.

37. **Беридзе В.** Некоторые аспекти Грузинской купольной архитектури со второй половины X в. до конца XIIIв. Тбилиси. изд. Мецниереба 1976г. стр. 5-49

38. **Чубинашвили Г.** Болнискиий сион. თბილისი აკად. ნ. მარის სახელობის ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე ტ. IX 1940წ. გვ.122-192

39. **რჩეულიშვილი ლ.** ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი. ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები 2. საქ. მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. 1948წ. გვ.27-46.

40. **შმერლინგი რ.** ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. თბილისი. სახელმწიფო გამომცემლობა. 1954წ. გვ.7-96.

41. **Чубинашвили Н. Шмерлинг Р.** Храми в древних селенях Триалети – Олтиси и Тетрицкаро. თბილისი. ქართული ხელოვნება. ქართ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები 2. საქ. მეცნ. აკადემია. 1948წ. გვ. 47-64

42. **თაყაიშვილი ე.** ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა1924წ.

43. **Чубинашвили Г.** Вопросы истории искуства. Тбилиси. изд. Хеловнеба. 1970г. Т.1. стр. 3-320

44. **Чубинашвили Г.** Архитектура Кахети. Албом. Тбилиси. изд. Акад. Наук Груз. ССР. 1956г. стр. 1-473

45. **Чубинашвили Г**. Памятники типа Джвари. Тбилиси изд. Акад. Наук Груз. ССР. 1948г. стр. 3-197.

46. **ამირანაშვილი შ.** ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1944წ.გვ. 1-201

47. **მოსულიშვილი ჰ.** ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. თბილისი. სტუ. არქიტექტურის ინსტიტუტი. აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო აკადემია. 2004წ. გვ. 3-136

48. **ზაქარაია პ.** ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა. ტ.3. თბილისი. ხელოვნება. 1981წ. გვ. 9-291

49. **თევზაია მ.** ქართული ორნამენტი ISB 99940-0-613-4

50. საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვის აღწერილობა. გამომცემლობა ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 1990წ. ტ.5.

51. **მიბჩუანი თ. ქაფიანიძე ზ.** შუმერი კაცობრიობის პირველი ანბანი; შუმერულ-ქართული პარალელები. თბილისი. გამომცემლობა. ფორმა. 2002წ. გვ. 195-493.

52. **ბეგიაშვილი მ.** სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი. თბილისი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი 2 (25). 2006წ. გვ.307-309.

53. Памятники Архитектуры Грузии. Ленинград. изд.»Аврора». 1973г.

54. **ალადაშვილი ნ.** ნიკორწმინდის რელიეფები. თბილისი საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა. 1957წ.

55. **ზაქარაია პ.** ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს. თბილისი. განათლება. 1990წ. ტ.1. გვ.1-260.

56. **ზაქარაია პ.** ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა XII-XIII სს. თბილისი. ხელოვნება. 1978წ. ტ.2. გვ. 9-240.

57. **ბერიძე ვ.** XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება. თბილისი. გამომცემლობა «კანდელი» 1994წ. გვ. 7-224.

58. **Беридзе В.** Грузинская Архитектура «Раннехристианского» времени (IV-VII вв.). Тбилиси. изд. «Мецниереба». 1974г. стр. 3-39

59. **Беридзе В.** Грузинская Архитектура переходного периода (середина VIIв. до. II половины X-го в.) Тбилиси. изд. А. Н. Груз. ССР. 1938г. стр.1-22.

60. **ჩუბინაშვილი გ., სევეროვი ნ.** ქართული არქიტექტურის გზები. ტფილისი. ტექნიკა და შრომა. 1936წ. გვ. 7-179.

61. **სუმბაძე ლ.** ქართული ხით ხუროთმოძღვრება. თბილისი. ხელოვნება. 1985წ. გვ. 5-38

62. **ჩუბინაშვილი გ.** ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი. თბილისი. «არილი». 1925წ. გვ. 107-126.

63. **Чубинашвили Г**. Архитектура Кахети – Текст. Тбилиси. изд. А. Н. Груз. ССР. 1959г. стр.1-65.

64. **ბერიძე ვ.** კახეთის ხუროთმოძღვრება. თბილისი. ჟურნალი «მნათობი», გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. 7. 1990წ. გვ.116-168

65. **Чубинашвили Г.** Пути развития Архитектуры в Кахети. Москва. изд. Восточной литератури. 1960г. стр. 1-9.

66. **Чубинашвили Г**. Из истории средновекового искуства Грузии. Москва. изд. Советский художник. 1990г. стр. 7-130.

67. **რჩეულიშვილი ლ.** ბოლნისი. თბილისი ენიმიკის მოამბე. 1938წ. ტ.III. გვ.311-376.

68. **ადამია ი.** საინგილო. ხალხური ხუროთმოძღვრება. თბილისი. გამომცემლობა «ხელოვნება» 1979წ. გვ.5-196.

69. **მეფისაშვილი რ. თუმანიშვილი დ.** ბანას ტაძარი. თბილისი გამომცემლობა მეცნიერება. გვ.5-74.

70. **სანიკიძე თ.** გერგეტი. თბილისი. მეცნიერება. 1975წ. გვ. 11-102.

71. **ყიფიანი გ.** სატაძრო თემატიკა ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებში. თბილისი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. 1998წ. გვ. 3-20

ნაშრომში გამოყენებული სურათების საძიებელი

სურ.1

1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12	ლიტ .2. გვ. 1,2,3,4,5,6,10
11,13,14,15	ლიტ. 3 გვ. 10,11
16,17,18,19,20,21	ლიტ 4. გვ. 15,16, სურ. 11,12,14,15
22,23	ლიტ 5. გვ. 15, ნახ. 3-ის 2,4
24,25,26,31,32	ლიტ. 6 გვ. 432, ნახ. 91-ის 1,8,13; გვ.357. ნახ. 67
27,28,29,30	ლიტ. 7 ტაბ. XXXVI
33,34,35	ლიტ 8. გვ.34 ნახ9-ის 5 და 6 გვ.32 ნახ.7-ის 23

სურ.2

1,2,3,4	ლიტ 10 გვ. 5 სურ. 5,7,8-ა,ბ
5,7	ლიტ. 7 ტაბ. XXXV და VI
9	ლიტ 11 სურ. 27
11,12	ლიტ 12 ტაბ XIII-ის 4 და 7
13	ლიტ. 13 სურ. 13
14,15,16,17	ლიტ. 4. ტაბ. V, XIII, XXVI, XXVII
6,8,10	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ. 3

1.	ლიტ. 1 გვ. 157. სურ. 132
2.	ლიტ. 9 გვ.440
3.	ლიტ. 16 გვ. 314, ნახ. 42
4,6	ლიტ. 17 სურ. 3,5
8	ლიტ 18 გვ.204
9,11,13	ლიტ. 19 გვ. 21, სურ. 1; გვ. 68 სურ.86 გვ. 24, სურ.6
5,7,10,12	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.4

1.	ლიტ. 19. გვ. 30 სურ. 15
3	ლიტ. 20. ტაბ II
5	ლიტ. 21 სურ.13
6,7	ლიტ. 22 გვ. 378. სურ. 10
8,13	ლიტ. 223 ტაბ. 5, ტაბ. 1
9,10	ლიტ 24 გვ. 216 სურ. 171-173
2,4,11,12	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.5

1.	ლიტ. 29. ტაბ. 2-ის 8
2.	ლიტ. 26. გვ. 264 სურ.35
3,4	ლიტ. 28. ტაბ. XLVIII, LXXVII-ის 7

სურ.6

1,2,3,4,5,6,7	ლიტ. 31. გვ. 25. ნახ. 1; გვ.27; ნახ.2; გვ.29, ნახ.3; გვ.4,ნახ.6; გვ.30, ნახ.4; გვ.32, ნახ.5
4.	ლიტ. 32 გვ. 100, სურ.34

სურ.7

1,	ლიტ. 34. გვ. 17. სურ.7
2,3,4,5	ლიტ. 31 გვ. 35;, ნახ.7; გვ.42, ნახ.9; გვ.43,47, ნახ.10ა,გ.
6	ლიტ. 29 და 32 გვ. 101 სურ. 83 და გვ.111, სურ.53

სურ.8

1,3	ლიტ. 31. გვ. 55. ნახ. 12; გვ.76,78 ნახ. 17ა,18
2	ლიტ. 32 გვ. 130, სურ.87,88

სურ.9

1,2,3	ლიტ. 31. გვ. 82,83 ნახ.20ა ,21; გვ.85,86, ნახ. 22ა,23; გვ.90,91, ნახ.24ა,25

სურ.10

1,2,3	ლიტ. 31. გვ.99, ნახ.27დ,ვ; გვ.110,111, ნახ. 30ა,გ; გვ.118,117, ნახ. 32 ა,გ.

სურ.11

1,2	ლიტ. 31. გვ. 114,115;ნახ.31ა,გ; გვ.121,122,ნახ.33ა,გ
3	ლიტ. 32 გვ. 173, სურ.136

სურ.12

1,2	ლიტ. 23. გვ. 31, სურ.9; გვ.63, სურ.42
3,4,5	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.13

1,2	ლიტ. 32. ილუსტრაცია 26; გვ.109,სურ.48
3	ლიტ.37 გვ.30 სურ.21-ის 1

სურ.14

1,2,3,4	ლიტ. 37.გვ.35, სურ25-ის 1,2; გვ.31. სურ.22-ის 2,3

სურ.15

1,2,3	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.16

1,5,9	ლიტ.23.გვ.42.სურ.26; გვ.44, სურ.28; გვ.46, სურ.31.
2,11	ლიტ. 38 გვ.182, სურ.110, გვ.187 სურ.114
7.	ლიტ. 40 გვ.27
12	ლიტ. 39 გვ. 27. სურ. 15
3,4,6,8,10	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.17

1.	ლიტ. 39. გვ. 33 სურ. 6
3	ლიტ. 41. გვ.63, სურ.33
5.	ლიტ. 40 გვ.31
6	ლიტ. 42 სურ.52
8	ლიტ. 44 ტაბ. 11-3, 9
10,11	ლიტ 44 გვ. 154 და 109
2,7,10	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.18

1.	ლიტ. 41. გვ. 51 სურ. 9
3	ლიტ. 44. გვ.161
6.	ლიტ. 45 გვ.41
8	ლიტ. 23 გვ.112,სურ.83
10	ლიტ 45 გვ. 29
4,5,9,11	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.19

1.	ლიტ. 39. გვ. 44 სურ. 26
3	ლიტ. 40. გვ.32
4,5	ლიტ. 23 გვ.163 სურ.118
6.9,10,16,17,18	ლიტ. 43 გვ.126,ტაბ.37-2,36-2; სურ.46-1, გვ.149,სურ.63-1
11	ლიტ. 44 ტაბ.46
2,7,8,12,13,14,15	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.20

1.	ლიტ. 46. გვ. 165
3,5,7,8,9,10,11	ლიტ. 34. სურ.14.გვ.30.სურ.118.სურ.113; სურ.112;სურ.37

4	ლიტ. 47 გვ.130 ნახ.82
6.	ძეგლთა დაცვის არქივი
12	ლიტ. 40 გვ.34

სურ.21

1,2	ლიტ. 32. გვ.130, სურ87.;ილუსტრაცია74
3	ლიტ. 47. გვ.131 ნახ. 83
4.	ლიტ. 48 სურ.40
5,6	ლიტ. 49 გვ. 34. გვ.33
7,8,9,10	ლიტ. 40 გვ.48; გვ.45, გვ.39

სურ.22

1,2,3,5,8,10	ლიტ. 40. გვ.56,47,44,65,53
4	ძეგლთა დაცვის არქივი
6	ლიტ. 40 გვ.56
7	ლიტ. 50 გვ. 54.
9	ლიტ. 34 გვ.155,ნახ.72

სურ.23

1,5	ლიტ. 32. სურ.98, 114, 100; ილუსტრაცია 94
7	ლიტ. 16 გვ. 253, ნახ. 10
8	ლიტ. 51 გვ. 491
2,4,6	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.24

1,5,6	ლიტ. 32. სურ.98, 114, 122
2,4	ლიტ. 53 ილუსტრაცია 54
3	ლიტ. 43 სურ.102
7	ლიტ. 54 გვ.26

სურ.25

1	ლიტ. 55. სურ.13
2	ლიტ. 47 გვ.133 ნახ.85
3,6,7	ძეგლთა დაცვის არქივი
5,8,9,10	ლიტ. 56 სურ.3, 22, 23, 24
4	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.26

12,3,5	ლიტ. 56. სურ.56,60,57,58
4	ძეგლთა დაცვის არქივი

სურ.27

1,3,4	ლიტ. 56. სურ.86,103, სურ.107

2	ლიტ. 32 გვ.163, სურ. 123
5	ძეგლთა დაცვის არქივი
6,7,8,9	ლიტ. 40. გვ. 75,79
10	ლიტ. 43 სურ. 54-1

სურ.28

1,2,3,4	ლიტ. 56. გვ.3-61
5,6,7,8	ძეგლთა დაცვის არქივი
9,10	ლიტ. 48. სურ.41

სურ.29

1,2,3	ძეგლთა დაცვის არქივი
4	ლიტ. 48. სურ.82
6,7	ლიტ. 44. გვ.354,365,366
5,8	შესრულებულია ავტორის მიერ

სურ.30

1,2,3,4,5	ლიტ. 48. სურ. 127,128,129
6	ძეგლთა დაცვის არქივი
7,8	ლიტ. 57. სურ.275,278